კვირა

№141
(12 211)

18 ივნისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეისის საჩემპიონო რეისი



ბურდულის განთიადი: ახალი სეზონიდან ზარიაში

3

აშვეთია: გერმანიიდან მახაჩყალაში

საქართველოს ნაკრების ფორვარდი ანჭიში ითამაშებს

3

კიევის დინამოს ალიარა: ქართველების აყვანა შეცდომა იყო

4

გიგიაძე კრივბასიდან მიდის

5

რა თქმა უნდა, რეალი!

6

...მაგრამ ეს მაინც კაპელოს გამარჯვებაა

ოქროს ბუცი ფრანჩესკო ტოტის!

რაკი გუშინ **რუუდ ვან ნისტელროის** გოლის გატანა ვერ მოახერხა, ევრობომბარდირთა დავაში პირველი ადგილი შეინარჩუნა **ფრანჩესკო ტოტიმ**, რაც იმას ნიშნავს, რომ "რომას" კაპიტანი "ოქროს ბუცის" მფლობელი გახდა. სერია A-ს ბოლო ჩემპიონატში "პუპონემ" 26 გოლი მიითვალა. ზედიზედ მეორე წელია, საპატიო ჯილდოს იტალიელი იგებს. შარშან, 31 გოლით, ფიორენტინელმა **ლუკა ტონიმ** გაიმარჯვა.

IRB. ერთა თასი

იტალიას აქ მაინც მოუგეთ...

11

ორი მოგება, მესამე ადგილი. მზადების პირველი ეტაპი დასრულდა

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ლიგა
www.pfl.ge



პრეზიდენტის ჩამოსვლა საქართველოში

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** საქართველოში ჩამოდის. ახალკაცის სამშობლოში ჩამოსვლა უკვე მნიშვნელოვანი ამბავია, რადგან ის ხშირად მიდის საქართველოდან და კარგა ხანს რჩება უცხოეთში. **რალფ მინგეს** ზუსტად აქვს გამოთვლილი, თუ წელიწადში რამდენი დღე არის საქართველოში. ვერ გეტყვით, მსგავს კალკულაციას თუ აწარმოებენ **კლაუს ტოპმიოლერი** ან ახალკაცი, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტი ამ საქმეში ტოპმიოლერთან ახლოს რომ არის, საკამათო არ უნდა იყოს.

ლეგენდა შეთხზულ ან შელამაზებულ ამბავს ნიშნავს. მეორე განმარტებას დავეყრდნოთ 1995 წელს მომხდარი ამბავისთვის. საქართველოს ნაკრები გერმანიისას მასპინძლობს. გადაჭედილ ეროვნულ სტადიონზე ქვეყნის პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძეც** მივიდა და როცა რაღაც მითითებების გაკეთება დაიწყო, ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** მას ტაქტიანად შეახსენა, აქ მასპინძელი და მთავარი განმკარგულებელი მე ვარო.

იმ ამბავიდან ათი წლის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის პრეზიდენტი ახალკაცის ვაჟი, უმცროსი ნოდარი გახდა. წლეულს კი ის კიდევ ოთხი წლით აირჩიეს ფედერაციის პრეზიდენტად. FAIR Play-ის პრინციპები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე ადრეც ირღვეოდა, უფრო სწორად ასეთი პრინციპები საერთოდ არ არსებობდა თუ არ ჩავთვლით პირველ ყრილობას, როცა ფედერაციის პირველ პრეზიდენტად უფროსი ახალკაცი აირჩიეს - მან ღიად და პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაუჭირა მხარი დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს და ფედერაციის პრეზიდენტობა მასზედ ალალი იყო.

ხისტად და ჯიუტად დაუჭირა ხელისუფლებამ მხარი უმცროს ახალკაცს წლეულსაც და შარშანწინაც. მოდი და ასეთ დროს უთხარი ხელისუფლებას, აქ მასპინძელი და მთავარი განმკარგულებელი მე ვარო. ვინძლო, ამის თქმის აუცილებლობა ახლა არც იყოს, ხელისუფლება ფეხბურთსა და ფედერაციას ეხმარება და მალე უფრო მეტი მილიონითაც შეეწევა, მაგრამ მხოლოდ ფულიც ვერ უშველის საქმეს.მაგალითად, ბევრად უფრო მეტი მილიონი იხარჯება აზერბაიჯანულ ფეხბურთში, მაგრამ **ილჰამ ალიევის** ქვეყანაში დახარჯულ ფულს შესაბამისი ეფექტი ჯერ ვერ აქვს.

დროის კრედიტი და სახელმწიფოს დახმარება - ახალკაცს უკვე ყველაფერი ექნება, საქმეს თავი ისე მოაბას, რომ ქართულ ფეხბურთს მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდეს. საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე მუშაობა შემოდგომაზე უნდა დასრულდეს და პროგრამის მთავარი დამფინანსებელი სახელმწიფო იქნება - ამას უკვე ფედერაციის მაღალჩინოსნებიც ამბობენ.

ახალკაცმა შარშანწინ ეროვნული გუნდიდან **ალენ ჟირესი** გაუშვა. ექსპერიმეტმა არ გაამართლა. შემდეგ მოვიდა კლაუს ტოპმიოლერი, ჯერჯერობით ვერც ეს ამართლებს და დადგა მომენტი, როცა ფედერაციის პრეზიდენტმა უტყუარი ალღო უნდა გამოიჩინოს - ან დატოვოს ტოპი კიდევ ორი წლით, ან სხვა უცხოელ მწვრთნელს უხმოს.

როცა ახალკაცმა ჟირესი გაუშვა და მის ნაცვლად **გაიოზ დარსაძეს** უხმო, შეცდა. მეორე ჯერზე კი შეცდომა იმის მანიშნებელი იქნება, რომ ფედერაციას სხვა თავი და გონება სჭირდება. ახალკაცი უკვე მომწიფებული და გამოწრთობილი უნდა იყოს იმისთვის, რომ ახლა მაინც მიიღოს სწორი, დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, დაგვანახოს, რომ მას ეს შეუძლია, რომ ამ საქმეში მთავარი განმკარგულებელი ის არის.

ასეთი გამოცდის ჟამი ახალკაცისთვის მალე დადგება, მანამდე საქართველოს მეცხრამეტე ეროვნულ ჩემპიონატს სჭირდება თავის დადგმა. უმაღლეს ლიგაში "ცხინვალი" უნდა დაბრუნდეს - ასეთია ტენდენცია, მაგრამ ასეთი არ იყო პროფლიგის ტენდენცია. ცხადია, მოიძებნება ისეთი ფორმალური თუ არაფორმალური ნაპრალი, რომელიც ყველაფერს მოაგვარებს და ახალკაცის ჩამოსვლა ამადაცაა საინტერესო და მნიშვნელოვანი.

მოსაგვარებელია კიდევ ერთი საკითხი - ვინ უხელმძღვანელებს საქართველოში მწვრთნელთა მომზადებას და ლიცენზირებას. ამ საქმეს დარსაძე უძღვებოდა, თუმცა უკვე შარშან გაურკვევლობა შეიქმნა - დარსაძე თან არის და თან არ არის ამ პოსტზე. ლაპარაკი იყო დარსაძის მინგეთი შეცვლაზე, მაგრამ ახალკაცმა ბოლომდე ჯერ ვერ მიიყვანა საქმე.

მეტადრე უფრო აქტუალურია პრეზიდენტის ჩამოსვლა.

დავით თავართქილაძე

ბურდულმა ზარიასთან კონტრაქტი გააფორმა

საფრანგეთი-საქართველო. ლადო ბურდული მალუდას წინააღმდეგ

საქართველოს ნაკრებისა და კრივოი როგის "კრივბასის" ნახევარმცველი **ლადო ბურდული** ამიერიდან მეორე უკრაინულ კლუბში, ლუგანსკის "ზარიაში" ითამაშებს.

ეს ინფორმაცია გუშინ დილით "კრივბასის" კაპიტანმა **ვასილ გიგაძემ** გაგვიმხილა:"*ლადოს კონტრაქტი დაუმთავრდა და დარჩენას აღარ აპირებდა, რადგან საკმაოდ ბევრი კლუბი ინვევდა. ან, რატომ უნდა დარჩენილიყო? "კრივბასში" მისნაირი ფეხბურთელის გაჩერება საცოდაობა იყო. როგორც ვიცი, უკვე "ზარიაში" გადავიდა და ეს უკვე უკრაინელებმაც დაწერეს*".

საღამოს უკვე ინფორმაცია უკრაინულმა ინტერნეტსააგენტოებმა დაადასტურეს.

შეგახსენებთ, რომ ლადო უკრაინაში სწორედ "ზარიის" დღევანდელმა მწვრთნელმა **ალექსანდრე კოსევიჩმა** ნაიყვანა და "კრივბასში" შეუცვლელად ათამაშებდა. მისი წამოსვლის შემდეგ კი, ქართველი ლეგიონერს **ოლეგ ტარანი** ისე აღარ ენდობოდა. თუმცა ამაში თავისი როლი ტრავმამაც ითამაშა - მეორე წრეში ლადო დაშავდა და საკმაო ხანი გაუცდა. უკრაინული "სპორტ-ექსპრეს" ინფორმაციით, ბურდულმა ლუგანსკელებთან ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

ჩვენი ინფორმაციით, ლადოს რამდენიმე კლუბი აკვირდებოდა, მათ შორის, ზაპოროჟიეს "მეტალურგი" და შოტლანდიური "ჰართსიც", მაგრამ საბოლოოდ უფრო მეტი ინტერესი ლუგანსკელებმა გამოავლინეს.

მერაბ მამულაშვილი



მიხეილ აშვეთია

მოსალოდნელი ტრანსფერი

აშვეთიაც ანჟიში...

"კარლ ცაისიდან" წამოსულ მიხეილ აშვეთიაზე რუსული კლუბები აცხადებდნენ პრეტენზიას. გუშინ კი ფეხბურთელთან დაახლოებულმა წყარომ დაგვიდასტურა, რომ მიხეილ აშვეთიას გადაბირება "მოსკვას" სურს. თუმცა მას უკვე ჰქონდა საუბარი მახაჭყალის "ანჟის" მთავარ მწვრთნელ **ომარ თეთრაძესთან** და მისგან კონკრეტული წინადადებაც მიიღო. როგორც ირკვევა აშვეთია რუსეთში მიმდინარე სეზონს "ანჟიში" ჩაამთავრებს და მახაჭყალელებს პრემიერლიგაში აღზევებაში დაეხმარება. შევიტყვეთ ისიც, რომ გარკვეული გარიგების მიხედვით, დიდი შანსია, აშვეთიამ რუსეთში ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, "მოსკვას" მიაშუროს.

მიხეილ აშვეთიასთან და ომარ თეთრაძესთან დაკავშირებას შევეცადეთ, მაგრამ გუშინ ეს არ მოხერხდა

რაც შეეხება "კარლ ცაისიდან" წამოსულ მეორე ქართველს, მეკარე გიორგი ლომაიას კარიერის გაგრძელებას თურქეთის ერთ-ერთ კლუბში უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ თავად გიორგი აცხადებს, რომ მსგავსი რამ პირველად ესმის.

დავით ცაბაძე

დინამო

პაიდუკი, ესენი, კარლ ცაისი...

რამდენიმე დღის განმავლობაში მშობლიურ ბაზასა და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ვარჯიშის შემდეგ, ევროტურნირებისა და ახალი სეზონისთვის მზადებადაწყებულმა თბილისის "დინამომ" მთიან რეგიონს მიაშურა. გუშინწინ, 16 ივნისს, დინამოელები ბაკურიანს ეწვივნენ და მზადება იქ გააგრძელეს. კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძის** თქმით, ბაკურიანში, "დინამოსთან" ერთად ემზადებიან ახალი ფეხბურთელები, ძმები **ხორგუაშვილები, ოლეგ გველესიანი** და კამერუნის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფორვარდი **რეიმონდ ვუეკუე**. მათი საკითხი უცხოური შეკრების შემდეგ გადაწყდება.

ბაკურიანის შეკრება ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზეა გათვლილი. გუნდი თბილისში 21 ივნისს დაბრუნდება და ვარჯიშებს მშობლიურ ბაზაზე გააგრძელებს. 25 ივნისს "დინამო" "ამერთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს. მეორე დღეს კი გერმანიაში გაემგზავრება შეკრებაზე. უჰრინის გუნდის უცხოური შეკრება 10 ივლისამდე გასტანს. გერმანიაში "დინამო" მინიმუმ 5 ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. სპარინგპარტნიორების ერთი ნაწილი დადგენილია, ნაწილს გარკვევაზე კი მუშაობა გრძელდება. ჯერჯერობით, ცნობილი ისაა, რომ "დინამო" 4 ივლისს სპლიტის "ჰაიდუკს" ეთამაშება, 6-ში "ესენთან" მოსინჯავს ძალებს, 9 ივლისს კი, 16 ნლიანი პაუზის შემდეგ, იენის"კარლ ცაისს" დაუპირისპირდება.

დავით ცაბაძე

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერანი

სტადიონი უკვე მზადაა

მომავალი სეზონის მატჩებს „მერანი“ საკუთარ სტადიონზე ჩაატარებს. როგორც გახსოვთ, 31-ე ქარხნის დასახლების ტერიტორიაზე კლუბი სტადიონს კარგა ხანია, რაც აშენებს. გასული ჩემპიონატის მსვლელობისას მისი დასრულება ვერ მოასწრო და გუნდმა მეტოქეებს „შევარდენზე“ უმასპინძლა. „მერანის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ახალ სატიონზე გუნდს გაცილებით მეტი ქომაგი ეყოლება და სავსებით შესაძლებელია, „მერანი“ უბნის გუნდად ჩამოყალიბდეს.

ახალი მთავარი მწვრთნელის, **თამაზ კოსტავას** ხელმძღვანელობით „მერანი“ ვარჯიშს რამდენიმე დღის წინათ შეუდგა. ფეხბურთელები ჯერ მხოლოდ ფიზიკურად იტვირთებიან, საამისოდ კი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე დადიან.

მალე საქმე ბურთით ვარჯიშზე მიდგება. „ნორჩი დინამოს“ აკადემიის მინდორზე კოსტავასა და მის ასისტენტებს დიდი სასელექციო სამუშაოს ჩატარება მოუწევთ. ისინი არაერთ ფეხბურთელს გასინჯავენ. „მერანში“ ჩარიცხვის მსურველთა გარდა, მწვრთნელებს თავი იმ მოთამაშეებმაც უნდა მოაწონონ, რომლებმაც ამ გუნდში წინა სეზონი გაატარეს. შერჩევა, სავარაუდოდ, ივნისის ბოლომდე გასტანს.

გადაწყვეტილი კი ჯერ მხოლოდ ისაა, რომ მერანელები გახდნენ ექსამერელი **სევასტოპულო**, ექსზესტაფონელი **ნოზაძე** და ექსმეშაქრელი **ავალიანი**. აქცენტი გაახალგაზრდავებაზეა გადატანილი, გუნდი დატოვეს მისმა გამოცდილმა წევრებმა, **ვალერი გაგუამ** და **ამირან კედელაშვილმა**.

„მერანმა“ ორი შეკრება დაგეგმა. 3-დან 15 ივლისამდე თბილისური გუნდი კოჯორში ივარჯიშებს, ამის შემდეგ კი ურეკს მიაშურებს.

რაც შეეხება „ნორჩ დინამოს“, რომელმაც პირველ ლიგაში „მერანის“ ფარმკლუბის სტატუსით უნდა იასპარეზოს – მის მთავარ მწვრთნელად კლუბის მესვეურებს **ვახტანგ კოპალეიშვილის** დანიშვნა სურდათ, მაგრამ მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. სავარაუდოდ, ამ პოსტს სხვა სპეციალისტს ჩააბარებენ.

ლევან ჯანეზაშვილი



ამირან გოგიტიძე

გათუმი

მიზანი ექვსეულია

მართალია, ჯერ „ბათუმის“ ბიუჯეტი არ დამტკიცებულა, მაგრამ გუნდის მთავარ მწვრთნელ **ამირან გოგიტიძეს** დიდი იმედი აქვს, რომ მომავალი სეზონისთვის კლუბში ყველაფერი რიგზე იქნება.

„ცოტა ხნის წინათ ყველაფერზე ხელი გვქონდა ჩაქნეული, თუმცა იმედი დაგვიბრუნდა. ქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილების მოლოდინში ვართ, გვპირდებიან, რომ ფინანსურად ძლიერი კლუბი გვეყოლება და ვიმედოვნებ, ასეც მოხდება. ყველაფერი დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს. დრო აღარ ითმენს, ძლიერი ფეხბურთელების დამატება გვსურს და და კარგი იქნება, თუ თანხას დროულად გადმოგვირიცხავენ. ერთი სიტყვით, გაწყობა ოპტიმისტურია. თუ ყველაფერი რიგზე იქნება, მომავალ სეზონში „ბათუმი“ ექსესეულში მოსახვედრად იბრძოლებს“, - გვითხრა გოგიტიძემ.

აქვე დავძენთ, რომ დღეისათვის, „ბათუმთან“ კონტრაქტი ერთ ფეხბურთელსაც კი არ აკავშირებს. ამ არცთუ სახარბიელო სიტუაციის მიუხედავად, სახსრების დროულად გამოყოფის შემთხვევაში, გუნდის სათანადოდ დაკომპლექტება ალბათ, მაინც მოესწრება.

ლევან ჯანეზაშვილი



ბრაზილიელი ვიერა კვლავაც გამორჩეულია ზესტაფონში

ზესტაფონი

გამარჯვება ლოკომოტივთან

„ზესტაფონი“ ინტერტოტოს თასის პირველი რაუნდისთვის აქტიურად ემზადება. ფეროელებმა უკვე დაასრულეს ბაკურიანის შეკრება და თბილისში გადმოინაცვლეს. **თემურ მახარაძის** შეგირდები ამხანაგურ მატჩში დედაქალაქურ „ლოკომოტივს“ მისსავე ბაზაზე გაეჯიბრნენ. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და „ზესტაფონის“ გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

მე-14 წუთზე ანგარიში ბრაზილიელმა **ვიერამ** გახსნა. ცოტა ხანში **გიორგი ჭელიძემ** თამაშგარიდან გაიტანა და ბურთი არ ჩაითვალა. ტაიმის ბოლოს „ლოკომოტივის“ კარში მეორე ბურთი გავიდა – თავი **ნიკოლოზ კვასხვაძემ** გამოიჩინა.

მეორე ტაიმში რკინიგზელებმა ბევრი იბრძოლეს, მაგრამ მხოლოდ ერთ ბურთს გამორჩნენ. პრესტიჟის გოლი **შენგელიას** ანგარიშზეა.

„ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

ჭანტურია (58. რ. კვასხვაძე), რ. ონიანი (56. დაუშვილი), საჯაია (46. ღონღაძე), სანტოსი, ს. თოდუა (46. კ. ჩხეტიანი), ნ. კვასხვაძე (46. ბენაშვილი), ჟონატასი (65. ჯანელიძე), ხიდეშელი (46. გ. ჩხეტიანი), გ. ჭელიძე (61. ბ. გოცირიძე), ვიერა (61. სანაია), ფიფია (58. ძარია).

„ზესტაფონი“ ყაზახეთში 22 ივნისს გაემგზავრება, 23-ში კი, თბილისის დროით 16 საათზე კუსტანაიში, ადგილობრივ „ტობოლს“ დაუპირისპირდება. განმეორებითი შეხვედრა 30 ივნისს გაიმართება.

ჯერჯერობით, კლუბიდან სხვა სიახლე არ ისმის. „ზესტაფონი“ ახალ ფეხბურთელებს „ტობოლთან“ დაპირისპირების შემდეგ წარადგენს.

ლევან ჯანეზაშვილი

ლევან ყენია (10) გერმანიაში მიდის

ლოკომოტივი

რიგი სინჯებზე

შაბათს, "ლოკომოტივმა" საკუთარ ბაზაზე უმასპინძლა "ზესტაფონს". შეხვედრა იმერლებმა 2:1 მოიგეს, თბილისელებიდან ერთადერთი ბურთი **შენგელიამ** გაიტანა.

"ლოკომოტივი" ახლა მოთამაშეებს სინჯავს და უმთავრესად, სწორედ ასეთებს მიეცათ თავის გამოჩენის შანსი.

გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის, **ზაზა ზამთარაძის** თქმით, ამ დრომდე დაახლოებით 40-მდე (!) მოთამაშე გასინჯეს და მათგან მხოლოდ რამდენიმე აგრძელებს ვარჯიშს.

"გიორგი მიქაძე ერთადერთია, რომელსაც კონტრაქტი გაუვუფორმეთ. სხვა დანარჩენების საკითხი კი გადასაწყვეტია. ახლა ვაკვირდებით "ნორჩი დინამოელის" გაზრდილ უჩა მამულაშვილს, 35-ე სკოლელ მირონიძეს, ორივე ნახევარმცველია. ჩვენთან ვარჯიშობს ქუხალოვიც, რომელიც "ჩიხურაში" თამაშობდა. აგრეთვე ბახტაძე, წიფურიშვილი, შენგელია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათთან უკვე კონტრაქტები გავაფორმეთ. დავაკვირდებით და საუკეთესოებს დავიტოვებთ", - გვითხრა ზამთარაძემ.

უახლოეს პერიოდში გერმანიაში გაემგზავრებიან "ლოკომოტივის" პრეზიდენტი **ლექსო თოფურია**, მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** და 17 წლის ნახევარმცველი **ლევან ყენია**. ისინი გერმანიის ვიზას ელიან, ყენიას როგორც იცით "შალკეში ინვევენ, მისთვის კონტრაქტი ფაქტობრივად გამზადებულია.

მერაბ მამულაშვილი

თეორია



დავით ყიფიანი

18.06.1951 - 17.09.2001. ფეხბურთი, ნახევარმცველ-თავდამსხმელი. თამაშობდა თბილისის "დინამოსა" (1968-69, 71082) და "ლოკომოტივში" (1970). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 19 მატჩი (7 გოლი). ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1976), ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებული (1981). სსრკ უმაღლეს ლიგაში ითამაშა 245 მატჩი (79 გოლი). სსრკ ჩემპიონი (1978), მეორე (1977) და ხუთგზის მესამე (1971, 72, 76 გაზაფხული, 76 შემოდგომა, 81) პრიზიორი. სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 79) და ფინალისტი (1980). სსრკ წლის საუკეთესო ფეხბურთელი (1977), გრიგორი ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბის წევრი (115 გოლი). იყო თბილისის "დინამოს" (1984-85, 88-91, 95-98), "ლოკომოტივის" (1988), ნიქოზის "ოლიმპიაკოსის" (კვიპროსი, 1992-93), იაროსლავლის "შინიკის" (რუსეთი, 1998), ქუთაისის "ტორპედოსა" (1999-2000, 2000-01) და საქართველოს ნაკრების (1997, 1999-2001) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით "დინამო" (1990, 95, 96, 97) და "ტორპედო" (2000, 01) საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, იმავე "დინამომ" (1995, 96, 97) და "ტორპედომ" (2001) საქართველოს თასი მოიპოვეს. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი. 1981 წლის 18 აგვისტოს ითამაშა ევროპის ნაკრებში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ (0:4). 1993 წელს მისი სახელი მიენიჭა გურჯაანის ცენტრალურ სტადიონს, 2001 წელს კი - საქართველოს ეროვნული თასის გათამაშებას. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომი

უკეთესი გუნდის მოლოდინში

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალ სეზონში „ბორჯომს“ გაცილებით ანგარიშგასაწევი გუნდი ეყოლება. მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე,** ჯერჯერობით, სავარაუდო ახალწვეულების ვინაობას არ ამხელს, თუმცა იმაში კი დარწმუნებულია, რომ ახალი კონტინგენტით მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა სავსებით შესაძლებელი იქნება.

„გასულ სეზონში ბევრი პრობლემა გვქონდა, დღესდღეობით კი კლუბში ნორმალური სიტუაციაა. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მაღალი დონის ფეხბურთელები დავიმატოთ და მათ სათანადო პირობები შევუქმნათ. რამდენიმე დღეში ყველაფერზე დანვრილებით ვისაუბრებ“, - "ლელოსთან" საუბარში ამბობს ხაჩიძე.



ვლადიმერ ხაჩიძე

„ბორჯომის“ სამომავლო შემადგენლობა დაახლოებით 23 ივნისისთვის გაცხადდება. აქედან მოყოლებული, თვის ბოლომდე გუნდი ბაკურიანში ივარჯიშებს, სადაც ფიზიკურად მოემზადება, ამის შემდეგ კი ბორჯომსა და თბილისში საკონტროლო მატჩებს გამართავს.

ლევან ჯანეზაშვილი

მეგრელაძე თავისუფალი აგენტია

საქართველოს ჩემპიონატების ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი **გია მეგრელაძე** აზერბაიჯანის ექსჩემპიონ "ბაკიდან" წამოვიდა და მალე გაარკვევს, რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას.

ამჟამად იგი რუსთავის "ოლიმპში" ვარჯიშობს, მაგრამ როგორც გვითხრა, ჯერ გუნდის ხელმძღვანელებთან კონტრაქტზე არ შეთანხმებულა: "გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, ვცდილობ ფორმა აღვიდგინო, მაგრამ დღემდე "ოლიმპთან" კონტრაქტზე არ მისაუბრია".

როგორც ჩანს, გიამ კიდევ სხვა წინადადებებიც მიიღო, მაგრამ ჯერ მათზე საუბარს მოერიდა. რაც შეეხება "ბაკის", მეგრელაძეს აზერბაიჯანელებთან კონტრაქტი დაუსრულდა: *"ჩემში "ბაკი" თანხას ვერ მოითხოვს, ერთწლიანი ხელშეკრულება მქონდა და თავისუფალი აგენტი გავხდი. ასე რომ, ჩემით დაინტერესებულ გუნდებს აზერბაიჯანელებისთვის თეთრის გადახდაც არ მოუწევთ".*

მერაბ მამულაშვილი

გია მეგრელაძე

ქართველების აყვანა შეცდომა იყო

კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** ინტერნეტპრესკონფერენცია გამართა და გულშემატკივრობის კითხვებს უპასუხა.

ერთ-ერთი მათგანი უკრაინის ჩემპიონის ქართულ სამეულსაც ეხებოდა -*"რატომ ყიდულობთ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც საერთოდ არ თამაშობენ ძირითად შემადგენლობაში (კახა ალადაშვილი, დათო იმედაშვილი, ფარკაში, ოთარ მარცვალაძე)? მათში გადახდილი ფულით ერთი მაღალი დონის ფეხბურთელი ყიდვა არ სჯობდა? წავიკითხე, რომ დემიანენკო მთლიანად უკრაინულ დაცვაზე ოცნებობს და ქართველების ნაცვლად, უკრაინელები რატომ არ შეიძინეთ?"*

სურკისმა გარკვეული მინიშნება გააკეთა, რომ ასეთი სატრანსფერო პოლიტიკა შეცდომა იყო: *"თქვენს მიერ დასახელებული ფეხბურთელები შევიძინეთ, როგორც ნიჭიერები და პერსპექტიულები, თანაც, შედარებით იაფად. ესაა ჩვენი სელექციის ხარვეზები, რომლის გამოც, თავად სელექციონერთა სამსახურს მაინც და მაინც არ უნდა ვუსაყვედუროთ. თუკი ეს ფეხბურთელები კიევის "დინამოში" ვერ ათამაშდებიან, ნორმალურ კლუბს ყოველთვის მოძებნიან. "დინამოს" მოგებას ვერ ნახავს მათი გასხვისებით, ტრანსფერებში დახარჯულ თანხას მაინც ამოიღებს".*

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ ნილ ევისთან

ჩვენი დასკვნა შესაძლოა კრიტიკულიც კი იყოს

კომპანია FMMI ფეხბურთის განვითარებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში იღწვის. ქართულ ფეხბურთში ეს კომპანია უეფას რეკომენდაციით მოხვდა და მისი განვითარებისთვის მუშაობასაც შეუდგა. კომპანიის წარმომადგენელ ნილ ევისთან საუბარიც სწორედ ამ საკითხზე წარიმართა.

- FMMI-ში 4 წლის წინათ დავიწყე მუშაობა, პარალელურად ვმუშაობ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაში. ამასთან, ვთანამშრომლობ "მანჩესტერ იუნაიტედთან". ამ კლუბში მთავარი პრობლემა ფეხბურთელების ხელფასებია და ამაზე ვაწარმოებთ მუშაობას. ჩვენ არ ვმუშაობთ სპორტზე, ჩვენ ვმუშაობთ კონკრეტულად ფეხბურთზე. ჩვენ მიერ აღებული ყველა თემა ფეხბურთს უკავშირდება. ქართულ ფეხბურთს მართლა გულიანად ვქომაგობ, რადგან "მანჩესტერ სიტის" ქომაგი ვარ და 10 წლის წინათ გიორგი ქინქლაძე ჩემი კერპი იყო.

- საქართველოში ყოფნისას სტადიონები ნახეთ და ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის მუშაობას შეუდექით. პირველ ნაბიჯებზე რას გვეტყოდით?

- უპირველესად ერთს აღვნიშნავდი, მე უეფაში ვმუშაობ და არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. უეფაში დაგვავალეს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დავხმარებოდით და ჩვენ ამ საქმეში უკვე ჩავებით. კარგად ვიცი, რომ ისევე როგორც ინგლისში, საქართველოშიც ხალხი ფეხბურთზეა შეშლილი. თუმცა აქაური ჩემპიონატი აშკარად განიცდის გულშემატკივართა სიმწირეს. სრულიად ბუნებრივი კითხვაა – რატომ არ ესწრება ხალხი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს. რატომ არ იხდიან საამისოდ ფულს? 4-6 თვის განმავლობაში ჩვენ დავსახავთ მიმართულებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის განვითარებას. ჩვენი მუშაობა ორ ნაწილადაა დაყოფილი, პირველი ნაწილში ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ საზოგადოებრივი აზრი იმ პრობლემებზე, რომლებიც ქართულ ფეხბურთში არსებობს. ჩვენ გვაინტერესებს, საზოგადოების, გულშემატკივართა აზრი და ამასთან გვაინტერესებს იმ ხალხის აზრიც, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ქართულ საფეხბურთო ინდუსტრიაში. აქ მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციას კი არა, "ინფრონტს", "დიადორას", ქართული კლუბების ხელმძღვანელებს, ჟურნალისტებს ვგულისხმობ. ჩვენ ყველა ამ კატეგორიის ხალხის აზრს რომ შევიტყობთ, მასალას დავამუშავებთ და პირველი ეტაპის დასკვნას წარმოვადგენთ.

ჩვენი სამუშაოს პირველი ეტაპის შემადგენელი ნაწილი სტადიონების დათვალიერება იყო. ვნახე ეროვნული სტადიონი, "ვიტ ჯორჯიის", "ამერის", "ოლიმპის", "დილის" სტადიონები.

ჩვენი სამუშაოს პირველი ეტაპის დანიშნულება არის ისიც, რომ სხვადასხვა ფაქტორით საქართველო შევადაროთ ისეთ ქვეყნებს როგორებიც არიან სერბეთი, ხორვატია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და საბერძნეთი.

- ეს 7 სხვადასხვა დონის ქვეყანაა...

- დიახ, გეთანხმებით, მაგრამ გარკვეული პარალელები მართლაც არის. ხორვატიაშიც დახლოებით ანალოგიური ვითარებაა. იქაც ხალხი გადარეულია ფეხბურთზე. ხორვატული ფეხბურთის პლუსების გადმოღება და აქ განხორციელება სასარგებლო იქნებოდა. პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩვენ შეგვექმნება წარმოდგენა, თუ რამდენი და რა ტევადობის (5, 7, 10 15... ათასიანი) სტადიონები უნდა იყოს საქართველოში.

- მეორე ეტაპის სამუშაოები რას მოიცავს?

- მეორე ეტაპი ისაა, თუ როგორ უნდა წავიწიოთ წინ, როგორ უნდა მოვიზიდოთ თანხები ქართულ ფეხბურთში. გვექნება სურათი, უნდა ავაშენოთ თუ არა ამა თუ იმ კლუბისთვის ახალი სტადიონი და რა ტევადობისა უნდა იყოს ეს არენა. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რამდენად აქტიურია ამ გუნდის გულშემატკივარი. ჩვენთვის მთავარია ვიპოვოთ და გავთვალოთ ეროვნულ ჩემპიონატში ფულის ჩადების გზები და საშუალებები.

თუ ეს სწორად იქნება გათვლილი, მოედნების მდგომარეობა გამოსწორდება, კლუბებს მეტი შესაძლებლობა ექნება, ეს კი ჩემპიონატის დონის ამაღლებას გამოიწვევს. შესაბამისად, ნაკრებში მეტი ფეხბურთელი მოხვდება ეროვნული ჩემპიონატიდან. ეს კი საბოლოო ჯამში განაპირობებს იმას, რომ ქართველი ფეხბურთელები ნაკლებად წავლენ უცხოეთში სათამაშოდ.

ამ ორივე ეტაპის მხოლოდ განხილვა მიმდინარე წლის ივნისის ბოლომდე უნდა დასრულდეს. განხორციელება კი ეტაპობრივად მოხდება. ზემოთ 7 ქვეყანა დაგისახელეთ და სწორედ ამ ქვეყნებიდან უნდა გადავიღოთ მისაბაძი მაგალითები. საქართველოს გარდა, ჩვენ ვცდილობთ ფეხბურთის განვითარებას შეერთებულ შტატებში, ჩინეთში... ჩვენ ფეხბურთის განვითარების გზებს ვეძებთ სხვა ქვეყნებისთვისაც, მაგრამ ვეძებთ იმ რეგიონისა თუ ქვეყნისთვის შესაბამისი ნიშან-თვისებების შესაბამისად.

ჩვენი მუშაობა იმას არ ნიშნავს, რომ ხორვატიიდან ხელახებით გადმოვიღოთ ყველაფერი. იქაური პლუსები აქაურ რეალობას უნდა მივუსადაგოთ.

ჩემს მუშაობას უეფა აფინანსებს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან აბსოლუტურად დამოუკიდებელი პირი ვარ. ასე რომ ჩემ მიერ დაწერილი დასკვნა შესაძლოა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ძალიან კრიტიკულიც კი იყოს, მაგრამ ეს იქნება რეალური სურათი. მერე ეს დასკვნა უეფაში წავა და იქ ნახავენ.

ჩვენი მუშაობის საბოლოო მიზანია ნაკრებებმა და ქართულმა კლუბებმა გაცილებით წარმატებულად ითამაშონ. არ მინდა, 3 წელიწადშიც იგივე პრობლემები გვაწუხებდეს. ასე რომ, რა გეგმასაც დავსახავთ, ის უნდა განხორციელდეს კიდეც. არ მინდა, რომელიმე ასპექტში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობა მატერიალურად სხვაზე, თუნდაც სახელმწიფოზე იყოს დამოკიდებული. ფედერაციამ თავად უნდა მოიზიდოს ფული, ანუ შექმნას მაღალხარისხიანი პროდუქცია - მაღალი დონის მატჩები. ვიცი, ეს ერთი ხელის მოსმით არ გაკეთდება, საამისოდ დროა საჭირო. თუმცა თუ პროგრესისკენ მიზანმიმართულად არ ვიარეთ, მაშინ შედეგიც არ გვექნება.

- საქართველოში სტადიონები ნახეთ და აქაურ საფეხბურთო ინფრასტრუქტურაზე გარკვეული წარმოდგენა უკვე გაქვთ. როგორი სურათი დაგხვდათ, ის რასაც ელოდით, უკეთესი ან უარესი?

- აქ ჩამოსვლამდე წარმოდგენა მქონდა ეროვნულ და მიხეილ მესხის სტადიონებზე. ეს არენები ნორმალურია. გორში მიდის სტადიონის რეკონსტრუქცია. დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი, მაგრამ მანამდე მიმართულება სწორად უნდა განისაზღვროს. თუ თამაშს საშუალოდ 2 ათასი გულშემატკივარი ესწრება, 20 ათასიანი სტადიონის აშენება საჭირო არაა, 10 ათასიანი სრულიად საკმარისია. როცა რეგიონში 5 ათასი კაცი ესწრება თამაშს, ქომაგთა ეს რაოდენობა 20 ათასიან სტადიონზე ძალიან ცუდად ჩანს და ასეთი ტევადობის არენა არც ამ შემთხვევაში საჭირო არ არის. ჩვენი მუშაობა კომერციალიზაციასაც მოიცავს. "ვიტ ჯორჯიის" სტადიონი ამ კლუბისთვის, რბილად რომ ვთქვათ მიუღებელია. კომერციალიზაცია სტადიონებზე სხვადასხვა სახის პროდუქციის გაყიდვას გულისხმობს. კაცი რომ მიდის თამაშზე, ჭამა ან გამაგრილებელი სასმელის დალევა რომ მოუნდეს, ეს მისთვის პრობლემა არ უნდა იყოს. ეს კომფორტის ელემენტარული ფაქტორია.

ძალიან კარგი ტრადიციაა, როცა ქომაგები ოჯახებით მიდიან სტადიონზე. სტადიონზე სასიამოვნო გარემო და კომფორტი თუ არაა, მაშინ ადამიანი თავს შეიკავებს სტადიონზე მისვლისგან. ეროვნულ და მიხეილ მესხის სტადიონზებზე ასეთი გარემო გაცილებით იოლი შესაქმნელია. სხვა არენებზე კი რბილად რომ ვთქვათ ცუდი სურათია.

- მაინც რა პერიოდია საჭირო ინფრასტრუქტურის გამოსასწორებლად?

- ეს კომპლექსური საკითხია. უპირველეს ყოვლისა გულშემატკივარს ხარისხიანი პროდუქცია უნდა მივაწოდოთ და ამასთან შევთავაზოთ კომფორტიც. შეერთებული შტატების მაგალითი ავიღოთ: ამერიკიდან 15 ფეხბურთელი თამაშობს ევროპაში. ამ ქვეყნისთვის ეს კარგია, მაგრამ მთლიანობაში რომ შევხედოთ, ამერიკის საფეხბურთო კულტურა უფრო დაბალია, ვიდრე ქართული, რადგან ევროპულ კლუბებში თქვენი ქვეყნიდან ასზე მეტი ლეგიონერი თამაშობს... თავისთავად ლეგიონერთა სიმრავლე კარგია, რადგან საფეხბურთო კულტურის სიმაღლეზე მეტყველებს, მაგრამ ამას მეორე, უარყოფითი მხარეც აქვს. ქართველ ლეგიონერთა უმეტესობა უკრაინასა და რუსეთში ასპარეზობს და არ თამაშობს წამყვანი ევროპული ქვეყნების კლუბებში. იდეალური ვარიანტი იქნება, თუ ქართული კლუბების თავკაცები მოილაპარაკებენ და შეთანხმდებიან, რომ ქართველ ფეხბურთელებს იმდენი გადაუხადონ, რომ ისინი უკრაინულ კლუბებში სათამაშოდ არ წავიდნენ.

პროგრამის მეორე ეტაპამდე ქართული ფეხბურთის ყველა პრობლემა ძირფესვიანად უნდა ვიცოდეთ და მყარი საფუძველი შევქმნათ წინსვლისთვის. განვითარებისთვის შესაძლოა 2-4, ან 5 წელიც კი არ იყოს საკმარისი. თუმცა იმედი მაქვს, რომ განვითარება ამ ვადაში მოხდება და ათწლეულზე არ გაიწელება. საუკეთესო ვარიანტი იქნება ფეხბურთელი აქედან უკრაინიაში კი არ მიდიოდეს, არამედ უკრაინიდან აქ მოდიოდეს სათამაშოდ.

ჩვენ ვმუშაობთ ბრაზილიაშიც და იქაური ფეხბურთელი რუსეთსა და უკრაინას ევროპისთვის ტრამპლინად განიხილავს. თუმცა საქართველოს ამ ჭრილში სულაც არ ახსენებს. ძალიან ცუდია, როცა 19 წლის ქართველი ფეხბურთელი "შახტიორში" ან კიევის "დინამოში" რეზერვისტად მიდის და 2-3 წლით დუბლებში უწევს თამაში. ეს დამღუპველი ტენდენციაა. აქაური ფეხბურთელი უკრაინულ კლუბს ტრამპლინად არ უნდა განიხილავდეს. სჯობს, აქაურ პირველობაზე იასპარეზოს და კარგ ევროპულ კლუბში გადავიდეს.

- გასაგებია, მაგრამ ალბათ იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ ფეხბურთის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაზეცაა დამოკიდებული...

- გეთანხმებით. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ფეხბურთის პროგრესისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ამასთან დაკავშირებით ჩვენ კონსულტაციები გვაქვს "საქართველოს ბანკთან" და ერთ დასკვნამდე მივედით - საქართველოში არსებობს ხალხის ვინც მზადაა ფეხბურთში ფული გადაიხადოს. მაგალითად, ხალხი დადის და ფულს იხდის "შრეკისა" და "სუპერმენის" საყურებლად. ჩნდება კითხვა, ამ ხალხმა რატომ არ უნდა გადაიხადოს ფული ფეხბურთში? თუ სტადიონზე იქნება ცუდი თამაში, ცუდი ატმოსფერო, არ იქნება კომფორტი და ქომაგი დაცულად არ იგრძნობს თავს, მაშინ ის არ წავა სტადიონზე და წავა კინოში. როცა საქმე მივა იმაზე რომ ხალხს მასობრივად ექნება სურვილი და შესაძლებლობა სტადიონზე მივიდეს და საამისოდ საჭირო გახდება 60 ათასიანი სტადიონი, ეს იქნება ჩვენი მუშაობის აპოთეოზი. ფეხბურთი ხალხისთვისაა და როცა კაცი მთელი კვირა მუშაობს, ის უიქ-ენდს ელის, რომ კარგი მატჩი ნახოს.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაეხსენი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

გიგიაძე კრივბასში აღარ იქნება

ოთხი ტური არ მათამაშებს და გომბარდირი როგორ გავხდებოდიო?

უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" შაბათს გამოაქვეყნა ინფორმაცია, თითქოს, კრივოი როგის "კრივბასის" და უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე ლუგანსკის "ზარიაში" გააგრძელებს კარიერას. მანამდე, თავად ფეხბურთელმა მისდამი სიმფეროპოლის "ტავრიის" ინტერესი არსებობა გაგვიმხილა.

თუმცა ეს არაა ერთადერთი თემა, რამაც "კრივბასის" კაპიტანთან დაკავშირება გადაგვაწყვეტინა. მას ბოლო ტურამდე ჰქონდა უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირობის შანსი, მაგრამ იმავე გაზეთიდან შევიტყვეთ, რომ მას ბოლო ტურში ხარკოვის "მეტალისტთან" არ ათამაშებენ და ბომბარდირობაც ხარკოველ გლადკიის გადაულოცა.

აი, რას ამბობს გიგიაძე: "*ძირითადი შემადგენლობის თითქმის ყველა ფეხბურთელი უკვე შვებულებაში ვართ, მათ შორის, მეც. ასე რომ, ბომბარდირობაზე ოცნება შემდეგი სეზონისთვის გადავდე. ოლეგ ტარანმა გადაწყვიტა, ახალგაზრდებისთვის მიეცა თავის გამორჩენის საშუალება. ბომბარდირიც, ალბათ, ალექსანდრ გლადკიი გახდება*"

უცნაურია, თავდამსხმელი ასეთ შანსზე საკუთარი სურვილით ამბობდეს უარს. უფრო სწორად, დაუჯერებლია და ეს ვარაუდი ვასიკომაც დაგვიდასტურა. თუმცა მივყვეთ თანამიმდევრობით...

- ვასიკო, უკრაინულ პრესაში უკვე ბევრი იწერება შენს სავარაუდო ტრანსფერზე. მართალია თუ, არა რომ "ზარიაში" გადადიხარ?

- ლუგანსკელებს კი სურთ ჩემი გადაყვანა, მაგრამ ეს არაა ერთადერთი ვარიანტი, სხვა გუნდებშიც მიწვევენ.

- გავიგეთ, თითქოს, ლუგანსკელებს ხვალ უნდა შეხვდე.

- ხვალ "კრივბასის" ხელმძღვანელობას ვხვდები, "ზარიასი" კი ჯერ რა მოგახსენოთ.

- დაიწერა, რომ "კრივბასს" შენი დატოვება სურს, მაგრამ ამას თავად კატეგორიულად ეწინააღმდეგები. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

- პრეზიდენტს ყველაფერს ვეტყვი. არის გუნდები, რომლებიც მიწვევენ და ვნახოთ. ისე შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი აქ დარჩენა გამორიცხულია.

- და შენი ძველი კლუბი "ტავრია" უკვე უინტერესოა?

- ხომ გითხარით, ბევრი მიწვევს, მაგრამ "კრივბასი" არარეალურ თანხას ითხოვს.

- კონტრაქტი როდის გიმთავრდება?

- ზამთარში ორწლიანი გავაფორმე.

- სხვათა შორის, საკმაოდ გაუგებარია, კლუბმა ბომბარდირობის შანსი რატომ წაგართვა, რატომ აღარ გათამაშეს ბოლო ტურში? ეს საკუთარი ნებით გადანყვიტე?

- საკუთარი ნებით ბომბარდირობაზე უარის მთქმელი თავდამსხმელი გინახავთ? თამაში მინდოდა, მაგრამ მწვრთნელმა სხვების დაყენება გადანყვიტა.

- საერთოდაც, უცნაურია, როდესაც კლუბი თავის საუკეთესო მეგოლეს ბომბარდირობის შანსს საკუთარი ნებით ართმევს. ასეთი ვერსიაც გავიგეთ, თითქოს ხარკოველი გლადკიის გასამარჯვებლად გააკეთეს ასე.

- გლადკიი "შახტარში" უკვე გაყიდეს. არ ვიცი, რა უნდათ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ გაუგებარი მიზეზებით, ოლეგ ტარანმა მე ოთხი ტური არ მათამაშა და გახდებოდა ბომბარდირი სხვა, აბა რა იქნებოდა.

- მართალია, თითქოს, კაპიტნობაც ჩამოგართვეს?

- არა, ეს არასწორია, ასეთი რამ ვინ გითხრათ?

- უკრაინულ "სპორტ-ექსპრესში" ეწერა.

- არ დაიჯეროთ. როცა არ მათამაშებდნენ, ბუნებრივია, მოედანზე სამკლაურით ვინმე სხვა გავიდოდა, მაგრამ "კრივბასის" კაპიტანი ისევ მე ვარ.

- ბაბუნაშვილის საქმე როგორაა?

- მას შეკრებაზე ჩამოსვლა შესთავაზეს. ადრეც გითხარით, რომ მოეწონათ. თუმცა ბევრი რამაა დამოკიდებული, რა გადაწყვეტილებას მიიღებს "კრივბასის" ხელმძღვანელობა. წინასწარ ვიცით, რომ ბევრ მოთამაშეს უშვებენ. პრეზიდენტი საბოლოო გადაწყვეტილებას მალე გვეტყვის.

- უკრაინის გარდა, სხვა ქვეყანაში გიწვევენ?

- მეორე ბავშვს ველოდები და ასეთ დროს ქვეყნის შეცვლა არ მსურს.

მერაბ მამულაშვილი

უკრაინის ჩემპიონატიც დასრულდა, ასე რომ მხოლოდ ისეთი საფეხბურთო ლიგები შეგვრჩა, სადაც პირველობა გაზაფხული-შემოდგომის სისტემით იმართება. ქართული ლეგიონის უდიდესი ნაწილისთვის კი სატრანსფერო პერიოდი იწყება. უქმეები მოსავლიანი არ გამოდგა - არც უკრაინაში და არც რუსეთში (პირველ დივიზიონს თუ არ ჩავთვლით) ქართული გოლი არ გასულა, რაც ფრიად იშვიათი მოვლენაა.

კრილიას ფრთები წაატეხეს

რუსული პრემიერლიგის მეცამეტე ტურში ქართული ლეგიონის შვიდეულიდან სამმა ტრავმის გამო არ ითამაშა. ჯერ ვერ გამოჯანმრთელდნენ **მალხაზ ასათიანი, ნუკრი რევიშვილი** და **ლაშა სალუქვაძე**. არ უთამაშია არც **გოგიტა გოგუას**, თუმცა ის მატჩის განაცხადში იყო, მაგრამ **გაჯი გაჯიევს** მოედანზე ქართველი ნახევარმცველი არ შეუშვია. "სატურნმა" 1:0 მოუგო "როსტოვს" და ერთი ადგილით წაიწია წინ. ახლა გუნდს 14 ქულა აქვს და მე-14 ადგილზეა. გასავარდნ ზონაში კი ნალჩიკის "სპარტაკი" დარჩა, რომელიც შინ 0:1 დამარცხდა "ამკართან". **ლევან გვახარია** და **ალეკო ამისულაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ, 73-ე წუთზე გვახარია შეცვალეს, ალეკომ კი, ტრადიციულად, შეუცვლელად ითამაშა.

"კრილია სოვეტოვი" ყაზანს ესტუმრა და 0:1 დამარცხდა "რუბინთან", მასპინძელთა რიგებში არ ყოფილან ქართველი ლეგიონერები, სამარელთა კაპიტანი **დავით მუჯირი** კი 78-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე მას ერთი საგოლე მომენტი შეექმნა - მისი დარტყმული ბურთი ძელს გაეხახუნა. "კრილიამ" ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა და მოწინავე პოზიციები დაკარგა. გუნდი 19 ქულით მეხუთე ადგილზეა, "ლოკომოტივი" 17 ქულით მეექვსეა, "რუბინი" 14 ქულით მეცამეტე ადგილზეა.

რუსეთის პირველ დივიზიონში სეზონში პირველი გოლი შეაგდო **გოჩა ხოჯავამ**, თუმცა ამაზე უფრო დაწვრილებით ხვალ..

გომბარდირობა დაიკარგა

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ ქართულ ლეგიონში ერთი სერიოზული ცვლილების შესახებ გახდა ცნობილი - საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ლადო ბურდულმა** ლუგანსკის "ზარიასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, საუბარია "ზარიაში" **ვასილ გიგიაძის** შესაძლო ტრანსფერზეც. ბოლო ტურის წინ კი უკრაინაში ჩვენ ყველაზე მეტად ერთი რამ გვაღელვებდა - გახდებოდა თუ არა გიგიაძე უკრაინის საუკეთესო ბომბარდირი. თუმცა მატჩამდე შევიტყვეთ, რომ ვასო უკვე დაეთხოვა კლუბის ხელმძღვანელობას და შვებულებაში გასულა.

მანამდე დუბლიორთა ჩემპიონატიც დასრულდა და ქართულმა ტრიომ აქაც მოიპოვა ტიტული (თუმცა ამჯერად უფრო მეტი დამსახურებით), კიეველთა დუბლებმა სტუმრად "არსენალის" დუბლშემადგენლობა გაანადგურეს - 3:0. **კახა ალადაშვილმა** პირველი ტაიმი ითამაშა, ისევე როგორც **ოთარ მარცვალაძემ, დავით იმედაშვილმა** კი შეუცვლელად ითამაშა. კიეველთა დუბლმა ჩემპიონატი 70 ქულით მოიგო.

კიევის "დინამომ" სტუმრად 1:0 დაამარცხა "არსენალი". მასპინძელთა შორის არ ყოფილა **ლაშა ჯაკობაია**, სტუმართა შორის კი მოულოდნელად კახა ალადაშვილი და დავით იმედაშვილი გამოჩნდნენ. ოთარ მარცვალაძეც ითამაშებდა, რომ არა დისკვალიფიკაცია. იმედაშვილი მეორე ტაიმში გამოჩნდა და მატჩის ბოლო წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. "დინამომ" 74 ქულით და წაგების გარეშე დაასრულა ჩემპიონატი.

დონეცკის "მეტალურგი" ქართველი ფორვარდის გარეშე ეწვია ყირიმს და "ტავრიასთან" 0:2 დამარცხდა. **გიორგი დემეტრაძე** თბილისში იმყოფება. გავარდნილ "სტალს" მოუგო სტუმრად ლუგანსკის "ზარიამ", რომლის რიგებშიც მატჩის ბოლო 8 წუთი ითამაშა ფორვარდმა **გიორგი ჭელიძემ**. დონეცკში ზაპოროჟიეს "მეტალურგმა" უმოტივაციო "შახტარს" 2:0 მოუგო, სტუმართა შორის კარგად ითამაშა **ირაკლი მოდებაძემ**, თუმცა გოლის გატანა ვერ შეძლო. კაპიტან **დავით კვირკველიას** კი არ უთამაშია. შეუცვლელად ითამაშა **ჯაბა კანკავამ** "მეტალისტთან" 0:2 მარცხით დასრულებულ მატჩში. ბოლო ტურში ცხრა ქართველ ლეგიონერს არ უთამაშია, ალბათ, ანტირეკორდიც დაემხობოდა კიეველთა თავკაც დემიანენკოს ქართველთათვის მოწყალე თვალით რომ არ შეეხედა. კანკავას "დნეპრი" 47 ქულით მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა, **ილია კანდელაკის** "ჩერნომორეცმა" საბოლოოდ მეექვსე ადგილი (41 ქულა) აიღო. ზაპოროჟიელებსაც კარგი სეზონი გამოუვიდათ, ისინი 40 ქულით მეშვიდე ადგილზე გავიდნენ. დონეცკის მეტალურგის" ჩავარდნა კი საბოლოოდ მეცხრე ადგილით (36 ქულა) გაფორმდა. მეათე ადგილს დასჯერდა "კრივბასი" (35 ქ.), ქართველთა კლუბებიდან ყველაზე ცუდი სეზონი ჯაკობიას "არსენალს" ჰქონდა, კლუბი 30 ქულით ძლივს გადაურჩა გავარდნას.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საგოლე გვალვა სეზონის ბოლოს

ფეხბურთელი	მატჩი	ანგ.	შენიშვნა	სულ. სტატ.
უკრაინა				
ვიშა ლიგა, XXX ტური				
კახა ალადაშვილი	არსენალი-დინამო	0:1	90 წუთი	7 თ, 0 გ.
ოთარ მარცვალაძე	არსენალი-დინამო	0:1	არ უთამაშია, დისკ.	3 თ, 0 გ.
დავით იმედაშვილი	არსენალი-დინამო	0:1	45 წთ (შეცვალეს), გაყვითხ.	5 თ, 0 გ.
ჯაბა კანკავა	დნიპრო-მეტალისტი	0:2	90 წუთი	24 თ, 4 გ.
რევაზ ბარაბაძე	დნიპრო-მეტალისტი	0:2	გუნდში აღარაა	3 თ, 0 გ.
ილია კანდელაკი	კარპატი-ჩერნომორეცი	0:1	არ უთამაშია	17 თ, 0 გ.
გიორგი დემეტრაძე	ტავრია-მეტალურგი დ.	2:0	არ უთამაშია	16 თ, 2 გ.
ლადო გურგულიანი	ხარკივი-კრივბასი	2:0	არ უთამაშია	20 თ, 1 გ.
ვასილ გიგიაძე	ხარკივი-კრივბასი	2:0	არ უთამაშია	27 თ, 11 გ.
გიორგი ციმაკურიძე	ვორსკლა-ილიჩივეცი	3:0	არ უთამაშია	13 თ, 0 გ.
დავით კვირკველია	შახტარი-მეტალურგი ზ.	0:2	არ უთამაშია	22 თ, 4 გ.
ირაკლი მოდებაძე	შახტარი-მეტალურგი ზ.	0:2	90 წუთი	22 თ, 4 გ.
გიორგი ჭელიძე	სტალი-ზარია	0:1	8 წთ (შეცვალეს)	12 თ, 1 გ.
ლაშა ჯაკობია	არსენალი-დინამო	0:1	არ უთამაშია	14 თ, 3 გ.
რუსეთი				
პრემიერლიგა, XIII ტური				
გოგიტა გოგუა	სატურნი-როსტოვი	1:0	არ უთამაშია, სათადარიგო	9 თ, 0 გ.
ნუკრი რევიშვილი	რუბინი-კრილია	1:0	არ უთამაშია	2 თ, -2 გ.
ლაშა სალუქვაძე	რუბინი-კრილია	1:0	არ უთამაშია	4 თ, 0 გ.
დავით მუჯირი	რუბინი-კრილია სოვეტოვი	1:0	78 წთ (შეცვალეს)	12 თ, 3 გ.
მალხაზ ასათიანი	ლუჩი-ლოკომოტივი	3:0	არ უთამაშია, ტრავმა	0 თ, 0 გ.
ალეკო ამისულაშვილი	სპარტაკი ნ.-ამკარი	0:1	90 წუთი	13 თ, 0 გ.
ლევან გვახარია	სპარტაკი ნ.-ამკარი	0:1	73 წთ. (შეცვალეს)	10 თ, 0 გ.

თენგიზ სულაძველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია

აცხადებს
1990-2000 -წლებში
დაბადებულ ფეხბურთელთა
კონკურსს.
1990, 91, 92 და 93-წლიანებში
გამორჩეულები ჭაბუკთა
ლიგის გუნდში
ჩაირიცხებიან.

შერჩევა 25 ივნისიდან 30
აგვისტოს ჩათვლით
გაგრძელდება.

ტელეფონები:
52-60-01, 8-99-476727
მისამართი:
ლუბლიანას ქუჩა 19

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მართავს საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ღაურეატები გამოვლენდებიან 11 ნომინაციაში. 2 მთავარი ნომინაციის მიხედვით დასახელდებიან საუკეთესო ლეგიონერი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მიღება გაიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 საათზე.

ბილეთის ფასი: პარტერი - 10 ლარი; ბალკონი - 5 ლარი.
საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ტელ: +995 32 912671 ; +995 32 917126

დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მამულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.
ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.
იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. გოლო ტური

HALA MADRID!

რეალი 30 გზის ჩემპიონია! ეს კაპელოს გამარჯვებაა

მატჩის გმირები: მაპამადუ დიარა და ხოსე ანტონიო რეიესი

"რეალი" ჩემპიონია. მადრიდული ინჩადა ამ დღეს ოთხი წელი ელოდა. "ბარსელონის" ჰეგემონია დამხობილია. მინიმუმ ერთი წელი სამეფო კლუბი საუკეთესო ესპანური კოლექტივი იქნება. 30-ე საჩემპიონო ტიტული ნარმოუდგენლად რთულად მოსაპოვებელი აღმოჩნდა. თუ დასრულებულ სეზონს დეტალურად გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ მადრიდელებმა უამრავი პრობლემა გამოიარეს. სიბელესისკენ მიმავალ გზაზე მათ მართლაც უთვალავი ბარიერი გადალახეს. იყო დრო, როცა ფეხბურთელებსა და **ფაბიო კაპელოს** "სანტიაგო ბერნაბეუზე" თეთრ ცხვირსახოცებს უფრიალებდნენ და დედას აგინებდნენ. ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ იტალიელი სპეციალისტი თანამდებობას ვერ შეინარჩუნებდა და მის ადგილს **ბერნდ შუსტერი** დაიკავებდა. დაუნდობელი კრიტიკისა და ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობის მიუხედავად, სინიორ კაპელო იხტიბარს არ იტეხდა და ამაყად აცხადებდა, რომ "რეალი" ესპანეთის ჩემპიონი გახდებოდა. მას ამის სჯეროდა. ადამიანი კი, რომელსაც საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს ეპარება ძალიან ბევრს მიაღწევს. "რეალს" გაჩემპიონებაში "ბარსელონის" სისულელეები დაეხმარა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქელებმა ეს ტიტული ალალად დაიმსახურეს. პირველ რიგში, სიბელესის ფიესტას სწორედ ფაბიო კაპელო იმსახურებდა. ის გენიალური მწვრთნელია. იტალიელი "რეალში" პირველადაც ძალიან რთულ დროს დაინიშნა. გუნდი კრიზისში იმყოფებოდა და მისი დაძლევის გზებიც არ ჩანდა. კაპელომ საქმეს ხელი მოჰკიდა, შეგირდები დაქოქა და პირველივე წელს ესპანეთის ჩემპიონობა მოაპოვებინა. იდენტური სიტუაცია იყო შექმნილი 2006-07 წლების სეზონის დაწყების წინაც. პრეზიდენტების, ფეხბურთელებისა და მთავარი მწვრთნელების ხშირი შეცვლებით დაძაბუნებული სამეფო კლუბი ევროპული ფეხბურთის ელიტაში ანგარიშგასაწევ ძალად აღარ მიიჩნეოდა. კაპელომ კიდევ ერთხელ დადო პირობა, რომ შეგირდებს სიბელესის მოედანზე მიიყვანდა. თქვა და შეასრულა...

ესპანური გრანდისთვის ბოლო ორი შეხვედრა განსაკუთრებით რთული გახლდათ. წინა ტურში, "სარაგოსასთან" მატჩში **რუუდ ვან ნისტელროიმ** საკუთარი გუნდი სიკვდილისგან ბოლო წამს იხსნა... ისიც სათქმელია, რომ არა, "ბარსელონის" წარმოუდგენელი უპასუხისმგებლობა "ლა რომარედაზე" მიღწეული ფრე მადრიდელებისთვის წაგების ტოლფასი იქნებოდა. "ბარსამ" კატალონიური დერბის ბოლო წუთზე **რაულ ტამუდოს** გოლი გაატანინა. ჩემპიონობის ბედი საბოლოოდ იმ წამს გადაწყდა. **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭებმა ბევრი ქულა გაანიავეს, მაგრამ დამღუპველი "ბეტისსა" და "ესპანიოლთან" ჩატარებული ორთაბრძოლები აღმოჩნდა. კატალონიურმა გიგანტმა საშინაო შეხვედრებში ნათამაშები ორი ყაიმით საკუთარ გულშემატკივრებს სიხარული მოჰპარა და ის მადრიდელებს აჩუქა. წინა ტურში განვითარებული მოვლენების შემდეგ კაპელოსა და მის ბიჭებს "მალიორკის" დამარცხების მეტი აღარაფერი დარჩენოდათ...

ხუან რამონ კალდერონმა საჩემპიონო ყიჟინა ჯერ კიდევ "სარაგოსასთან" მატჩის შემდეგ დასცა, მაგრამ ბატონი ფაბიო მისგან განსხვავებით პროფესიონალია და ჩემპიონობაზე ერთი ნაადრევი სიტყვის გაგონებაც არ სურდა. **ხოან ლაპორტამ** სტილს არ უღალატა. "ბარსას" პრეზიდენტმა "მალიორკას" "სარაგოსასთვის" შეთავაზებული 1 მილიონი ევრო არ აკადრა და ერთბაშად 3 მილიონს დაჰპირდა. თუ ბალეარელები "ბერნაბეუზე" თუნდაც ქულას მოიპოვებდნენ, კატალონიელებისგან პრემიის სახით სწორედ ამ თანხას მიიღებდნენ. ერთ კაცზე დაახლოებით 125 ათასი ევრო გამოდიოდა. დაგვეთანხმებით, ამხელა ფული მოტივაციის ასამაღლებლად საკმარისზე მეტია. კუნძულელებმა თამაში მართლაც ძალიან კარგად დაიწყეს. მათ საერთოდ არ ეშინოდათ პირველობისთვის მებრძოლი მეტოქის და მოედანზე თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თევზი წყალში. **გრეგორიო მანსანოს** შეგირდებმა მე-15 წუთზე მწვავე კონტრშეტევა მოაწყვეს. **არანგომ** მოედნის ცენტრში მოწინააღმდეგეები ჩამოიცილა და **ვარელა იკერ კასილიასთან** პირისპირ გაიყვანა. სტუმართა ნახევარმცველს გოლის გატანა არ გასჭირვებია. მალე მასპინძლებს კიდევ ერთი დიდი უსიამოვნება შეემთხვათ. რუუდ ვან ნისტელროიმ ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა **გონსალო იგუაინისთვის** დაეთმო ადგილი. სამეფო კლუბმა საუკეთესო გოლეადორი დაკარგა. თავად გოლეადორმა კი "ოქროს ბუცის" მოპოვების შანსი. გეცოდინებათ, ვან ნისტელროის პრესტიჟული ჯილდოს დასაუფლებლად მხოლოდ და მხოლოდ ერთი გოლის გატანა სჭირდებოდა. ჰოლანდიელს ფატალურად არ გაუმართლა, თუმცა საწუწუნო მაინც არაფერი აქვს. სამეფო კლუბში გატარებულმა პირველივე სეზონმა რუუდს ესპანეთის ჩემპიონისა და პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულები მოუტანა. "მალიორკამ" პირველი ტაიმი, ფაქტობრივად, უშეცდომოდ დაასრულა. "რეალს" სიცოცხლის გადასარჩენად სულ რაღაც 45 წუთი რჩებოდა.

შესვენებაზე კაპელომ შეცვლა განახორციელა. **ემერსონი** საშხაპეში გააგზავნა, **გუტი** კი მოედნის ცენტრში. მასპინძლებს წონასწორობის აღდგენის შანსი მეორე ნახევრის დებიუტშივე მიეცათ, მაგრამ **სერხიო რამოსის** თავური მცირე მანძილით ასცდა მიზანს. იქვე **რობინიოსაც** მოეცარა ხელი. ამასობაში, 63-ე წუთი დადგა. ფეხატკიებული **დევიდ ბექჰემი ხოსე ანტონიო რეიესმა** შეცვალა. მადრიდულმა ინჩადამ ინგლისელი ვარსკვლავი დიდი ოვაციით გააცილა. მოგეხსენებათ, ბექსმა სამეფო კლუბის ღირსება უკანასკნელად დაიცვა. **რობერტო კარლოსმაც** ბოლო თამაში ჩაატარა. მალე გაირკვა, რომ კაპელომ სასიცოცხლო მნიშვნელობის შეცვლა გააკეთა. მატჩის გმირი სწორედ რეიესი გახდა. სევილიელმა ფორვარდმა იგუაინის კარგი პასი მიიღო და გამოზომილი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. დედაქალაქელები მიხვდნენ, რომ შეტევა კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინათ. ეს თავისთავად დაცვის შესუსტების ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ ბალეარელებმა შანსი ვერ გამოიყენეს. მალე მოვლენათა ეპიცენტრში რობინიო მოექცა. ბრაზილიელის ძლიერი დარტყმა "მალიორკის" მეკარემ დიდი ტანჯვით კუთხურზე მოიგერია. კაპელოს ბიჭებმა სტანდარტულის გათამაშებას დიდი დრო არ მოანდომეს. იგუაინმა ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა. **დიარამ** ყველას დაასწრო და თავურით ბურთი კუთხეში გაგზავნა. მეკარე ბურთს კი მისწვდა, მაგრამ შორს მოგერიება ვეღარ შეძლო და სამეფო კლუბი წინ გავიდა. "ბერნაბეუზე" ფიესტა დაიწყო. ზუსტად სამ წუთში ცხადი გახდა, რომ სასწაული არ მოხდებოდა. რეიესმა მოჭრილი დარტყმით წერტილი დასვა. "რეალმა" არსებობის განმავლობაში 30-ე საჩემპიონო ტიტული დაისაკუთრა.

ჟურნალისტებმა კაპელოს საპრესკონფერენციო დარბაზში მისვლა არც აცადეს და პირდაპირ მინდორზე სთხოვეს შეხვედრა და ზოგადად სეზონი შეეფასებინა: *"თუ გამარჯვება გსურს, ტანჯვისთვის მზად უნდა იყო. დიახ, თუ არ იტანჯე, თუ არ დაიღალე, თუ არ მოკვდი და ხელახლა არ დაიბადე ვერაფერს მიაღწევ. უზომოდ ბედნიერი ვარ. წელს ჩვენ არაერთხელ გარდავიცვალეთ, მაგრამ მკვდრეთით აღვსდექით და სულ ცოტა ხანში სიბელესისკენ ავიღებთ გეზს. მიხარია, რომ სამუშაო პირნათლად შევასრულეთ. ჯერჯერობით არ ვიცი, დავრჩები თუ არა "რეალში". მე ძალიან მინდა, მაგრამ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა უნდა მიიღოს. ალბათ, სენიორ კალდერონთან შეხვედრა და გასაუბრება მომიწევს. ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის. ჩვენ ჩემპიონები ვართ! ვუღოცავ ყველას. გულშემატკივრებს დიდ მადლობას მოვახსენებ. დღეს მათი თანადგომის გარეშე ვერ მოვიგებდით."*

"ბარსელონამ" **პუიოლის, მესისა** და **რონალდინიოს** გოლებით "ხიმნასტიკი" მინასთან გაასწორა, მაგრამ ამ გამარჯვებას არანაირი ფასი არ ჰქონდა. კატალონიელებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ისევ და ისევ იძულებულები ვართ, "ბეტისთან" და "ესპანიოლთან" უმოწყალოდ განიავებული ქულები გავიხსენოთ. რიკაარდი, რა თქმა უნდა, ხვდება, რომ ჩემპიონობა სწორედ იმ შეხვედრებში დაკარგა. ცხადია, "ბარსელონა" ბედს არ შეეგუება და მომავალ სეზონში შურისძიებას შეეცდება. ამბობენ, "კამპ ნოუზე" მალე **ტიერი ანრის** ჩაიყვანენო... ეს ყველაფერი სამომავლო ამბებია, წელს კი "რეალის" ბედნიერების დროა.

დასასრულს, იმასაც მოგახსენებთ, რომ უეფას თასის საგზურებს "სარაგოსა" და "ვილიარეალი" დაეუფლნენ. არაგონელებს ფრეც ეყოთ. აი, **მანუელ პელეგრინის** გუნდს გასვლით შეხვედრაში ჩემპიონობის კიდევ ერთი მაძიებელი, "სევილია" რომ არ დაემარცხებინა, გაისად უეფას თასზე "ატლეტიკო" იასპარეზებდა. ცხრილის ფსკერს რაც შეეხება, პრიმერა დივიზიონს "ხიმნასტიკთან" ერთად "სოსიედადი" და "სელტა" გამოემშვიდობნენ. მართალია, **ხრისტო სტოიჩკოვის** ბიჭებმა "ხეტაფეს" მოუგეს, მაგრამ ამ სამ ქულას "ბეტისისა" და "ბილბაოს" გამარჯვებებმა ფასი დაუკარგა. სანსებასტიანელებს, რა თქმა უნდა, "მესტალიაზე" მიღწეული ფრე არაფერში გამოადგათ. ბასკები 40 წლის შემდეგ სეგუნდა დივიზიონში პირველად ითამაშებენ.

ბილბაო–ლევანტე 2:0

ბილბაო: არანსუბია, ესპოზიტო, უსტარიტა, სარიგეი, კასასი, ორაოლა (72. ტიკო), მურილიო, ხავი მარტინესი (55. ადურისი), იესტე (65. გაბილონდო), ეჩებერია, ურსაისი.

ლევანტე: მოლინა, დესკარგა, ოსკარ სერანო, ალექსისი, რუბიალესი, ეტიენი (70. ნინოო), ტომაზი, ბერსონი (77. ნ'დიაიე), რობერი, რიგა, რეჯი (58. მეიონგ ზე).

გოლები: 1:0 ოსკარ სერანო (59-საკ. კარში), 2:0 გაბილონდო (76)

გაფრთხილება: 3-2; **დარტყმა**: 19(6)-7(3); **კუთხური**: 12-4; **თამაშგარე**: 6-1; **ჯარიმა**: 14-17; **ბურთის ფლობა**: 47%-53%

მაყურებელი: 40 000

სელტა–ხეტაფე 2:1

სელტა: პინტო, იაგო, ლეკი, ტამაში, პლასენტე, უბინია, ანხელი, ნუნიესი (78. ჯონათან ვილა), ნენე (65. ხორხე ლარენა), გუსტავო ლოპესი, ბამოგო (71. გაირე).

ხეტაფე: ლუის გარსია, კორტესი, ბელენგერი (75. ტენა), პულიდო, ლიხტი, რედონდო, ალბერტო, სოუზა, ნაჩო (75. გუისა), მარისი, მანუ დელ მორალი (63. პაჩონი).

გოლები: 0:1 რედონდო (25), 1:1 ბამოგო (36), 2:1 ლეკი (66)

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 11(3)-15(3); **კუთხური**: 2-9; **თამაშგარე**: 5-7; **ჯარიმა**: 22-26; **ბურთის ფლობა**: 44%-56%

მაყურებელი: 25 000

ესპანიოლი–დეპორტივო 1:3

ესპანიოლი: ირაიასოსი, ლაკრუსი (72. ხულიანი), ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, რუფეტე, ანხელი (79. იტო), ფონათასი, კორო, ლუის გარსია, ტამუდო.

დეპორტივო: ავატე, კოლოჩინი, ლოპო, ჟორჟუ ანდრადე, ფილიპე, სერხიო (68. ვერდუ), ხუან როდრიგესი, არისმენდი (79. რიკი), იაგო, კრისტიანი, ბოდიპო (46. მანუელ პაბლო).

გოლები: 1:0 რაულ ტამუდო (47), 1:1 იაგო (60), 1:2 სერხიო (62), 1:3 რიკი (83)

გაძევება: ჟორჟუ ანდრადე (13 . დეპორტივო)

გაფრთხილება: 2-3; **დარტყმა**: 12(6)-15(6); **კუთხური**: 5-9; **თამაშგარე**: 2-3; **ჯარიმა**: 23-12; **ბურთის ფლობა**: 49%-51%

მაყურებელი: 16 950

ვალენსია–სოსიედადი 3:3

ვალენსია: ბუტელი, კორკოლესი, ალბაიოლი, მორეტი, კურო ტორესი, ხორხე ლოპესი (84. ნაჩო ინსა), ბარახა, ალბელდა (60. პალარდო), გავილანი (73. რეგეირო), სილვა, ვილია.

სოსიედადი: რიესგო, ხერარდო, ანსოტეგი, ვიქტორ ლოპესი, ლოპეს რეკარტე (67. ალვარო ნოვო), ესტრადა, ხუანიტო (67. ალონსო), გარიტანო, სავიო, დიას დე სერიო, კოვაჩევიჩი (77. ერერა).

გოლები: 0:1 გარიტანო (2), 1:1 ვილია (5), 2:1 ვიქტორ ლოპესი (19-საკ. კარში), 2:2 დიას დე სერიო (35), 3:2 ესტრადა (82-საკ. კარში), 3:3 მორეტი (90-საკ. კარში)

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 17(8)-15(6); **კუთხური**: 8-6; **თამაშგარე**: 4-2; **ჯარიმა**: 19-19; **ბურთის ფლობა**: 50%-50%

მაყურებელი: 20 000

რასინგი–ბეტისი 0:2

რასინგი: კალატაიუდი, კრისტიან ალვარესი, რუბენი, ალფარო (85. დე აბრეუ), პინილიოსი, მომო (70. პლატერო), ანტონიო ტომასი (66. კრისტიან პინილია), კოლსა, სერანო, მუნიტისი, ხუანხო.

ბეტისი: ილიჩი, ხუანიტო, რივასი, ფერნანდო ვეგა, ასუნსაო (76. ფერნანდო), რივერა, ოდონკორი (55. დანი), ჩისკო, ედუ, სობისი (79. მალდონადო).

გოლები: 0:1 ედუ (79), 0:2 ედუ (90)

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა**: 8(1)-17(3); **კუთხური**: 0-5; **თამაშგარე**: 5-1; **ჯარიმა**: 16-16; **ბურთის ფლობა**: 47%-53%

მაყურებელი: 13 838

რეალი–მალიორკა 3:1

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, კანავარო, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, ბეკჰემი (66. რეიესი), დიარა, ემერსონი (46. გუტი), რობინიო, რაული, ვან ნისტელროი (33. იგუაინი).

მალიორკა: მოია, ექტორი, ბალესტეროსი, ნავარო, ვარელა, ნუნიესი (36. რამისი), პერერია (89. ტრეხო), ბახინასი, ვიქტორი (67. მაქსი ლოპესი), არანგო, იონას გუტიერესი.

გოლები: 0:1 ვარელა (16), 1:1 რეიესი (68), 2:1 დიარა (79), 3:1 რეიესი (82)

გაფრთხილება: 4-4; **დარტყმა**: 19(7)-7(2); **კუთხური**: 6-2; **თამაშგარე**: 1-1; **ჯარიმა**: 18-21; **ბურთის ფლობა**: 62%-38%

მაყურებელი: 90 000

სევილია–ვილიარეალი 0:1

სევილია: პალოპი, ჰინკელი (46. მარესკა), აიტორ ოსიო, ესკუდე, დავიდ, პოულსენი, მარტი, ალფარო (56. ჩევანტონი), პუერტა, კანუტე, ლუიშ ფაბიანო (56. კერჟაკოვი).

ვილიარეალი: სიერა, ხავი ვენტა, კიკე ალვარესი, ფუენტესი, ხოსე ენრიკე, სენა, კანი, პირესი, ხოსიკო (41. სომოსა), ფრანკო (81. ნიჰათი), ტომასონი (89. არუბარენა).

გოლები: 0:1 ფუენტესი (50)

გაფრთხილება: 3-3; **დარტყმა**: 9(1)-15(6); **კუთხური**: 3-3; **თამაშგარე**: 5-2; **ჯარიმა**: 12-19; **ბურთის ფლობა**: 44%-56%

მაყურებელი: 40 000

ოსასუნა–ათლეტიკო 1:2

ოსასუნა: ელია (61. რიკარდო), ისკიერდო, კუელარი, მიგელ ფლანიო, მონრეალი, მუნიოსი (72. სოლა), პუნიალი, ექტორ ფონტი, ხუანფრანი, დავიდ ლოპესი, მილოშევიჩი (85. არკაია).

ათლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, ელერი, ანტონიო ლოპესი, ხე კასტრო, მანიშე, კოშტინია, მაქსი როდრიგესი (82. გალეტი), პეტროვი, ფერნანდო ტორესი, აგუერო (73. გაბი).

გოლები: 0:1 მაქსი როდრიგესი (37), 1:1 მილოშევიჩი (46), 1:2 მონრეალი (51-საკ. კარში)

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 19(8)-7(5); **კუთხური**: 14-1; **თამაშგარე**: 2-4; **ჯარიმა**: 10-15; **ბურთის ფლობა**: 55%-45%

მაყურებელი: 23 000

ხიმნასტიკი–ბარსელონა 1:5

ხიმნასტიკი: რუბენ პერეზი, დელფინ ბესარ ნავასი, მატიასინი, შარკი, ბრანკო, ირურსუნი, მორალესი (72. მერინო), ხენერელო (57. პინილია), კუელარი (64. გრანი), პორტილიო.

ბარსელონა: ვიქტორ ვალდესი, ტიურამი (73. ოლეგერი), პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ძამბროტა, ჩავი, ინიესტა, დეკუ (72. მოტა), მესი (82. ესკერო), ეტო'ო, რონალდინიო.

გოლები: 0:1 პუიოლი (19), 0:2 მესი (33), 0:3 რონალდინიო (37), 0:4 მესი (50), 1:4 გრანი (84), 1:5 ძამბროტა (90)

გაფრთხილება: 1-0; **დარტყმა**: 12(2)-24(12); **კუთხური**: 2-6; **თამაშგარე**: 4-3; **ჯარიმა**: 24-6; **ბურთის ფლობა**: 32%-68%

მაყურებელი: 20 000

რეკრეატივო–სარაგოსა 1:1

რეკრეატივო: ლაკე, მერინო (54. იაგო ბუსონი), ბეტო, პოლი, კასორლა, არსო, ხესუს ვასკესი, აიტორი, ჩელი (69. ხუანმა), უჩე (60. სინამა პონგოლე), ხავი გერერო.

სარაგოსა: სესარი, პიკე, გაბი მილიტო, საპატერი, ჩუს გერერო, სელადესი, ლაფიტა, დ'ალესანდრო (55. ლორგესი), მოვილია (46. ევერტონი), აიმარი, დიეგო მილიტო (79. არანსაბალი).

გოლები: 1:0 ხავი გერერო (2), 1:1 დიეგო მილიტო (75)

გაძევება: პიკე (62. სარაგოსა)

გაფრთხილება: 0-5; **დარტყმა**: 11(4)-8(3); **კუთხური**: 6-4; **თამაშგარე**: 1-6; **ჯარიმა**: 5-17; **ბურთის ფლობა**: 48%-52%

მაყურებელი: 18 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეალი	38	23	7	8	65-40	76
2. ბარსელონა	38	22	10	6	78-33	76
3. სევილია	38	21	8	9	64-35	71
4. ვალენსია	38	20	6	12	57-42	66
5. ვილიარეალი	38	18	8	12	48-44	62
6. სარაგოსა	38	16	12	10	55-43	60
7. ათლეტიკო	38	17	9	12	46-39	60
8. რეკრეატივო	38	15	9	14	54-52	54
9. ხეტაფე	38	14	10	14	39-33	52
10. რასინგი	38	12	14	12	42-48	50
11. მალიორკა	38	14	7	17	41-47	49
12. ესპანიოლი	38	12	13	13	46-53	49
13. დეპორტივო	38	12	11	15	32-45	47
14. ოსასუნა	38	13	7	18	51-49	46
15. ლევანტე	38	10	12	16	37-53	42
16. ბეტისი	38	8	16	14	36-49	40
17. ბილბაო	38	10	10	18	44-62	40
18. სელტა	38	10	9	19	40-59	39
19. სოსიედადი	38	8	11	19	32-47	35
20. ხიმნასტიკი	38	7	7	24	34-69	28

ბომბარდირები: 25 - ვან ნისტელროი (რეალი); 23 - დიეგო მილიტო (სარაგოსა); 21 -კანუტე (სევილია), რონალდინიო (ბარსელონა); 19 - ფორლანი (ვილიარეალი); 15 - ვილია (ვალენსია); 14 - ტამუდო (ესპანიოლი), ბაიანო (სელტა), მესი (ბარსელონა); 13 - მორიენტესი (ვალენსია); 12 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო).

II დივიზიონი

XLII ტური

ალბასეტე–ლორკა 1:0

გოლი: 1:0 კალე (43-პენ)

სალამანკა–სიუდადი 1:0

გოლი: 1:0 გარსი (41)

სპორტინგი–ხერესი 2:1

გოლები: 1:0 კონგო (53), 1:1 დ. ნარვაესი (87), 2:1 ხერარდო (90-პენ)

ტარაჯესი–ელჩე 0:2

გოლები: 0:1 ო. დიასი (15), 0:2 ო. დიასი (31)

ალავესი–პონფერადინა 1:2

გოლები: 0:1 ფრანი (48), 1:1 პაულისტა (66), 1:2 რისო (70)

ლას პალმას–ეხიდო 0:2

გოლები: 0:1 სალასი (23), 0:2 ტოედტლი (28)

ნუმანსია–ვალიადოლიდი 1:2

გოლები: 0:1 ტოჩე (69), 1:1 ბრიტი (78), 1:2 ტოჩე (90)

კასტელონი–მალაგა 0:1

გოლი: 0:1 ვალე (47)

მურსია–ჯენერიფე 1:4

გოლები: 0:1 სიცილია (8), 0:2 ორმიგა (10), 0:3 კრისტო (27), 0:4 ხილი (74), 1:4 ანტონიტო (77)

კადისი–რეალი B 3:3

გოლები: 1:0 ერრიკე (3), 1:1 რაიკო (10), 1:2 რაიკო (12), 2:2 სანჩესი (26-საკ. კარში), 2:3 ნიეტო (42), 3:3 ლობოსი (77)

ალმერია–ვესინდარიო 3:0

გოლები: 1:0 კრუსატი (36), 2:0 ფრანსისკო (55), 3:0 კირიანი (58)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ვალიადოლიდი	42	26	10	6	70-35	88
2. ალმერია	42	24	8	10	73-49	80
3. მურსია	42	21	13	8	62-45	76
4. სიუდადი	42	18	9	15	52-44	63
5. კადისი	42	15	16	11	53-45	61
6. ალბასეტე	42	16	12	14	49-48	60
7. ტენერიფე	42	18	6	18	48-51	60
8. ხერესი	42	16	10	16	47-42	58
9. ნუმანსია	42	15	13	14	48-44	58
10. ეხიდო	42	16	10	16	52-50	58
11. ელჩე	42	16	10	16	47-46	58
12. სალამანკა	42	15	12	15	53-50	57
13. კასტელონი	42	15	11	16	48-41	56
14. სპორტინგი	42	16	8	18	53-53	56
15. მალაგა	42	14	13	15	49-50	55
16. ერკულესი	42	14	12	16	48-52	54
17. ალავესი	42	13	13	16	51-60	52
18. ლას პალმასი	42	13	12	17	51-59	51
19. რეალი B	42	13	10	19	55-67	49
20. პონფერადინა	42	11	13	18	45-61	46
21. ლორკა	42	9	10	23	37-60	37
22. ვესინდარიო	42	9	7	26	42-81	34

მილანი

შევა, არ დაბრუნდე!

ანჩელოტი და კომპანია წინააღმდეგია. ანრის მილანისკენ გზა ეხსნება, მაგრამ როსონერი რონალდინიოს ან ეტოოსაც ელოდება

გუშინ იტალიურმა "ილ ჯორნალემ" უცნაური ინფორმაცია გაავრცელა. "მილანის" მოთამაშეთა ერთი ნაწილი, მწვრთნელ **კარლო ანჩელოტის** თამადობით, თურმე, **ანდრეი შევჩენკოს** დაბრუნებას ეწინააღმდეგება. მოთამაშეებზე რა გითხრათ, მაგრამ ამასწინათ, კარლეტო ანდრეის შესაძლო დაბრუნებას ორივე ხელით მიესალმებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე თქვა ერთერთ პრესკონფერენციაზე. იმ ფეხბურთელთა შორის, ვისაც ძველი თანაგუნდელის მილანური "რეინკარნაცია" გულზე არ ეხატება, **პაოლო მალდინის, ჯენარო გატუზოსა** და **კლარენს ზეედორფს** ასახელებენ.

სიტუაცია საკმაოდ დელიკატურია. არადა, **სილვიო ბერლუსკონის** ერთი სული აქვს, როდის დაიბრუნებს შვილობილს. აკი გაცნობეთ კიდეც, რომ კოლორიტულმა პრეზიდენტმა შეევას დაბრუნების შანსი 80 პროცენტით შეაფასა. თუ სილვიოს შევჩენკო უნდა, მის ჩამოსაყვანად ყველაფერს გააკეთებს, მაგრამ პრეზიდენტი ვალდებულია, გუნდისა და მწვრთნელის აზრიც გაითვალისწინოს. შევჩენკო, მიუხედავად იმისა, რომ "მილანიდან" ახალი წასულია, უკვე უცხო სხეულივითაა. ანჩელოტის მთავარი სქემა **რონალდო-კაკას** ტანდემზეა მორგებული. შევჩენკოს ფაქტორს კი ამ ანყობილი მექანიზმის დაშლა შეუძლია. როგორც იტალიელი მიმომხილველები ამბობენ, ბერლუსკონის ფეხბურთი კარგად ესმის და ამდენად, ის არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რაც კლუბის ერთიანობას ზიანს მიაყენებს, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ...

მაგრამ იმის თქმა, რომ "მილანმა" უკრაინელ ფორვარდზე ხელი საბოლოოდ აიღო, ჯერ ნაადრევია. თან ისიც არავინ იცის, რამდენად ახლოსაა სიმართლესთან "ილ ჯორნალეს" ინფორმაცია. ამასაც მალე გავიგებთ. ახლა კი, რაც შეეხება ფინანსურ დეტალებს. "ჩელსის" კარგად ესმის, რომ დღევანდელ შევჩენკოს 30 მილიონ გირვანქად (სწორედ ამდენი გადაუხადეს "მილანს" ერთი წლის წინათ) ვერ გაყიდის. ამ პირობებშიც, "არისტოკრატები" 20 მილიონზე ნაკლებს არ მოითხოვენ. მაგრამ **რომან აბრამოვიჩის** მხრიდან ეს იქნება დამარცხების აღიარება, როგორც მორალური, ისე ფინანსური თვალსაზრისით, აბრამოვიჩისა იმიტომ, სწორედ ის იყო შევჩენკოს ტრანსფერის ინიციატორი და არა **პიტერ კენიონი**, მით უმეტეს, **ჟოზე მოურინიო**. ინვესტიციას მაშინ აქვს აზრი, თუ მას მოგება მოაქვს, უკრაინელს კი "ჩელსისთვის" 30 მილიონისა არაფერი გაუკეთებია, მეტი რომ არ ვთქვათ. შეიძლება, დისკუსია გაიმართოს ორწლიან განათხოვრებაზეც. ლონდონელები თანახმანი არიან, გაფორმდეს საარენდო ხელშეკრულება 10 მილიონ გირვანქაზე, მაგრამ ეს უკვე "მილანის" ინტერესებს ეწინააღმდეგება. "როსონერი" ამ ოპერაციაში მხოლოდ 6.7 მილიონს გადაიხდის და არც ერთი ცენტით მეტს.

შევჩენკოს სიტუაციიდან გამომდინარე, ისევ ნამოინია **ტიერი ანრის** თემამ. რაკი "არსენალის" ფორვარდს "ემირიტსზე" დარჩენა ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, კვლავაც ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო ობიექტიაო, აცხადებს "ილ ჯორნალე". გაზეთის ინფორმაციით, ამ კვირიდან "მილანი" ანრის ხელში ჩასაგდებად საგრძნობლად გააქტიურდება. ის, რომ "როსონერის" (და არა მარტო) ტიერი ძალიან უნდა, ესეც არა ერთხელ თქმულა. ძლიერაა მოწადინებული ანჩელოტიც, რომელსაც ფრანგი ფორვარდი სასურველ მოთამაშეთა სიაში პირველ ნომრად ჰყავს მონიშნული. მაგრამ "მილანს" უალრესად სერიოზული კონკურენტები ეცილებიან, "ინტერისა" და "ბარსელონის" სახით... და, რა თქმა უნდა, თავად "არსენალიც", რომელიც ყველანაირად ეცდება მთავარი ფიგურის შენარჩუნებას. ამის გარანტიად, შეიძლება, **არსენ ვენგერი** იქცეს. ფრანგი სპეციალისტი ლონდონში კიდევ ერთ სეზონს გაატარებს. სწორედ ვენგერის ფაქტორი იყო ის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ანრიმ შარშან "ბარსელონაში" წასვლაზე უარი თქვა. მას ესმის, რომ ახალგაზრდულ "არსენალში" ტიტულებს დიდხანს ვერ მოიხვეჭს, ხოლო "მილანში", "ბარსელონასა" და "ინტერში" ეს გაცილებით ადვილია...

ამავე დროს, საყურადღებოა გავლენიანი სატრანსფერო კონსულტანტის **ერნესტო ბრონცეტის** სიტყვებიც. ეს კაცი ესპანეთსა და იტალიაში მუშაობს, საქმეშიც მშვენივრადაა ჩახედული და ბუნებრივია, დაეჯერება კიდეც. ესპანურ პრესასთან საუბარში ის ამბობს:

"ბევრი რამ კვირას საღამოს გაირკვევა. თუ "ბარსელონა" ჩემპიონი ვერ გახდა, ორიდან ერთი, რონალდინიო ან ეტოო, აუცილებლად დატოვებს გუნდს. და ჩვენ ვიცით, რომ ასეთ შემთხვევაში, "მილანი" მზად იქნება, საჭირო თანხა გადაიხადოს".

საით, ანრი?

რონალდო ფენერბაჰჩემ მოითხოვა

ამ სატრანსფერო გაწამაწიაში, "მილანს" მოულოდნელად "ფენერბაჰჩეს" ემისრები სწვევიან. ინფორმაცია ესპანურმა as-მა გაავრცელა. თურმე ნუ იტყვით და, თურქულ გრანდს, **რობერტო კარლოსის** კვალდაკვალ, მისი თანამემამულე **რონალდოს** გადაბირებაც სდომებია. "ფენერის" მადას მხოლოდ და მხოლოდ მიესალმება კაცი. თურქულ დელეგაციას **ადრიანო გალიანიმ** უმასპინძლა. სტუმრების წინადადება ასეთი ყოფილა: "მილანს" 7 მილიონი გირვანქა, ფეხბურთელს კი 3-წლიანი კონტრაქტი, ზედაც 4.7 მილიონი გირვანქა სეზონური ჯამაგირის სახით.

რა თქმა უნდა, გალიანიმ "ფენერბაჰჩეს" წინადადება უარჰყო. მართალია, ფინანსური თვალსაზრისით, შეთავაზება სარფიანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ზამთარს "ფენომენი" 5.7 მილიონ გირვანქად იყიდეს. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ რონალდო "მილანში" ჯერ კიდევ ახალი კაცია და მომავალი სეზონიდან უკვე ჩემპიონთა ლიგაშიც შეეძლება თამაში, მის ტრანსფერზე საუბარი ახლა უაზრობაა. მეტიც, უკვე დაიწყო მოლაპარაკება კონტრაქტის გაგრძელებაზეც. და განა "ფენერბაჰჩეს" მესვეურებმა არ იცოდნენ, რომ რონალდო "მილანს" თუნდაც თურქულ გრანდზე არ გავცლიდა? მოკლედ, ამაოდ დაშვრნენ... თუმცა რატომ ამაოდ? პი-არის თვალსაზრისით, თურქების მილანური ვოიაჟი ნამდვილად სასარგებლო იქნება...

ინტერვიუ მასიმო მორატისთან

ამდენი ფორვარდი არ გვჭირდება

ტრიუმფალური სეზონის შემდეგ "ინტერის" ფეხბურთელები შვებულებაში არიან. მაგრამ ეს ნანატრი შვებულება ყველასთვის არაა. მალე "კოპა ამერიკა" დაიწყება და მოთამაშეთა ერთ ნაწილს დასვენებისთვის ნამდვილად არ ეცლება. სწორედ ამის გამო, ეს ფეხბურთელები ახალი სეზონისთვის მზადებას სხვებთან შედარებით გვიან დაიწყებენ. "ინტერის" ბოსებისთვის კი არადაგეგები არც დაწყებულა. ისინი ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობენ. ახლა სატრანსფერო ციებ-ცხელების პერიოდია. "ლა რეპუბლიკასთან" ინტერვიუში "ნერაძურის" პრეზიდენტი მასიმო მორატი სწორედ ზაფხულის სასელექციო გეგმებზე საუბრობს...

- მორატი, კარლოს ტევესმა თქვენს საიდუმლოს ფარდა ახადა, გაანაცხადა რა, რომ "ინტერი" მისი სამსახურითაა დაინტერესებული...

- დიახ, ტევესი ძალიან მოგვწონს. ის მაღალი დონის ფორვარდია, აქვს ძლიერი ხასიათი... მოკლედ, ის ფორვარდია, რომელსაც ყველა საჭირო თვისება აქვს და მჯერა, მას აქვს სერიოზული შანსი, რათა იტალიაში წარმატებებს მიაღწიოს. ჩვენ დავიწყეთ კიდეც მოლაპარაკებები, მაგრამ სწორად გამიგეთ - რაოდენ ამბიციურიც არ უნდა იყოს გუნდი, არ შეიძლება, ექვსი თავდამსხმელი ჰყავდეს. მაგალითად მოვიყვანდი დავიდ სუასისაც...

- სუასისთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია. კმაყოფილი ხართ?

- ძალიან. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. შესანიშნავი ფორვარდია, დიდი ხანია ვაკვირდებოდით. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები იოლი არ ყოფილა, ახლა ეს უკვე მეორეხარისხოვანია. მთავარია, ტრანსფერი შედგა.

- ...თუმცა კრისტიან კივუს შეძენას ვერ ახერხებთ. სერიოზული პრობლემებია?

- არ დავმალავ, რომ ეს მოთამაშე გვაინტერესებს. ახლა "რომასთან" კონსულტაციები გვაქვს. პრობლემები მართლაც არის, მაგრამ დღეს სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ. ისე კი, მინდა გითხრათ, რომ ინტერესის მიუხედავად, კივუს გადმობირება სასიცოცხლო აუცილებლობად არ მიმაჩნია. ამით "ინტერი" არ დაინგრევა.

- და მაინც, რამ შეიძლება გამოიყვანოს სიტუაცია ჩიხიდან?

- საქმე მოგვარდება, თუ "ინტერის" მხრიდან სერიოზული არგუმენტები დაიდება... თუ გნებავთ, პირადად ჩემი მხრიდანაც.

- "ინტერს" ხომ შეუძლია, გაითვალისწინოს "რომას" სურვილი, რომელსაც დავიდ პისაროს დატოვება სურს? ამ ფეხბურთელს თქვენ და "ჯალოროსის" ორმაგი მფლობელობა გაქვთ...

- არის უამრავი ფაქტორი, რაც მხედველობაში უნდა მივიღოთ. პისარო შესანიშნავი ფეხბურთელია და ხომ შეიძლება, გარკვეულ სიტუაციაში ის "ინტერსაც" დასჭირდეს? რატომ უნდა დავუთმოთ "რომას" მოთამაშის სატრანსფერო უფლების სრული წილი? ვნახოთ, როგორ წარიმართება მოლაპარაკებები და ისიც გამოჩნდება, რამდენად შეუპოვრები უნდა ვიყოთ იმისთვის, რათა პოზიტიური შედეგი მივიღოთ.

- მომავალ წელს, "ინტერი" საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს. ტიფოზები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ამ მნიშვნელოვანი თარიღისთვის მორატი მათ რაღაც საჩუქარს გაუკეთებს. ხომ არ შეიძლება, ეს ტრეზეგე იყოს?

- არა, არა მგონია, ეს მოთამაშე გვჭირდებოდეს. ჩვენ უფრო მეტად ახალგაზრდა ფეხბურთელი გვჭირდება, ფეხბურთელი, რომელსაც პერსპექტივა ექნება. მომავლისთვის რაღაც საფუძველი უნდა შევქმნათ და ახლა ამაზეც ვფიქრობთ. თუმცა დღეს ახალგაზრდა ფეხბურთელებიც საკმაოდ ძვირად ფასობენ. აქ სერიოზული სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო...

- მაგალითად, სამირ ნასრი ახალგაზრდაა და მეტად პერსპექტიულიც...

- დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ არც კი ვიცი, ყიდიან თუ არა მას, ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი გამიგია. საერთოდ, ჩვენ სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობთ.

- ბოლოს და ბოლოს, ლუიშ ფიგუმ "ინტერში" კიდევ ერთი სეზონის გატარება გადაწყვიტა. ეს რამენაირად აისახება კლუბის სატრანსფერო სტრატეგიაზე?

- ჩვენ უკვე გარკვეული კორექტივები შევიტანეთ გეგმებში. ფიგუს წასვლა გვაიძულებდა, სატრანსფერო ბაზარზე დიდი ხარჯები გაგვეწია. ახლა კი პირიქით, ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გარანტირებულები ვართ მსოფლიო კლასის მოთამაშისა და სერიოზული პიროვნების სამსახურით. იმედი მაქვს, რომ ლუიში მომავალ სეზონსაც უმაღლეს დონეზე ჩაატარებს.

- კასანო? როგორც ამბობენ, რობერტო მანჩინიმ მისი ყიდვა პირადად გთხოვათ...

- არ უთხოვია, მაგრამ ვიცი, რომ მას კასანო მოსწონს. და რა არის ამაში გასაკვირი? მეც მომწონს, მართლაც კარგი მოთამაშეა, მაგრამ არა მგონია, "ინტერი" მისი შეძენით იყოს დაინტერესებული... ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც...

- რეკორდი და ადრიანო. დიდხანს უნდა ელოდონ "ინტერის" გულშემატკივრები მათგან ჩვეულ თამაშს?

- სამწუხაროდ, რეკორდი მიდის. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ვისაუბრეთ. მან ასეთი რამ მითხრა - თქვენ ერთადერთი მიზეზი ხართ, რის გამოც "ინტერში" ამდენ ხანს დავრჩიო. საოცარი სიტყვებია და ვიცი, რომ ალვარო ამ შემთხვევაში გულწრფელი იყო. მე მას შვილივით ვეპყრობოდი... მაგრამ ორივემ აშკარად დავინახეთ, რომ განშორების მომენტი დადგა... სამწუხაროა... რეკორდი ყოველთვის აძლევდა "ინტერს" იმდენს, რამდენიც შეეძლო... რაც შეეხება ადრიანოს, მას კრიზისული პერიოდი ჰქონდა, მაგრამ ველოდებით, რომ ის კვლავ დაიბრუნებს თავის საუკეთესო ფორმას. ამას ელოდებიან ჩვენი ტიფოზებიც.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ სერია A-ში "ნაპოლისა" და "ჯენოას" დაბრუნებით ჩემპიონატი უფრო სახალისო გახდება? თუ არაფერს ვიტყვით "იუვენტუსზე"...

- სიმართლე გითხრათ, ჩემთვის გასული სეზონიც ფრიად სახალისო და დაუვიწყარი იყო. ისე კი, რა თქმა უნდა, ველი, რომ მომავალი ჩემპიონატი, სწორედ რომ "ნაპოლისა" და "ჯენოას" გამო, კიდევ უფრო საინტერესო იქნება. სერია A-ს დაემატა ორი გუნდი უმდიდრესი ისტორიით... მაგრამ ისტორიას თავის ადგილი აქვს, მათ თავიანთი ძალა მოედანზე უნდა გვაჩვენონ.

მასიმო მორატი ჯერჯერობით, კმაყოფილია

ხულიო კრუსს რომაში უნდა, მაგრამ...

ტრანსფერი იშლება?

ინტერს კივუ არ გამოსდის, კრუსს რომა

"ეს ის კლუბი და ქალაქია, რომელიც ნებისმიერ ფეხბურთელში აღფრთოვანებას გამოიწვევდა. 28 მაისს, მასიმო მორატიმ კრუსს უთხრა, რომ კონტრაქტის გაგრძელებას შესთავაზებდა. მაგრამ მას მერე ორ კვირაზე მეტი გავიდა და ჯერჯერობით, ახალ ხელშეკრულებაზე არაფერი ისმის. საქმე ისაა, რომ იტალიურ ფეხბურთში სიტუაცია არა ყოველდღიურად, არამედ ყოველ საათში იცვლება. დღისით რომ ერთს გეუბნებიან, საღამოთი ყველაფერი თავდაყირა დგება. ჩემს კლიენტს სურს, "ინტერში" დარჩეს. მაგრამ თუ წინადადებები იქნება, ჩვენ დავსხდებით და ყველაფერს ავწონ-დავწონით".

მისი აზრით, კრუსს ნებისმიერ გუნდში შეუძლია თამაში. მაგრამ არის ერთი კლუბი, რომელიც ახლავე შეიძლება გამოვრიცხოთ: გუსტავო გეცი დარწმუნებულია, რომ გასაგები მიზეზების გამო, ხულიო "მილანში" არ წავა. აი, რაც შეეხება "რომასა" და "იუვენტუსს", ამაზე კი შეიძლება ლაპარაკიო, ამბობს პატივცემული აგენტი. მაგრამ აქ არის სწორედ მთავარი სირთულე. რადიო "რადიოსთვის" გაკეთებულ კომენტარში სინიორ გეცი, სახელფასო ლიმიტის გამო, "ჯალოროსის" ვარიანტს პრობლემატურად მიიჩნევს:

"აქ მართლაც სერიოზული პრობლემაა. ხულიომ იცის, რომ "რომაში" წლიურად 1.7 მილიონ გირვანქაზე მეტს ვერ აიღებს. ამას პრემიებიც რომ მივათვალოთ, მაინც ძალიან შორს იქნება მისი მოთხოვნებისგან. ამიტომ, უნდა მოვიცადოთ".

ხუან რომან რიკელმე

იუვენტუსი

რანიერის რიკელმეც უნდა

დიდი ტრიადის უკანასკნელი მოჰიკანიც მიდის. რა მოხდა იუვესა და ბეტეგას შორის? დეშამი იუვენტუსის მოთამაშეებს აძეზებსო...

კლაუდიო რანიერის შესაშური მადა აღმოაჩნდა. მას შემდეგ, რაც "იუვენტუსმა" თითქმის ბოლომდე მიიყვანა **გაბრიელ მილიტოს** ტრანსფერი, ჯერი კიდევ ერთ არგენტინელზე მიდგა. იტალიური პრესის ინფორმაციით, რანიერიმ **ხუან რომან რიკელმეს** ყიდვაც მოითხოვა. 28 წლის ფლეიმეიქერი "ვილიარეალის" საკუთრებად რჩება. ამ უკანასკნელის მწვრთნელ **მაურისიო პელეგრინისთან** კონფლიქტის გამო, ბოლო რამდენიმე თვე მან არენდით "ბოკა ხუნიორსში" გაატარა. არგენტინული გრანდი წარმატებით გამოდის ლიბერტადორესის თასზე, რაც დიდწილად რიკელმეს დამსახურებაა. განათხოვრების ვადა მას 30 ივნისს უსრულდება, თუმცა მოლაპარაკებების დაწყება ახლაც შეიძლება...

სატრანსფერო ბაზარზე რანიერის გააქტიურებას მიმომხილველები "იუვენტუსიდან" **რობერტო ბეტეგას** წასვლას უკავშირებენ. დიახ, ბოლო რამდენიმე დღეში "ქალბატონის" დირექტორატს მეორე გავლენიანი ფიგურა ტოვებს. ჯერ **მარკო ტარდელიმ** თქვა უარი მუშაობაზე, ახლა კი პოსტს "იუვეს" კიდევ ერთი ლეგენდა ემშვიდობება. "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ ბეტეგა რომ ტურინულ გრანდში დარჩა, ეს იმთავითვე სენსაცია იყო. მისი სახელი იმ "ტრიადას" უკავშირდებოდა, რომელშიც, მასთან ერთად, **ლუჩანო მოჯი** და **ანტონიო ჯირაუდო** შედიოდნენ. ეს ორი ფეხბურთის უკვე ჩამოცილებულია.

როგორ და რატომ დარჩა ბეტეგა დღემდე ხელუხლებელი? ალბათ, ორი მიზეზის გამო. პირველი, რომ მისი გვარი მოჯი-ჯირაუდოს მაქინაციებში გარკვევით არ ფიგურირებდა, და მეორე: ბეტეგა "იუვენტუსის" ისტორიის ერთ-ერთი ნათელი პერსონაა. როგორც ჩანს, ახალი ხელმძღვანელობა მის გაშვებას ამიტომაც მოერიდა. თუმცა, როგორც ხედავთ, ბეტეგას პოზიციები მაინც შეირყა. "იუვეს" მაღალ უფროსობას მასთან რამდენიმე პრეტენზია აქვს. ბეტეგამ, როგორც კლუბის მთავარმა სატრანსფერო კურატორმა, ვერ შეძლო გუნდში ისეთი ფიგურების შენარჩუნება, როგორებიც არიან **ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა, პატრიკ კიეირა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, რომლებმაც "იუვე" შარშან ზაფხულში დატოვეს. დღეს კი, მისივე "უნიათობის" გამო, "ბიანკონერი" **მაურო კამორანეზისაც** კარგავს, **დავიდ ტრეზეგე** კი გუნდიდან სულაც სკანდალით მიდის. ასეთია მიმომხილველთა ვერსია. თუმცა ერთი რამაა უცნაური: როცა საუბარია კანავაროს, ძამბროტას, ვიერასა და იბრაჰიმოვიჩის წასვლაზე, რაც ბეტეგას მინუსად ჩაუთვალეს, მაშინ პლუსი ხომ არის ის, რომ სერია B-ში გადასვლის მიუხედავად, გუნდში დარჩნენ **ჯანლუიჯი ბუფონი, ალესანდრო დელ პიერო, პაველ ნედვედი** და იგივე ტრეზეგე?

ასეა თუ ისე, ბეტეგა 30 ივნისიდან ტურინში აღარ იმუშავებს. გარდა მდიდარი საფეხბურთო წარსულისა, მან 14 წელი გაატარა კლუბის მმართველობაშიც. მის შემცვლელთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთერთ წონად კანდიდატურად "რეალში" მომუშავე **ფრანკო ბალდინი** სახელდება. ბალდინი "რომას" ყოფილი გენერალური მენეჯერია. ზოგიერთი ვერსიით, ბეტეგა, შეიძლება შეცვალოს **ჯოვანი სარტორიმ**, რომელსაც "ტორინოში" ნაყოფიერ მუშაობის გამო აქებენ...

...მაგრამ დავუბრუნდეთ სატრანსფერო ამბებს. როგორც ამბობენ, "იუვენტუსი" **რაფაელ ვან დერ ვაარტს** არ ეშვება. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ტურინელებმა "ჰამბურგისთვის" შეთავაზებულ 10 მილიონ ევროს 2 მილიონი დაამატეს. გერმანული კლუბი კი 20 მილიონს ფეხს არ უცვლის. ბოლო ინფორმაციით, "ჰამბურგის" ბოსმა **ბერნდ ჰოფმანმა** ჰოლანდიელის გაყიდვის შესაძლებლობა კატეგორიულად უარყო. თავად ვან დერ ვაარტსაც, მოგეხსენებათ, "იუვენტუსში" წასვლა მაინცდამაინც არ უნდა, მას "რეალი" ურჩევნია. მაგრამ გვაფიქრებს გერმანული გამოცემა "ბილდის" მასალა, სათაურით - "ვან დერ ვაარტი ტურინს უახლოვდება".

ბოლო პერიოდში ინტენსიურად მუსირებს ხმები "ლიონში" მოთამაშე პორტუგალიელი ნახევარმცველის **ტიაგო მენდეშის** თაობაზეც. 26 წლის ნახევარმცველს ლიონელთა პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** 15-20 მილიონი ევროს ფარგლებში აფასებს. "იუვენტუსის" გარდა, მას თვალი "მილანმაც" დაადგა, მაგრამ "სინიორას" აშკარა უპირატესობა აქვსო, გვარწმუნებენ მიმომხილველები. მაგრამ საკითხავია, რამდენად რეალურია დასახელებული თანხა?

გუფონი: სკუდეტო ახლავე!

მარჩელო ლიპიმ მაღალი შეფასება **ჯანლუიჯი ბუფონის** პერსონას, აღნიშნა რა, რომ მისი დარჩენა "იუვენტუსის" სამომავლო კამპანიისთვის უდიდესი უპირატესობაა. ლიპი ტურინში დაბრუნების რეალური კანდიდატი იყო, მაგრამ პოსტზე უარი თქვა. მაგრამ თავად ბუფონს მიაჩნია, რომ **კლაუდიო რანიერის** სახით კლუბს მაღალკვალიფიციური და უდიდესი გამოცდილების მქონე მწვრთნელი ჰყავს. ჯიჯიმ ისიც დასძინა, რომ მისი დარჩენა დიდწილად სწორედ რანიერის პერსონამ განაპირობა. მსოფლიოს საუკეთესო კიპერი დარწმუნებულია იმაშიც, რომ "იუვენტუსს" დაბრუნებისთანავე ძალუძს არა მარტო სკუდეტოსთვის ბრძოლა, არამედ მიზნის მიღწევაც.

"ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ამ ბიჭებში არის სერიოზული პოტენციალი იმისთვის, რომ მომავალ სეზონში სკუდეტო მოვიგოთ. რანიერი კონკურენტუნარიან და ძლიერ გუნდს აკეთებს. ჩვენ არაფრისი და არავისი უნდა გვეშინოდეს, რადგან აქ არიან ალესანდრო დელ პიერო და პაველ ნედვედი, რომლებმაც ბოლო სეზონები უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. მათი ფაქტორი ახალი გუნდის შენების გზაზე გადამწყვეტი იქნება".

ბუფონმა სპეციალური კომენტარები გააკეთა რამდენიმე ფეხბურთელზეც, რომლებსაც მალე ტურინში ელოდებიან, და იმათზეც, რომლებიც უკვე იცავდნენ კლუბის ღირსებას გასულ სეზონში. მაგალითად, "ჯენოას" მცველი **დომენიკო კრიშიტო**, ვინაც, ფაქტობრივად, უკვე "იუვენტინოდ" შეიძლება ჩავთვალოთ:

"კრიშიტო იტალიის საუკეთესო ახალგაზრდა მცველია. ის ახალი კანავაროა და ამაში მალე ყველა დარწმუნდება".

ბუფონი მაღალი აზრისაა ნახევარმცველ **კლაუდიო მარკიზიოზეც**, რომელმაც "იუვენტუსში" უკვე მოიკიდა ფეხი:

"მჯერა, რომ ორ წელიწადში ის "სკუადრა აძურის" სრულუფლებიანი წევრიც იქნება. ჩვენ უამრავი ახალგაზრდა ტალანტი გვყავს. სერია B-ში მათ სერიოზული გამოცდილება მიიღეს".

ჯიჯი გახარებულია, რომ მალე ტურინში ჩავა "სარაგოსის" არგენტინელი მცველი **გაბრიელ მილიტოც**:

"ვესაუბრე ჩემს იქაურ მეგობრებს და იცით, როგორ დამიხასიათეს მილიტო? "ფენომენალური"! სხვათა შორის, ჩინებული ფეხბურთელია მისი ძმა დიეგოც. ტიაგო? მასაც კარგად ვიცნობ. "ლიონში" ის უმაღლეს დონეზე თამაშობს. ჰუნტელაარზე კი მხოლოდ ის ვიცი, რომ ბევრი გოლი გააქვს. მისი თამაში არ მინახავს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ახალგაზრდაა და უკვე ჩამოყალიბებული გოლეადორიც გახლავთ, ეს მას უკვე სერიოზულ უპირატესობას ანიჭებს".

რა საქმე აქვს დეშამს იუვეს ფეხბურთელებთან?

ფიფას აგენტმა **ვინჩენცო მორაბიტომ** ტელეეკომპანია "ანტენა 3-ს" სკანდალური ინტერვიუ მისცა. მორაბიტოს თქმით, გადადგომის მიუხედავად, **დიდიე დეშამი** ხშირად ურეკავს "იუვენტუსის" მოთამაშეებს და მათ კლუბის მესვეურთა წინააღმდეგ აქეზებს.

"არ ვიცი, რატომ, მაგრამ დეშამს ჯერ კიდევ აქვს კავშირი "იუვენტუსის" ფეხბურთელებთან, რაც ნამდვილად შეიძლება კლუბში დესტაბილიზაციის მცდელობად შეფასდეს. მისი მხრიდან, ეს დიდი უსამართლობა და არაპროფესიონალიზმია".

მართალია, აგენტს კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ პრესისთვის ცნობილია, რომ ერთი მათგანი **დავიდ ტრეზეგეზეა**, რომლისთვისაც დეშამს ურჩევია - უარი თქვი ახალ კონტრაქტზე და ტურინიდან წადიო. ასევე, ფიქრობენ, რომ დიდიე ჭკუა-გონებას ურევს **მაურო კამორანეზისა** და **ფედერიკო ბალცარეტისაც**. ამ უკანასკნელმა შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურა, როგორც ახალი "იუვენტუსის" მომავალმა ვარსკვლავმა, მაგრამ... მოულოდნელად, ბალცარეტიმ ზურგია აქცია გუნდს და დღე-დღეზე "ფიორენტინაში" ჩაირიცხება. საუბარია აგრეთვე ფრანგ ცენტრალურ მცველ **ჟან-ალან ბუმსონგზეც**, კამორანეზის საქმე კი კარგადაა ცნობილი და მასზე აღარ შევჩერდებით.

რევჯინას ფიკადენტი გაწვრთნის

"რევჯინას" ახალი მწვრთნელი ჰყავს. მომავალი სეზონიდან გუნდს **მასიმო ფიკადენტი** დამოძღვრავს. ფიკადენტი მანამდე "ვერონაში" მუშაობდა. სხვათა შორის, რევკოკალაბრიული კლუბი ერთადერთი იყო სერია A-ში, რომელსაც ახალი სეზონისთვის მწვრთნელი არ ჰყავდა დანიშნული. მოგეხსენებათ, **ვალტერ მაძარიმ** "სამპდორიას" მიაშურა.

რაც შეეხება ფიკადენტის, მან მწვრთნელობა 33 წლის ასაკში დაიწყო. მუშაობდა "ფიორენცუოლაში", "აველინოში", "პისტოიეზესა" და 2004 წლიდან "ვერონაში". აქედან, ის 2006 წლის დეკემბერში დაითხოვეს. როგორც ამბობენ, ახალმა მწვრთნელმა უკვე მოითხოვა ფორვარდი **ერიონ ბოგდანი**, რომელთანაც 2004/05 წლების სეზონში "ვერონაში" თანამშრომლობდა. ფიკადენტი შემტევი ფეხბურთის მიმდევრადაა ცნობილი.

კორინი: რომა არა, ტორინო!

37 წლის ნახევარმცველმა **ეუჯენიო კორინიმ** "ტორინოსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ვეტერანმა "პალერმოსთან" კონტრაქტი არ გაანახლა და მიუხედავად ადრე გამოცხადებულისა, რომ "რომაში" მიდიოდა, თავი "გრანატაში" ამოყო. "ტორომ" მასში 500 ათასი ევრო გადაიხადა.

ხიმენესმა ლაციო დატოვა

ლუის ხიმენესი "ლაციოში" აღარ ითამაშებს. ეს პრესას თავად ჩილელმა ნახევარმცველმა ამცნო. ვარაუდობენ, რომ მისი ახალი კლუბი "ინტერია". თუმცა ეს მკაცრად გასაიდუმლოებულია როგორც ფეხბურთელის, ისე "ახალი კლუბის" მიერ. საქმე ისაა, რომ ხიმენესს მოსთხოვეს, თავი შეიკავოს "კოპა ამერიკაზე" მონაწილეობისგან და დროულად გამოცხადდეს ახალი გუნდის განკარგულებაში. როგორც ჩანს, ხიმენესის ახალი უფროსები ჩილეს ნაკრების ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებას მოერიდნენ.

ლივერპული. ტრანსფერები

ბენაიუნი: 3 მილიონად ბენიჭესთან

მარსელმა სისეს შეძენა მაინც გადაწყვიტა

"ლივერპული" **იოსი ბენაიუნს** ეპატიჟება. "ვესტ ჰემი" კი ებრაელი ნახევარმცველის შენარჩუნებას ცდილობს. მერსისაიდელებმა 3 მილიონი გირვანქა გაამზადეს. 27 წლის ფეხბურთელი ლონდონელებს ახალ კონტრაქტზე მოურიგდა, მაგრამ ხელი ჯერაც არ მოუწერია. დღევანდელ ხელშეკრულებაში ორი წელია დარჩენილი. ბენაიუნი კვირაში 40 ათას გირვანქას იღებს. "ჩაქუჩებმა" ფეხბურთელს ხელფასის 10 ათასით მომატება და ხუთწლიანი თანამშრომლობა შესთავაზეს.

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ "მარსელმა" მაინც გადაწყვიტა **ჯიბრილ სისეს** გამოსყიდვა. "ოლიმპიკი" მერსისაიდელებს 9 მილიონ ევროს გადაუხდის. ამ ინფორმაციას "ფრანს ფუტბოლი" ავრცელებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ სისემ გასული სეზონი იჯარით "მარსელში" გაატარა, ლივერპულური კონტრაქტი კი 2009 წელს უმთავრდება.

"ლივერპულმა" საზაფხულო გეგმები გამოამზეურა. **რაფა ბენიტესის** შეგირდები ერთ-ერთ შეკრებას ჰონგკონგში გამართავენ. პრემიერლიგის მიერ ორგანიზებულ ოთხთა ტურნირში სამხრეთი ჩინეთის ნაკრები, "პორტსმუთი" და "ფულჰემიც" ითამაშებენ. ნახევარფინალები 24 ივლისს, ჰონგკონგის 40-ათასიან სტადიონზე გაიმართება, მატჩი მესამე ადგილისათვის და ფინალი 27 ივლისს შედგება. მსგავსი ტურნირი ჩინეთში პირველად იმართება. 2003 წელს პრემიერლიგამ ანალოგიური გათამაშება მალაიზიაში მოაწყო, 2005 წელს კი – ტაილანდში.

ჯიბრილ სისე

მოსალოდნელი გარიგება

არსენალიც ამერიკულად მოუჭცევს

ტრეზეგე ჟილბერტოში არ გაიცვლება, გორდონს კი, შეუძლია, ათი წელი ითამაშოს

"არსენალის" პრეზიდენტი **პიტერ ჰილ ვუდი** და ფინანსური დირექტორი **კიტ ედელმანი** ნიუ იორკში გაემგზავრნენ. ისინი "მეთოფეების" პოტენციურ ინვესტორ **სტენ კროენკეს** შეხვდნენ. ორი თვის წინათ ამერიკელმა მილიარდერმა ლონდონური კლუბის აქციების 12 პროცენტი შეიძინა. "სანის" ცნობით, მან ამ პაკეტში 75 მილიონი გირვანქა გადაიხადა. კროენკეს "არსენალის" შესაძენად 650 მილიონი გირვანქა აქვს გამზადებული. გარიგების შემთხვევაში, კლუბის თავმჯდომარე ლონდონელების ყოფილი ვიცე-თავმჯდომარე **დევიდ დინი** დაინიშნება. თავის დროზე დინი დირექტორთა საბჭოს ერთადერთი წევრი გახლდათ, რომელმაც კროენკეს გეგმებს მხარი დაუჭირა. ამის გამო მას სხვა მაღალჩინოსნები დაუპირისპირდნენ. კონფლიქტი დინის წასვლით დასრულდა, თუმცა ის "არსენალის" ერთ-ერთი უმსხვილეს აქციონერად რჩება და საკუთარი წილის კროენკესათვის მიყიდვას აპირებს. ამის შემდეგ "მეთოფეების" დასაკუთრება მხოლოდ დროის ამბავი იქნება. ლონდონელი ჩინოვნიკები მიხვდნენ, რომ ბრძოლა წაგებულია და ამერიკელ მაგნატთან კონსტრუქციული დიალოგის გამართვა გადაწყვიტეს.

აქვე ორი სატრანსფერო ინფორმაცია "არსენალის" ბანაკიდან. "იუვენტუსი" თანახმაა **დავიდ ტრეზეგე** ლონდონელებს გადაულოცოს, მაგრამ სანაცვლოდ ბრაზილიელ ნახევარმცველ **ჟილბერტო სილვას** ითხოვს. ამ ცნობას "კორიერე დელო სპორტი" ავრცელებს. **არსენ ვენგერი** სილვას დათმობას არ აპირებს და "ქალბატონს" თანხას შესთავაზებს. და კიდევ, მოსიე არსენს ვერ გადაუწყვეტია, შეიძინოს თუ არა შოტლანდიის ნაკრების მეკარე **კრეიგ გორდონი**. ამ ფეხბურთელს "ასტონ ვილაც" ეპატიჟება. "ჰართსი" ტრანსფერის სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქას ითხოვს. მიმომხილველთა ერთი ნაწილი გორდონს ბრიტანეთის მეორე საუკეთესო მეკარედ მიიჩნევს ნიუკასლელი **შეი გივენის** შემდეგ. ის 25 წლისაა და სულ ცოტა 10 სეზონის უმაღლეს დონეზე ჩატარება შეუძლია.

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონები

ბეკენბაუერის ოქროს თაობა

დღეს იმ ფეხბურთელთა ნახევარზე მეტი მწვრთნელი ან ფუნქციონერია...



ფრანც ბეკენბაუერი

1990 წელს გერმანიას ჰყავდა გუნდი, რომელიც ნებისმიერ მეტოქეს შიშის ზარს სცემდა. შესაბამისად, 100 პროცენტით ლოგიკური იყო ის, რომ ბუნდესგუნდმა იტალიაში ჩატარებული მუნდიალი მოიგო. მართალია, ფრანც ბეკენბაუერის შეგირდებმა ფინალში არგენტინა ვერ დაჩაგრეს და არგენტინის გულშემატკივრებიც ხშირად იმეორებენ, რომ პენალტი, რომელმაც გერმანელებს ოქროს მედლები მოუტანა, არ უნდა დანიშნულიყო, მაგრამ საერთო ჯამში, ალემანებს გაცილებით ძლევამოსილი გუნდი ჰყავდათ და ღირსეულად გახდნენ ჩემპიონები. საერთოდ, ქომაგთა დიდი ნაწილის აზრით, "იტალია 90" ყოველმხრივ ყველა დროის საუკეთესო მუნდიალი იყო...

მას მერე 17 წელინადი გავიდა. **ბეკენბაუერი** ამაყად საუბრობს თავის ბიჭებზე და მათ "ოქროს გენერაციას" უწოდებს. თუნდაც იმიტომ, რომ იმ გუნდიდან ფეხბურთელთა 50 პროცენტზე მეტმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი, დიდი ნაწილი კი საფეხბურთო ფუნქციონერი გახდა. **იურგენ კლინსმანი, რუდი ფიოლერი, ლოთარ მათეუსი, კლაუს აუგენტალერი** - მაინც რატომ გადაწყვიტა უდიდესმა ნაწილმა მწვრთნელობა? ბეკენბაუერი: *"იმიტომ, რომ ეს ოქროს გენერაცია იყო. იმიტომ, რომ ეს ბიჭები ფეხბურთს არა მარტო თამაშობდნენ და თანაც უმაღლეს დონეზე, არამედ ფეხბურთით ფიქრობდნენ, ფეხბურთითა და ფეხბურთისთვის ცხოვრობდნენ. იმიტომ, რომ ეს ბიჭები მოედანზე აზროვნებდნენ. ერთ გუნდში ამდენი მოაზროვნე ფეხბურთელი არასდროს მინახავს!"* კაიზერის თქმით, რომის გმირებს ფეხბურთი სისხლში აქვთ გამჯდარი.

როგორც ფეხბურთელები, მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, ხოლო, როგორც მწვრთნელებმა, სხვადასხვა წარმატებები იზეიმეს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი დრო აქვთ იმისთვის, რომ გაცილებით მეტს მიაღწიონ. კლინმანმა ქვეყნის პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში, შარშან გერმანიას "ზღაპრული ზაფხული" აჩუქა, ფიოლერი კი, ამავე რანგში, მთელი ქვეყნის უსაყვარლესი ადამიანი გახდა - გეხსომებათ, სიმღერაც კი დაუწერეს ("არსებობს მხოლოდ ერთადერთი და განუმეორებელი რუდი"). გაბრწყინება ჯერჯერობით, ვერ მოახერხეს **იურგენ კოლერმა, ანდრეას ბრემმ** და **ლოთარ მათეუსმა**.

სამწვრთნელო ასპარეზზე თავის წარმოჩენის საუკეთესო შანსი ამ სამეულიდან 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონის გუნდის კაპიტან მათეუსს ჰქონდა. და ის, რომ ლოთარმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, ბეკენბაუერის აზრით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბუნდესგუნდის რეკორდსმენი სუსტი მწვრთნელია. *"ლოთარი შესანიშნავი სპეციალისტია და დარწმუნებული ვარ, რომ ამას დაამტკიცებს. მჯერა, იპოვის გუნდს, სადაც თავის იდეებს ფრთებს შეასხამს და თუ ასე მოხდა, მაშინ ბევრს მიაღწევს. "ზალცბურგში" ლოთარი ტრაპატონის აჩრდილი იყო. როცა ისეთი დიდი მწვრთნელის ასისტენტი ხარ, როგორიც ტრაპია, ცხადია, რომ საკუთარ შესაძლებლობებს ვერ წარმოაჩენ,"* - აცხადებს ბეკენბაუერი, 1990 წლის ჩემპიონთა მწვრთნელი.

მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ იმ შემადგენლობას და ვნახოთ, ვინ რას წარმოადგენს რომის ტრიუმფიდან 17 წლის შემდეგ:

1. **გოდო ილგნერი** (კიოლნი) - 1990 წელს ბუნდესგუნდის პირველი მეკარე მხოლოდ 23 წლის გახლდათ - ძირითადი შემადგენლობის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა გოლკიპერი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ილგნერმა მეუღლე ბიანკასთან ერთად დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი "ALLES" (ყველაფერი). მწვრთნელობის დაწყებას არ აპირებს.

2. **შტეფან როიტერი** (ბაიერნი) - ლეგენდარულმა მცველმა 1997 წელს დორტმუნდის "ბორუსიასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. კარიერის დასრულების შემდეგ, დორტმუნდული კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახლდათ, 2006 წლიდან კი მეორე ბუნდესლიგური "მიუნხენ 1860"-ის გენერალური მენეჯერია. როიტერი კლინსმანთან და კოლერთან ერთად გერმანიის საფეხბურთო კავშირში, ბავშვთა ფეხბურთის ერთ-ერთი კურატორია.

3. **ანდრეას ბრემე** (ინტერი) - 1990 წლის მუნდიალის ფინალში გატანილი ერთადერთი გოლის (პენალტით) ავტორი. აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, ჯერ "კაიზერსლაუტერნს", მერე კი "უნტერჰახინგს" წვრთნიდა. გარდა ამისა, 2005/06 წლების სეზონში "შტუტგარტში", მთავარი მწვრთნელის, **ჯოვანი ტრაპატონის** ასისტენტად მუშაობდა.

4. **იურგენ კოლერი** (ბაიერნი) - ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი 2002/03 წლებში გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი გახლდათ, 2003/04 წლებში ლევერკუზენის "ბაიერის" სპორტული დირექტორი, 2004 წელს კი "დუისბურგის" მთავარი მწვრთნელი. დღესდღეობით უმუშევარია.

5. **კლაუს აუგენტალერი** (ბაიერნი) - აუგემ კარიერის დასრულების შემდეგ მაშინვე მწვრთნელობა დაიწყო. მუშაობდა "გრაცერში", "ნიურნბერგში", "ლევერკუზენსა" და "ვოლფსბურგში". ამ გუნდიდან ის გასული სეზონის დასრულებისთანავე დაითხოვეს. აუგენტალერი ახლა უმუშევარია, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ სამსახურს მალე იპოვის.

6. **გვიდო გუხვალდი** (შტუტგარტი) - ბუხვალდმა გერმანიის ნაკრებში 74, ხოლო პირველ და მეორე ბუნდესლიგაში 500-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა. კარიერის ბოლოს გვიდომ იაპონიას მიაშურა - "ურავა რედ დაიმონდსში" 1994-97 წლებში თამაშობდა, 2003-06 წლებში კი ამ გუნდის დამრიგებელი გახლდათ. ამასთან, ბუხვალდმა "კარლსრუესა" და "შტუტგარტერ კიკერსში" სპორტული დირექტორის პოსტზე იმუშავა. მომავალი სეზონიდან ის მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული აახენის "ალემანიის" მთავარი მწვრთნელი იქნება.

7. **პიერ ლიტბარსკი** (კიოლნი) - 1990 წლის მუნდიალის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა და გულშემატკივრების დიდი ნაწილისთვის ყველაზე სიმპათიურმა ფეხბურთელმა, 1978-იდან 1993 წლამდე "კიოლნის" რიგებში, ბუნდესლიგის ეგიდით 406 შეხვედრა ჩაატარა, კარიერა კი იაპონიაში დაასრულა. ლიტბარსკი "ლევერკუზენში" **ბერტი ფოგთსის** ასისტენტი გახლდათ, მთავარი მწვრთნელის პოსტზე კი "იოკოჰამაში", "დუისბურგში", "სიდნეისა" და "ავისპა ფუკუოკაში" იმუშავა.

8. **თომას ჰესლერი** (კიოლნი) - გენიალურმა ფლეიმეიქერმა, რომელსაც მეტსახელად "იკეს" ეძახიან, საფეხბურთო კარიერა ცოტა ხნის წინათ, კერძოდ, 2005 წელს დაასრულა. ახლა კი წარმატებულ სამწვრთნელო კარიერაზე ოცნებობს. ჰესლერი "კიოლნის" ბავშვთა გუნდის ტექნიკური მწვრთნელი და ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ბერტი ფოგთსის** ასისტენტია.

9. **რუდი ფიოლერი** (რომა) - "რუხმა მგელმა" გერმანიის ნაკრებში ჩატარებულ 90 შეხვედრაში 47 გოლი გაიტანა. სამწვრთნელო საქმეს ხელი პირველად 2000 წელს, "ლევერკუზენში" მოჰკიდა და ისიც გამოუვალი მდგომარეობის გამო, ანუ, დროებით. 2002-იდან 2004 წლამდე ფიოლერი გერმანიის ნაკრებს წვრთნიდა. 2002 წლის მუნდიალზე მან ბუნდესგუნდი ფინალში გაიყვანა, რასაც არავინ ელოდა და რის გამოც, გმირად შერაცხეს. მაგრამ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე მის მიერ გაწვრთნილი გერმანია ჯგუფში ჩარჩა, რაც უდიდესი ფიასკო იყო. 2004 წლის აგვისტოდან რუდი იტალიურ "რომას" ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ვერაფერი გააწყო და მალევე გაათავისუფლეს. "რომას" შემდეგ, 2005 წელს, ცოტა ხნით "ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნდა. დღესდღეობით კი ამ გუნდის სპორტული დირექტორია.

10. **ლოთარ მათეუსი** (ინტერი) - ლოთარი გერმანიის ნაკრების რეკორდსმენია (150 მატჩი). ის 1990 წლის მუნდიალზე ბუნდესგუნდის კაპიტანი გახლდათ. კარიერის დასრულების შემდეგ მათეუსმა სამწვრთნელო საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი, თუმცა ჯერჯერობით ვერაფერს მიაღწია. ვენის "რაპიდში" (2001/02) მხოლოდ 8 თვე იმუშავა, ბელგრადის "პარტიზანში" (2002/03) 11 თვე, ბრაზილიური "ატლეტიკო პარანაენსედან" (2006) კი 7-კვირიანი მუშაობის შემდეგ გამოიქცა. ბოლოს ზალცბურგის "რედ ბულში" ტრაპატონის ასისტენტად მუშაობდა. ერთადერთი გუნდი, სადაც ლოთარმა დიდხანს გაძლო (2 წელი), უნგრეთის ნაკრები იყო (2003-2005).

11. **ფრანკ მილი** (ბორუსია დ) - ამ უკანასკნელს მუნდიალზე არცერთი მატჩი არ ჩაუტარებია. პირველ და მეორე ბუნდესლიგაში სულ 543 მატჩში აქვს ნათამაშები (209 გოლი). დღესდღეობით, მილი ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს კურირებს.

12. **რაიმონდ აუმანი** (ბაიერნი) - რეკორდმაისტერის ყოფილი გოლკიპერი მუნდიალზე მესამე მეკარე გახლდათ (ილგნერისა და ანდრეას კოპკეს შემდეგ). დღესდღეობით "ბაიერნის" ოფიციალური ფან-კლუბის ბოსია. სხვათა შორის, მისი პრეროგატივა "ბაიერნის" ახალწვეულების მიღება და დაბინავებაა. **ფრანკ რიბერისა** და **ლუკა ტონისაც** პირველად მან უმასპინძლა.

13. **კარლჰაინც რიდლე** (ვერდერი) - რიდლე ახლა შვეიცარიაში ცხოვრობს. ფეხბურთელი, რომელიც თავით შესანიშნავად თამაშობდა, ოთხვარსკვლავიანი სასტუმროსა და ბავშვთა საფეხბურთო კემპის მფლობელია. ამას გარდა, რიდლე შვეიცარიული კლუბის, ციურიხის "გრასჰოპერსის" სპორტული დირექტორია.

14. **თომას ბერთოლდი** (რომა) - ბერთოლდმა აქტიური საფეხბურთო კარიერა 2001 წელს, თურქულ კლუბ "ადანასპორში" დაასრულა. 2003-იდან 2005 წლამდე დიუსელდორფის "ფორტუნის" მენეჯერი გახლდათ. ბერთოლდი ხშირად მონაწილეობს მინი-გოლფის ტურნირებში.

15. **უვე ბაინი** (აინტრახტი) - გერმანელი ფანების აზრით, ბაინი ყველა დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი გერმანელი ფლეიმეიქერია. საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას ის დღეს ბავშვებს (სკოლებში და კემპების დროს) უზიარებს. 2005 წელს 6 თვის განმავლობაში "ოფენბახის კიკერსის" მენეჯერად იმუშავა.

16. **პაულ შტაინერი** (კიოლნი) - შტაინერმა სახელი, პირველ რიგში, ამ გამონათქვამით გაითქვა (პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ ითამაშებს გერმანიის ნაკრებში): *"ბუნდესგუნდს თამაშები ხშირად ოთხშაბათობით უწევს, ანუ, იმ დღეს, როცა მე არ მცალია!"* როცა ბეკენბაუერმა შტაინერი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამოიძახა, ამ ფაქტმა ყველა გააკვირვა. თანაც, პაული იმ დროს უკვე 33 წლის იყო - მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშია. რომის ტრიუმფიდან ერთი წლის შემდეგ კი კარიერა დაასრულა. დღესდღეობით ის "ლევერკუზენის" სკაუტი გახლავთ.

17. **ანდრეას მიოლერი** (ბორუსია დ) - მიოლერი ჯერ კიდევ 1987 წელს, გერმანიის 20-ლამდელთა ნაკრებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა და უკვე მაშინ უდიდეს ტალანტად მიიჩნეოდა. ანდიმ მოლდინი გაამართლა და დიდი ფეხბურთი ითამაშა. კარიერის დასრულების შემდეგ მიოლერმა სამწვრთნელო ლიცენზია აიღო. მომავალი სეზონიდან ობერლიგის კლუბ "ვიქტორია აშაფენბურგის" მთავარ მწვრთნელად იმუშავებს.

18. **იურგენ კლინსმანი** (ინტერი) - რომის ტრიუმფიდან 6 წლის შემდეგ კლინსი ევროპის ჩემპიონიც გახდა. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ ჰქონდა, 2004 წელს გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს (მას შემდეგ, რაც ამ პოსტზე მუშაობა **ოტმარ ჰიტცფელდმა** და **ოტო რეჰაგელმა** იუარეს). გერმანიის საფეხბურთო კავშირის ამ გადაწყვეტილებას თავიდან ყველა პესიმისტურად უყურებდა, მაგრამ კლინსმანმა დაამტკიცა, რომ ამ პოსტზე მუშაობის ღირსი იყო - შარშანდელ მუნდიალზე გერმანიამ ღირსეულად ითამაშა და მესამე ადგილზე გავიდა. იურგენი ახლა უმუშევარია და არ გამორიცხავს, რომ ბუნდესგუნდში ისევ დაბრუნდეს.

19. **ჰანს პფლიუგლერი** (ბაიერნი) - ამ ფეხბურთელმა "ბაიერნთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობა ხუთჯერ იზეიმა, გერმანიის თასს კი სამჯერ ფლობდა. დღეისათვის "ბაიერნის" კომერციულ განყოფილებაში მუშაობს.

20. **ოლაფ ტონი** (შალკე) - ტონმა 1984 წელს ფურორი მოახდინა - 18 წლის ასაკში გერმანიის თასის შეხვედრაში, "ბაიერნს" (6:6 დამატებითი დროის შემდეგ) 3 გოლი გაუტანა. "შალკესა" და "ბაიერნის" რიგებში ბუნდესლიგის ეგიდით 443 მატჩი ჩაატარა. 2005 წლის ივნისიდან ტონი გელზენკირხენული კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

21. **გიუნტერ ჰერმანი** (ვერდერი) - ამ ფეხბურთელმა გერმანიის ნაკრებში სულ 2 თამაში ჩაატარა, აქედან არცერთი 1990 წლის მუნდიალზე. ახლა ობერლიგის კლუბ "ოსტერჰოლც-შარმბეკს" წვრთნის.

22. **ანდრეას კიოპკე** (ნიურნბერგი) - 1990 წლის მუნდიალზე მეორე მეკარე გახლდათ. 1996 წელს კიოპკე ევროპის ჩემპიონი გახდა და იმავე წელიწადს მსოფლიოს საუკეთესო კიპერად აღიარეს. კარიერა 2001 წელს დაასრულა - პირველ ბუნდესლიგაში 346 მატჩი, მეორეში 173, საფრანგეთის ჩემპიონატში 64 (მარსელის "ოლიმპიკი"). კიოპკე 2004 წლიდან გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელია, სადაც მან ლეგენდარული **ზეპ მაიერი** შეცვალა.

ფრანც ბეკენბაუერი (მწვრთნელი) - კაიზერმა მუნდიალი 1974 წელს ფეხბურთელის, ხოლო 1990 წელს კი მწვრთნელის რანგში მოიგო. წვრთნიდა მარსელის "ოლიმპიკსაც". ამის შემდეგ, 1994 წელს ჯერ "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი, მერე კი პრეზიდენტი გახდა (დღემდე ამ პოსტზეა). ამასთან, რეკორდმაისტერში ორჯერ იყო დროებითი მწვრთნელი. ბეკენბაუერი შარშანდელი მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. ამასთან, გერმანიის სარეკლამო საგენტოების ნომერ პირველი სამიზნეა. გარდა ამისა, "კაიზერი" გაზეთ "ბილდის" მესვეტეა. დაფუძნებული აქვს საქველმოქმედო ფონდი.

გოტფრიდ ლენცი

1991 წლის მსოფლიო ჩემპიონები

ჩელსი

მოურინიო: რატომ არ წავედი ჩელსიდან

ლონდონურ გრანდში ურთიერთობის ფორმები შეიცვალა, არისტოკრატებმა მესამე თავისუფალი აგენტი დაიმატეს...

ჟოზე მოურინიო

ჟოზე მოურინიო იცის, რომ რამდენიმე თვის წინათ "ჩელსიდან" გაშვებას უპირებდნენ. მწვრთნელისათვის ისიც ცნობილია, რომ მის თანამდებობაზე 14 სპეციალისტი აცხადებდა პრეტენზიას: *"მე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვმუშაობ. ნებისმიერი კოლეგა სიამოვნებით გამიცვლიდა ადგილს. გასაკვირი არ არის, რომ ყველას "ჩელსიში" მოხვედრა უნდა. ისეთ სასაცილო ვითარებაშიც ალმოვჩნდით, როცა ჩემს სკამთან რიგი დადგა. ეს რომ წლების წინათ მომხდარიყო, "ჩელსისთან" ურთიერთობას გავწყვეტდი, მაგრამ დღეს უფრო გაწონასწორებული ვარ. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დიდი გამოცდილება დავაგროვე."*

"არისტოკრატებმა" ინგლისის ჩემპიონობა "მანჩესტერ იუნაიტედს" გადაულოცეს, მაგრამ სეზონი მაინც ამაღლებულ ნოტაზე დაასრულეს – ასოციაციის თასის ფინალში იმავე "მენიუს" სძლიეს, 1:0. მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის ცივი ომი არ შეწყვეტილა. მოურინიო ამბობს, რომ ამ ვითარებაში მუშაობა ადვილი არ არის: *"ერთი წლის წინათ რომან აბრამოვიჩი, პიტერ კენიონი და მე სატრანსფერო გეგმებს ერთად ვიხილავდით. დღეს სასურველი ფეხბურთელების სიას მე ვადგენ და ვხვდები კენიონს. ის მეუბნება, მიზანშეწონილია თუ არა ამა თუ იმ ფეხბურთელის ყიდვა ფინანსური თვალსაზრისით. შემდეგ კენიონი ჩვენი საუბრის დეტალებს პრეზიდენტს აცნობს. ტრანსფერის განხორციელებას მისი თანახმობა სჭირდება. ამგვარად, კონტაქტი არის, მაგრამ "ჩელსიში" ურთიერთობის ფორმები შეიცვალა..."*

ურთიერთობის ფორმები ერთადერთი არ არის, რასაც ცვლილება შეეხო. ადრინდელისაგან კარდინალურად განსხვავებულია სატრანსფერო პოლიტიკაც. "არისტოკრატები" თავისუფალ აგენტებს ეძებენ. ბაიერნელი თავდამსხმელის **კლაუდიო პისაროსა** და რედინგელი ნახევარმცველის **სტივ სიდველის** შემდეგ, ამ უქმეებზე "ჩელსიმ" მესამე ფეხბურთელი დაიბეჭა უკომპენსაციოდ. "ბოლტონისა" და ისრაელის ნაკრების 25 წლის მცველმა **ტალ ბენ ჰაიმმა** ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მოთამაშეს კვირაში 60 ათასი გირვანქას მიუთვლიან. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ბენ ჰაიმი სამშობლოში გაემგზავრა, რათა დიდი ხნის მეგობარ გოგონაზე დაქორწინებულიყო. თითქმის გადაწყვეტილია ბერლინელი თავდამსხმელის **მარკო პანტელიჩის** ტრანსფერიც. მართალია, ის თავისუფალი აგენტი არ არის, მაგრამ მისი შეძენა ლონდონელებს მეტისმეტად მოკრძალებული თანხა, 2.5 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. 28 წლის სერბი ლეგიონერი სამწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

ვარსკვლავები

დიდი საქორწილო უქმეები

ტერი, ჯერარდი, ნევილი და ქერიკი თითქმის ერთდროულად გაბედნიერდნენ...

შაბათს კი ინგლისური ფეხბურთის სამი ვარსკვლავი – **სტივ ჯერარდი, გარი ნევილი** და **მაიკლ ქერიკი** გაბედნიერდა. ჯერარდისა და **ალექს კურანის** 300-კაციანი ქორწილი 750 ათასი გირვანქა დაჯდა. ერთ-ერთმა ჟურნალმა კი მათი ფოტოების გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება 1 მილიონად შეიძინა. სტივის მეჯვარე "ლივერპულის" ყოფილი ნახევარმცველი **დენი მერფი** გახლდათ (ის ამჟამად "ტოტენჰემში" თამაშობს). სტივსა და ალექსსაც ორი შვილი ჰყავთ – სამი წლის **ლილი-ელა** და ერთი წლის **ლექსი**.

ყველაზე ნაკლებად პომპეზური იყო გარი ნევილისა და **ემა ჰედფილდის** ჯვრისწერა. გარის ხელისმომკიდე მისივე ძმა ფილი გახლდათ. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ **უეინ რუნი, რაიან გიგზი** და **პოლ სქოულზი**. რამდენიმე საათით ადრე სტუმართა უმრავლესობა მაიკლ ქერიკისა და **ლისა რუჯჰედის** ჯვრისწერაზე იმყოფებოდა. მაიკლთან სტუმრად იყვნენ **რობი კინი** და **ჯო კოული**.



ეს უქმეები ინგლისში ქორწილებით აღმოჩნდა დახუნძლული. პარასკევს "ჩელსის" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ ტონი პულზე** დაიწერა ჯვარი. მათ ტყუპებს ცოტა ხნის წინათ ორი წელი შეუსრულდათ. ცერემონიალს "არისტოკრატების" თითქმის მთელი შემადგენლობა დაესწრო. ყველაზე დიდი სიურპრიზი **რომან აბრამოვიჩის** გამოჩენა იყო. "ჩელსის" პრეზიდენტმა შვებულება შეწყვიტა, რათა თავისი გუნდის კაპიტნისათვის მიელოცა.

მაბერაცი ტოტენჰემში 3 მილიონად?

"ტოტენჰემს" დაცვის ცენტრში პრობლემები აქვს. ლონდონელებმა **მარკო მატერაცის** შეძენა გადაწყვიტეს. მთავარი მწვრთნელი **მარტინ იოლი** "ინტერს" 3 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. იტალიელთა რეაქცია უცნობია. "ტოტენჰემმა" გასული სეზონის უმეტესი ნაწილი ლიდერების, **ლედლი კინგისა** და **ენტონი გარდნერის** გარეშე ჩაატარა. კინგი ინგლისელთა ბოლო მატჩებში დაშავდა. მას მუხლის ოპერაციას გაუკეთებენ, რის გამოც მომავალი სეზონის დასაწყისი გაუცდება. კინგისა და გარდნერის არყოფნაში, თითქმის მთელი სეზონი შეუცვლელად ჩაატარა **მაიკლ დოსონმა**, მაგრამ ბოლოს მანაც ტრავმა მიიღო და ისვენებს. "მამლებმა" თინეიჯერი **გარეთ ბეილი** შეიძინეს, მაგრამ მატერაცის გამოცდილებაა ჰაერივით სჭირდებათ. თანაც პრემიერლიგა მარკოსათვის უცხო ტურნირი არ არის. 1998-99 წლებში ის "ევერტონში" ასპარეზობდა. ლივერპულელებმა "პერუჯას" თავის დროზე 2.8 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

ზალცბურგი მათეუსს ფინკი შეცვლის

ზალცბურგის "რედ ბულის" მთავარი მწვრთნელის, **ჯოვანი ტრაპატონის** პირველ ასისტენტად მისი ექსშეგირდი **ტორსტენ ფინკი** დაინიშნა, რომელმაც თანამდებობიდან სკანდალურად გათავისუფლებული **ლოთარ მათეუსი** შეცვალა. 39 წლის ფინკი აქამდე "ზალცბურგის" მოყვარულთა გუნდის თავკაცი გახლდათ. ფინკი ბუნდესლიგაში "ვატენშაიდის", "კარლსრუესა" და "ბაიერნის" ღირსებას იცავდა, სადაც 2001 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

დარენ ბენტმა ვესტ ჰემი იუარა

დარენ ბენტმა "ვესტ ჰემს" უარი შეუთვალა. გასული კვირის მიწურულს "ჩაქუჩები" "ჩარლტონს" მოურიგდნენ. მათ 16 მილიონი გირვანქა უნდა გადაეხადათ. ბენტს ხუთწლიანი კონტრაქტი და კვირაში 75 ათასი გირვანქა აღუთქვეს, მაგრამ გარიგება მაინც ჩაიშალა. 23 წლის ფეხბურთელი, როგორც ჩანს, "ტოტენჰემში" გადასვლას აპირებს, იმის მიუხედავად, რომ "მამლებს" მისთვის მხოლოდ 60 ათასი გირვანქა აქვთ გამზადებული. "ჩარლტონმა" დარენ ბენტი ორი წლის წინათ "იფსვიჩიდან" 2.6 მილიონად შეიძინა.

ლაციოს კარისო არ უყიდია

"ლაციო" უარყოფს ინფორმაციას, "რივერ პლეიტის" გოლკიპერ **ხუან კარისოსთან** კონტრაქტის გაფორმების შესახებ. რომაულმა კლუბმა სერია A მესამე ადგილზე დაასრულა. ის ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. მაგრამ ახალი სეზონის დაწყებამდე კვალიფიციური მეკარე უნდა შეიძინოს. **ანჯელო პერუჯიმ** კარიერა დაასრულა. "ბიანკონეელესტეს" კი მის შემცვლელი სჭირდება. პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** ამბობს, რომ კლუბი რამდენიმე კანდიდატურაზე მუშაობს, თუმცა მას გვარები არ დაუკონკრეტებია.

ვალენსიამ არისმენდი მოიკითხა

ესპანელი თავდამსხმელი **ხავიერ არისმენდი** "ვალენსიაში" გადავა. ერთი წლის წინათ მადრიდის "ატლეტიკომ" ის სანახევროდ "დეპორტივოს" მიჰყიდა. არისმენდის გალისიაში შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა და "ღამურების" ყურადღება მიიპყრო. "ატლეტიკო" "დეპორს" სატრანსფერო უფლებების 50 პროცენტის სანაცვლოდ 2 მილიონ ევროს გადაუხდის, მერე კი ვალენსიელებს 4.2 მილიონად გადაუყიდის. მისი ტრანსფერის შემდეგ "ღამურები" იტალიელ თავდამსხმელ **ფრანსისკო ტავანოს** გაყიდიან. ამ უკანასკნელმა გასული სეზონის მეორე ნახევარი იჯარით "რომაში" გაატარა.

რუსეთი

XIII ტური

ლუჩ ენერგია–ლოკომოტივი	3:0
ცსკა–ფორი	0:0
ციმკი–ზენიტი	2:2
სატურნი–როსტოვი	1:0
რუბინი–კრილია	1:0
ნალჩიკი–ამკარი	0:1
მოსკოვი–სპარტაკი	2:0
ყუბანი–დინამო	0:4

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ცსკა	13	5	6	2	18-13	21
2. ზენიტი	13	5	6	2	18-15	21
3. მოსკოვი	12	5	5	2	11-7	20
4. სპარტაკი	13	5	5	3	14-14	20
5. დინამო	13	5	4	4	16-13	19
6. კრილია	13	5	4	4	14-11	19
7. ლოკომოტივი	12	4	5	3	11-12	17
8. ზიმკი	13	4	4	5	14-13	16
9. ყუბანი	13	3	7	3	12-15	16
10. ამკარი	12	3	6	3	13-11	15
11. ტომი	13	3	6	4	14-14	15
12. ლ.-ენერგია	13	4	3	6	12-13	15
13. სატურნი	12	2	8	2	11-12	14
14. რუბინი	13	4	2	7	12-15	14
15. ნალჩიკი	13	2	6	5	7-13	12
16. როსტოვი	13	1	7	5	10-16	10

ნორვეგია

X ტური

ლინი–ბრანი	6:0
აალესუნდი–სკაბეკი	1:4
ფრედრიკსტადი–სტაბეკი	3:0
სანდეფიორდი–სტრომსგოდსეტი	0:1
ვიკინგი–ბრომსტი	3:1
ლილესტრომი–ვოლერენგა	0:1
ოდ გრენლანდი–როსენბორგი	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბრანი	-10	6	2	2	20-18	20
2. სტაბეკი	10	5	4	1	14-10	19
3. ვიკინგი	10	5	3	2	16-13	18
4. ლილესტრომი	10	5	2	3	18-11	17
5. ფრედრიკსტად	10	4	3	3	17-16	15
6. სტრომსგოდს	10	4	3	3	12-15	15
7. ლინი	10	4	2	4	23-18	14
8. როსენბორგი	9	4	2	3	18-13	14
9. ტრომსი	10	4	1	5	17-18	13
10. სტარტი	10	3	4	3	16-18	13
11. ვოლერენგა	10	3	3	4	8-10	12
12. სანდეფიორდ	10	2	2	6	10-16	8
13. აალესუნდი	10	2	2	6	13-22	8
14. ოდ გრენლან	9	1	1	7	7-13	4

II დივიზიონი

XI ტური

ჰამარი-მოსი 1:1; ჰაუგესუნდი-მიოლდე 2:4; კონგსვინგერი-ლოვ ჰამი 0:1; მანდალი-სპარტა 1:2; სკეიდი-სიოვნდალი 0:2; ნოტოდენი-ჰიონეფოსი 4:0; ბოდო გლიმტი-რაუფოსი 5:0; ტრიომსდალენი-ბრინი 1:1.

უკრაინა

XXX ტური

არსენალი–დინამო	0:1
კარპატი–ჩერნომორეცი	0:1
შახტარი–მეტალურგი (ზ)	0:2
სარაფოვი–ქრივბასი	2:0
სკალე–ზარია	0:1
ლნიპრო–მეტალისტი	0:2
გალიცია–მეტალურგი (დ)	2:0
ვორსკლა–ილიჩივეცი	3:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	30	22	8	0	67-23	74
2. შახტარი	30	19	6	5	57-20	63
3. მეტალისტი	30	18	7	5	43-20	61
4. დნიპრო	30	11	14	5	32-25	47
5. ტავრია	30	12	6	12	32-30	42
6. ჩერნომორეც	30	11	8	11	36-33	41
7. მეტალურგი (ზ)	30	10	10	10	25-32	40
8. კარპატი	30	9	10	11	26-35	37
9. მეტალურგი (დ)	30	9	9	12	26-35	36
10. კრივბასი	30	7	14	9	29-36	35
11. ზარია	30	9	7	14	23-43	34
12. ხარკოვი	30	8	9	13	26-38	33
13. ვორსკლა	30	7	10	13	23-28	31
14. არსენალი	30	7	9	14	28-44	30
15. ილიჩივეცი	30	6	7	17	23-39	25
16. სკალე	30	5	6	19	22-38	21

დანია

II დივიზიონი

XXIX ტური

ორესუნდ–ლუნგბი	1:2
აალბორგი–ბრაბენდი	2:0
ფრედერისია–ნაესჰეველი	2:1
ფრევი–კიოგე	3:2
ვეჟლეროზე–ფრედერიკი	8:1
ვიბ–ოლბორგი	1:0
კიოლენგი–აგფ ორესუნ	0:2
სილკებორგი–ბრაბრანდი	2:2

იტალია

სერია C1

ფლეი ოფი. II მატჩები

პიზა–მონცა	2:0 დ.დ. (0:1)
აველინო–ფორლა	3:0 დ.დ. (0:1)

აზია

XI ტური

ნიუ ინგლენდი–კოლამბუსი	3:3
ნიუ იორკი–ატლანტა სითი	3:3
დი სი იუნაიტედი–ჩივასგო	3:1
ჩივასი–კოლორადო	2:0
გრანდა–დალასი	4:0
ლ. ანჯელესი–ს.ლეიკი	მგ. დასრულდა

ფრანგული ბიბლიოთეკა

X ტური

პიკ-პაკა	2:1
ოულუ–კპვ	1:2
გამბერე–იარო	2:1
მიუპა–ინტერი	1:3
მარიეჰამნი–ტურკუ	0:3
პონია–ლაპტი	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტამპერე	10	7	2	1	14-8	23
2. ტურკუ	10	6	2	2	19-8	20
3. პაკა	9	5	2	2	10-7	17
4. პონია	9	4	3	2	14-10	15
5. პიკ	10	3	5	2	12-12	14
6. ლაპტი	8	4	1	3	15-11	13
7. მიუპა	10	3	4	3	10-9	13
8. იარო	10	3	3	4	14-13	12
9. კპვ	9	3	2	4	10-10	11
10. ოულუ	10	2	3	5	9-17	9
11. ინტერი	9	2	2	5	11-11	8
12. მარიეჰამნი	9	1	5	3	5-9	8
13. ვიპსინნიტი	9	2	2	5	7-13	8
14. პაასა	10	1	4	5	10-22	7

შვედეთი

X ტური

გიოტებორგი–კალმარი	3:2
ერებრუ–ბრომაპოიკარნა	4:0
ელფსბორგი–ჯრელებორგსი	დღეს
ჰელსინგბორგსი–გაის	დღეს
გეფლე–პიკ	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰალმსტადი	10	5	3	2	13-11	18
2. გიოტებორგი	10	5	2	3	17-12	17
3. იურგორდენი	9	5	1	3	15-8	16
4. მალმიო	10	4	4	2	13-8	16
5. კალმარი	10	5	1	4	15-11	16
6. ელფსბორგი	10	4	4	2	14-11	16
7. ჰამარბიუ	9	3	3	3	12-7	12
8. გეფლე	9	3	3	3	9-11	12
9. ერებრუ	10	2	5	3	11-13	11
10. გაის	9	3	2	4	7-10	11
11. პიკ	9	3	2	4	8-12	11
12. ტრელებორგ	10	3	2	5	11-18	11
13. ჰელსინგბორგ	9	3	1	5	11-12	10
14. ბრომაპოიკარი	10	1	3	6	8-20	6

II დივიზიონი

X ტური

სუნდსვალი-სირიუსი 0:0; ლანდსკრონა-იორგრიტე 2:1; ბუნკეფლო-ნორჩოპინგი 2:6; ფალკენბერგსი-იონჩოპინგსი 1:1; ოსტერსი-დეგერფორსი 0:0; სილვიაატვიდაბერგსი დღეს.

EURO 2007

UNDER 21

A ჯგუფი

ბელგია–პორტუგალია	2:2
ისრაელი–პორტუგალია	0:4

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუგალია	3	2	1	0	5-3	7
2. ბელგია	3	1	2	0	3-2	5
3. პორტუგალია	3	1	1	1	5-2	4
4. ისრაელი	3	0	0	3	0-6	0

B ჯგუფი

იტალია–ჩეხეთი	3:1
ინგლისი–სერბეთი	2:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სერბეთი	3	2	0	1	2-2	6
2. ინგლისი	3	1	2	0	4-2	5
3. იტალია	3	1	1	1	5-4	4
4. ჩეხეთი	3	0	1	2	1-4	1

1/2 ფინალი

პორტუგალია–ინგლისი
სერბეთი–ბელგია

ჯერსის თასი

შესარჩევი

ბოსტონი–მავრიკიანია	2:1
ზამბია–ჩადი	1:1
ერითრეა–ქენია	1:0
სეიშელი–სუდანი	0:2
ნამიბია–კონგო	1:1
გაბონი–მაროკო	0:1
კაბო ვერდე–გამბია	0:0
გვინეა–მავრიკანია	2:0
ანგოლა–ბენინი	0:2
კონგო-ს. ავრიკა	1:1
კამერუნი–რუანდა	2:1
ნიგერი–ნიგერია	1:3
მადაგასკარი–გაბონი	0:2
მოზამბიკი–განგალა	0:0
ანგოლა–ცენტრალური	3:0
ბურკინა ფასო–განგანა	0:1
ლიბერია–ეკ. გვინეა	0:0
გაბონი–ალჟირი	გადაიდო
გვინეა–ბურკინა	გადაიდო
ლიბია–ეთიოპია	გადაიდო
ლესოთო–ეგვიპტე	გადაიდო

არგენტინა

XIX ტური

რივერი–ველესი	3:2
არგ. ხუნიორსი–ინდიანა ლ	0:0
კოლონი–რასინგი	3:1
კილმესი–სან ლორენსო	1:2
რასინგი–ბოლივი	4:2
ინდიანა ს.–ინდეპენდიენტე	1:3
ბელგრანო–ბანფილდი	3:0
ნიუელსი–ნუევა ჩიკაგო	0:2
ლანუსი–ბოკა	0:0
არსენალი–შაბულიანდეზი	1:1

IRB. ერთა თასი

ორი მოგება, მესამე ადგილი

მზადების პირველი ეტაპი დასრულდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების რუმინული ტურნე, IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში შეიძლება წარმატებულად მივიჩნიოთ. ბორჯღალოსნებმა, რომელთაც ძირითადი შემადგენლობის 12 მოთამაშე აკლდათ, სამი შეხვედრიდან ორი მოიგეს და მესამე ადგილი დაიკავეს. ბოლო შეხვედრაში ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა იტალიის A ნაკრები დაამარცხა 22:20. თასის მფლობელი კი, სამხრეთი აფრიკის გუნდი გახდა.

საქართველოს ნაკრები ბუქარესტში

რუმინეთში გამართული შეჯიბრის მოკლე რეზიუმე ასეთია: აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ნაკრების გარემარბი **ოთარ ელოშვილი**, რომელიც დაცვაშიც არ ირჯებოდა ურიგოდ, შეტევისას კი მოწინააღმდეგეებს მისი შეჩერება ფრიად უჭირდათ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პირველ ხაზში ნაკრებს პრობლემა დიდხანს არ ექნება. რეზერვი საკმაოდ სოლიდურია. მეტნაკლებად დალაგებული ჩანდა უკანახაზელების თამაშიც.

ცხადია, იყო ბევრი ხარვეზიც. ტრადიციულად, ხშირად გვივარდებოდა წინ ბურთი შეტევისას, შეიძლება ითქვას, ადრინდელზე მეტადაც კი. ხშირად ვჯარიმდებოდით, მეტწილად რაკში, მიწაზე თამაშისას. თითქოს არაუშავდა ფეხით თამაშსაც, თუმცა ეს კომპონენტიც კიდევ უფრო დასახვეწია. და კიდევ გაცილებით მეტი ყურადღებაა საჭირო დაცვაში თამაშისას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზი უხვად იყო ბოლო შეხვედრაში იტალიელებთან. მონინააღმდეგემ თავიდანვე აქტიურად შემოგვიტია და პირველი ოცი წუთის განმავლობაში ბორჯღალოსნები მათ ოცდაორმეტრიან ზონას არც მიახლოვებიან. ამაში იტალიელებს არბიტრიც ხელს უწყობდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არბიტრს ხელს ჩვენი მორაგბეებიც უწყობდნენ. ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, მაგრამ ყოველთვის დამნაშავენი არ იყვნენ.

ერთი სიტყვით, საწყის ოც წუთში უპირატესობა იტალიელებისკენ იყო და **ლუჩანო ორკერას** ორი საჯარიმო დარტყმით, მე-3 და მე-17 წუთებზე, დაწინაურდნენ კიდეც - 6:0.

21-ე წუთზე ბორჯღალოსნებმა პირველივე სერიოზული შეტევა ღელოთი დაასრულეს. მარჯვენა ფრთაზე ლელოდან 20 მეტრში საკუთარი დერეფანი მოიგეს და მოწინააღმდეგე მოლით 15 მეტრი ათრიეს. იქ თამაში რაკში გადავიდა. ჩვენმა მორკინალებმა რამდენიმე დარტყმით სცადეს წინ წაწევა, მერე 9 ნომერმა **ირაკლი აბუსერიძემ** ბურთი ხაზზე გაიტანა და შუამარბ **დავით კაჭარავას** შეჩერება მოწინააღმდეგემ ისევ ღელოდან ხუთ მეტრში შეძლო. რაკიდან ბურთი **ზვიად მაისურაძემ** აიღო და თანაგუნდელებთან ერთად მოლის შეკვრა შეძლო. იტალიელები მოლს ვერც ამჯერად გაუძალიანდნენ. გადამწყვეტ ეპიზოდში მოლს მაისურაძე და **ვიქტორ დიდებულიძე** მოსწყდნენ და ლელოში კარის ძელებს შუა შეიჭრნენ. **მერაბ კვირიკაშვილს** გარდასახვის გატანა არ გასჭირვებია - 7:6.

იტალიელები შერკინებაში აშკარად ვერ გვიმკლავდებოდნენ და საქმეში ხშირად უკანახაზელებს რთავდნენ. ესენიც მალიმალ ჭრიდნენ ჩვენი გუნდის დაცვის ხაზს, თუმცა ლელომდე ვერ აღწევდნენ. მაქსიმუმი, რაც მოახერხეს, ტაიმის დასრულებამდე ორკერას მიერ გატანილი კიდევ ორი საჯარიმო იყო, 27-ე და 38-ე წუთებზე - 12:7.

პირველი ნახევარი ამ ანგარიშით დასრულდა.

არადა, ბოლო წუთებზე ქართველმა მორაგბეებმა სალელოვე შეტევა ვერ გამოიყენეს, უფრო ზუსტად კი არბიტრმა არ გამოაყენებინა. ბორჯღალოსნები მარცხენა ფრთაზე შერკინების დარტყმებით ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევდნენ. ლელომდე მეტრიღა იყო დარჩენილი. ბურთი რაკიდან შეცვლაზე შესულმა **დავით დადუნაშვილმა** აიღო და დიდებულიძესთან ერთად მოლის შეკვრა სცადა, მეტოქემ კი წელზე ხელი მოხვია და თამაში რაკში გადაიყვანა. არბიტრმა მყისვე ბურთის ჩახურვა დააფიქსირა და იტალიელების სასარგებლოდ შერკინება დანიშნა.

მეორე ნახევარი აქტიურად უკვე ბორჯღალოსნებმა დაიწყეს და სამ წუთში დაწინაურდნენ. მარცხენა ფრთაზე გარემარბმა **გიორგი შკინინმა** გაინავარდა. მას იქვე მეორე გარემარბი ოთარ ელოშვილი წამოეხმარა, რომელმაც კიდევ უფრო წინ მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწია. აქ ოთარი შებოჭეს, აბუსერიძემ შეტევის მიმართულება შეცვალა და ბურთი გრძელ ფრთაზე გაუშვა. მორკინალებმა ორი მოკლე დარტყმით კიდევ ათიოდ მეტრი მოიგეს. ისევ რაკი და ამჯერად ბურთთან შუამარბი **მალხაზ ურჯუკაშვილი** გაჩნდა. მეტოქისგან მოულოდნელად, მან პირდაპირ ლელოსკენ გაიწია. ერთი მონინააღმდეგე ხელით მოიცილა და ამ ტურნირზე მეორე ლელო მიითვალა. კვირიკაშვილმა ამჯერადაც ზუსტად გარდასახა - 14:12.

იტალიელები ექვს წუთში კიდევ ერთხელ და ბოლოჯერ დაწინაურდნენ. საჯარიმო ისევ ორკერამ გაიტანა 40 მეტრიდან - 15:14. ეს ანგარიში ოცი წუთის განმავლობაში არ შეცვლილა. 68-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა დიდოსტატური ლელო გაიტანა. ამ შეხვედრაში მარცხენა ბურჯად მოთამაშე დავით დადუნაშვილმა მეტოქის ხაზი საკუთარი მოედნის ოცდაორმეტრიანი ზონიდან გაჭრა და იტალიელთა ოცდაორამდე ირბინა. აქ მისი შეჩერება მეტოქემ გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო. რაკიდან აბუსერიძემ მერაბ კვირიკაშვილს გაუტანა, ამან ფეხით მეტოქის დაცვის ხაზს ბურთი ზურგსუკან გადაუკიდა. ყველას შეცვლაზე შემოსულმა შუამარბმა **რეზო გიგაურმა** დაასწრო, ოდნავ წინ წაიწია და კიდევ უფრო მარჯვნივ კიდესთან შკინინს გადააწოდა. გარემარბმა დარცენილი თხუთმეტი მეტრი უსწრაფესად გაირბინა, ისე რომ ორმა მეტოქემ ხელით წაპოტინებაც კი ვერ მოასწრო. გვერდითი ხაზიდან ორი მეტრიდან დარტყმული გარდასხვა კვირიკაშვილმა ძელს გაარტყა - 19:15. ოთხ წუთში კიდევ ერთი საბიფათო შეტევა იტალიელებმა წესის დარღვევით შეაჩერეს. უპრიანი იქნებოდა ბორჯღალოსნებს ბურთი კიდეზე გადაეტანათ და უკვე საკმაოდ მოქანცული მოწინააღმდეგის შერკინება დერეფნიდან მოლით ლელოში შეათრიათ, მაგრამ კაპიტან ირაკლი აბუსერიძის გადაწყვეტილება კარში დარტყმა იყო. კვირიკაშვილმა არც ამჯერად დააღალატა თანაგუნდელები და სხვაობა 7 ქულამდე გაზარდა - 22:15.

დარჩენილი რვა წუთი საქართველოს ნაკრებმა საკუთარ ოცდაორმეტრიან ზონაში გაატარა. იტალიელები და მატჩის ინგლისელი არბიტრი თავგამოდებით ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას. ჩვენი მორაგბეებიც არანაკლები თავდადებით იცავდნენ თავს. 75-ე წუთიდან კი სულაც კაცნაკლულნი დავრჩით. არბიტრმა მესამეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** ათი წუთით მოედნიდან გააძევა.

მატჩის ბოლო წამებზე, იტალიელებმა მაინც შეძლეს დაცვის ხაზის გაწელვა და მარცხენა ფრთაზე შექმნილი რიცხობრივი უპირატესობა ღელოთი დააგვირგვინეს. სეპემ ლელო ზედ კიდის ხაზთან გაიტანა. ორკერამ ურთულესი მდგომარეობიდან გარდასახვა მოახერხა და მატჩის ფრედ დასრულების შანსი ხელიდან გაუშვა - 22:20 ბორჯღალოსნების სასარგებლოდ.

სამ მატჩში, ორი მოგება და ერთი მარცხი. სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი, თითქმის სათადარიგო შემადგენლობით და საკმაოდ ღირსეული თამაში - ასეთია მოკლედ რუმინული ტურნირის ქართული მონაგარი.

ამით მსოფლიო თასისთვის მზადების პირველი ეტაპი დასრულდა. მეორე ეტაპს ბორჯღალოსნები ივლისის პირველ დეკადაში დაიწყებენ. თვის ბოლომდე საქართველოს ნაკრები ფიზმომზადებას თბილისში, "შევარდენის" სტადიონზე გაივლის, მერე კი გეზს საფრანგეთისკენ აიღებს, სადაც მონპელიესთან ახლოს, საკურორტო ქალაქ გრან მოტეში დაბანაკდება. უკვე გადაწყვეტილია, რომ მზადების ფრანგულ ეტაპზე ბორჯღალოსნები **ანრი ბრონკანის** ყოფილ და ამჟამინდელ გუნდებს, "ოშსა" და "აჟენს" დაუპირისპირდებიან. კიდევ ერთი კლუბის ან ნაკრების ვინაობა ოდნავ მოგვიანებით გაირკვევა.

ბესიკ ჯანგავაძე

მესამე ბური

საქართველო-იტალია A 22:20

საქართველო: (15-9) **ბარკალაია** (გურგენიძე 58), **შკინინი, ურჯუკაშვილი, კაჭარავა, ელოშვილი** (გიგაური 56), **კვირიკაშვილი, აბუსერიძე** (კაპ); (1-8) **მაგრაქველიძე** (დადუნაშვილი 38), **ჭყონია** (ნატრიაშვილი 48), **ხინჩაგიშვილი** (ჟღენტი 41), **მჭედლიშვილი, დიდებულიძე** (დათუნაშვილი 55), **ურუშაძე** (ი. მაისურაძე 54), **ზ. მაისურაძე, ჩხაიძე** სბ 75 - ვლ (ზ. მაისურაძე, ურჯუკაშვილი, შკინინი) 2გ,ს (კვირიკაშვილი)

იტალია A: (15-9) **მარკატო, სეპე, სკარბი, ბარბინი, ლ. ნიტოლია** (მ. ნიტოლია 59), **ორკერა, პატელი** (ლეონარდი 41); (1-8) **მილანი** (ბოკალონი 61), **ფერარო** (გირალდინი 55), **ჩიტადინი** (დე მარკი 65), **პავანელო, ველა** (პარიზე 72), **დერბიშირი** (ბირკალი 49), **ერასმუსი, დალ მაზო** - **ლ** *(სეპე)*, **5ს** *(ორკერა)*

მსაჯი: მარტინ ფოქსი (ინგლისი)

რუმინეთი-ჩინეთი 28:16

სამ.აფრიკა A-არგენტინა A 24:10

საბოლოო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სამ.აფრიკა A	3	3	0	0	109:24	13
2. არგენტინა A	3	2	0	1	84:57	9
3.საქართველო	3	2	0	1	55:62	8
4.რუმინეთი	3	2	0	1	54:85	8
5. იტალია A	3	0	0	3	48:68	2
6.ნამიბია	3	0	0	3	47:101	0

საქართველო-იტალია. მერაბ კვირიკაშვილის (ბურთით) და ირაკლი აბუსერიძის შეტევა

სამი ერის პირველობა

არეკნებით მოგებული

შაბათს კეიპეაუნში დაიწყო სამი ერის 2007 წლის გათამაშება. პირველ ტურში აფრიკამ ავსტრალიას უმასპინძლა. სამი ერის თასი 1996 წლიდან თამაშდება და მას მერე სამთა ტურნირი ახალი ზელანდიის ნაკრებმა შვიდჯერ მოიგო (მათ შორის შარშან), ხოლო ავსტრალიამ და აფრიკამ - ორ-ორჯერ. 2000 წლიდან მოყოლებული აფრიკის კონტინენტზე "ქურციკებმა" ავსტრალიას ყველა, შვიდივე მატჩი მოუგეს. თამაშის წინ მასპინძლები კვლავ უდავო ფავორიტები იყვნენ და თითქოს მხოლოდ იმაზე იყო საუბარი, რა სხვაობით მოიგებდნენ "ქურციკები". "ვოლაბებმა" კი თითქმის გამოაცხვეს სენსაცია, თავს გმირულად იცავდნენ და მატჩის განმავლობაში ხშირად წინ იყვნენ. საბოლოოდ აფრიკამ რომ გაიმარჯვა, სათადარიგო ბეკს, "შარქსელ" **ფრანსუა შტაინს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც 74-ე წუთზე არეკნით ანგარიში გაათანაბრა - 19:19, ოთხ წუთში კი კვლავ იმავე ხერხით მასპინძლებს 22:19 მოაგებინა დრამატულ მატჩში.

შაბათს სამ ერზე ტიტულის მფლობელი "ოლ ბლექსი" ჩაებმება, ჩემპიონი დურბანში სამხრეთ აფრიკას ესტუმრება. მანამდე კი ზელანდიელებმა კანადასთან ტესტში წაივარჯიშეს - 64:19. ამ შეხვედრაში ზელანდიელთა 10-მა ნომერმა **დენ კარტერმა** 29 ქულა დააგროვა და ტესტმატჩებში ეროვნული რეკორდი დაამყარა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სამხ. აფრიკა-ავსტრალია 22:19

აფრიკა: (15-9) **მონტგომერი, ვილემსე, ფური, დევილიე, პიტერსენი, ჯეიმზი, პინარი**; (1-8) **სტენკამპი, ჯ. სმითი, ბ.ჯ. ბოთა, ბ. ბოთა, მეტფილდი, ბურხერი, ჟ. სმითი, შპაისი** სბ 36 (16-22) **გ.ბოთა, ფანდერლინდე, მულერი, როსუ**; კლასენსი, ოლიფიე, შტაინი - **ლ** *(ფური)*, **გ, 3ს** *(მონტგომერი)*, **2ა** *(სტეინი)*

ავსტ: (15-9) **ჰაქსლი, მიჩელი, მორტლოკი, გიტო, ტუკირი, ლარქემი, გრეგანი**; (1-8) **დანინგი, მური, შეპერდსონი, შარპი, ვიკერმანი, ელსომი, სმითი, პალუ** (16-22) **ფრეიერი, ბაქსტერი, ჩიზჰოლმი, ჰოილზი, ვოო**; ეშლი-კუპერი, ჯერარდი - **ლ** *(გიტო)*, **გ, 4ს** *(მორტლოკი)*

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

ბიძინაშვილმა მოიგო, თავართქილაძე ლიდერობს

კვირას, რუსთავის ავტოდრომზე, წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი გაიმართა. საასპარეზოდ 10 ავტომრბოლი გამოვიდა. შეჯიბრების წინ ყველა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის მოწმე გახდა. **მამუკა მელაძემ** ("სიტროენ საქსო") ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა საკუთარი მანქანის საბორტო ნომერს "სამიანი" მოაშოროს და "ერთიანი" დატოვოს. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და მოგახსენებთ, რომ ამ ნაბიჯმა ჯერ არ გაამართლა, მაგრამ წინ კიდევ ბევრი შეჯიბრება და ყველაფერი კარგად იქნება (მთავარია, მოიშორო მე-13 ნომერი, რადგან ავტოსპორტში "თარსად" ითვლება).

პირველი რბოლის სტარტი **დათა ქაჯაიამ** (ჰონდა CRX) მოიგო. მეორე იყო **ზურაბ ბეჟაშვილი** (ჰონდა სივიკი), სხვათა შორის, პოულ პოზიშენის (1.54.08) ავტორი. მესამე ადგილზე **არჩილ ბიძინაშვილი** იმყოფებოდა, მეოთხე **არჩილ ჩიქოვანი** (სიტროენ საქსო) იყო.

ბეჟაშვილმა დიდხანს სდია ქაჯაიას, შემდეგ პირველივე მოსახვევთან ეფექტური მანევრირებით გაასწრო და ფინიშამდე აღარავის დაუთმო პირველი ადგილი. ბიძინაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა, ჩიქოვანმა - მესამე. **გიორგი ოგბაიძე** (ჰონდა სივიკი) მეოთხე მივიდა ფინიშთან. **ოთარ თავართქილაძემ** (ჰონდა სივიკი), **დათა ქაჯაიამ, ბესიკ ბოჭორიშვილმა** (ვაზ 2108) და **კახა ჩადუნელმა** (ჰონდა სივიკი) დანარჩენი ოთხი ჩასათვლელი ადგილი დაიკავეს.

მეორე რბოლამდე შესვენება გამოცხადდა. ამ დროს იუნიორის კლასში ოთხი პილოტი "სუძუკის" მანქანებით ასპარეზობდა. გამარჯვება **დიმიტრი ქობულიამ** მოიპოვა.

მეორე რბოლის სტარტი ცოტათი შეფერხდა, რადგან თავართქილაძეს ტექნიკური პრობლემები შეექმნა და საბოლოოდ რბოლაში მონაწილეობა არც მიუღია, თუმცა საერთო ჩათვლაში ლიდერობა მაინც შეინარჩუნა.

მეორე შეჯიბრებას ქაჯაია დიდხანს ლიდერობდა, მაგრამ დასასრულს კვლავ დათმო პოზიციები. მას ჯერ ბიძინაშვილმა გაასწრო, მერე ოგბაიძემ. ბეჟაშვილმა რამდენჯერმე სცადა გასწრება, მაგრამ ქაჯაიამ ყველა შეტევა მოიგერია და ფინიშთან მესამე მივიდა. საერთო ჯამში გამარჯვებულად არჩილ ბიძინაშვილი გამოცხადდა, მეორე ადგილი ზურაბ ბეჟაშვილს მიეკუთვნა, მესამე - ოგბაიძეს.

მომდევნო, რიგით მეხუთე ეტაპი წრიულ რბოლაში, ორ კვირაში, კვლავ რუსთავის ავტოდრომზე გაიმართება.

დავით ჩუბინიძე

ჰელთბურთი

ინტერვიუ დავით ერქვანიასთან

კალათბურთი თუ სწავლა? ორივეინცა!

ევროპის უმთავრეს საკალათბურთო საიტ "ევრობასკეტის" ქართულ განყოფილებაში მიცემულია შეკითხვა: სად ჯობს ახალგაზრდების აღზრდა? პასუხი სამია - ამერიკის კოლეჯში, ევროპის აკადემიებსა და საქართველოში. მოპასუხეთა 75 პროცენტი ამერიკისკენ იხრება. ეს გასაგებიცაა - ჯერ ერთი, ოკეანის გაღმა იდეალური საკალათბურთო პირობებია და მეორე, თუკი კოლეჯში წასული საბოლოოდ სპორტსმენი ვერ გამოვიდა, სწავლა და დიპლომი მაინც შერჩება...

ამ საკითხში მეტად კომპეტენტურია დავით ერქვანია, რომელიც ამერიკაში ორი წლის წინათ წავიდა და "სამხრეთ-აღმოსავლეთის" კოლეჯის (აიოვას შტატი) ღირსებას იცავდა, გაისად კი "პენსაკოლას" კოლეჯში განაგრძობს თამაშს.

დავით ერქვანია

- საქართველოში ჩამოსვლამდე ფლორიდაში, "პენსაკოლას" კოლეჯში მივედი, საკალათბურთო გუნდში ერთი მატჩი ჩავატარე და მეორე დღეს ხელმოსაწერად გამზადებული ფურცელი წარმომიდგინეს. სტიპენდიიდან დაწყებული, საცხოვრებელი პირობებით დამთავრებული, ყველა ნიუანსი დავაზუსტე, ხელი მოვუწერე და თბილისისკენ ისე გამოვეშურე.

- ასე რომ, გაისად ლაშა ფარღალავას გვერდით ითამაშებ...

- გუნდში ლაშას ყველა აფასებს და მიხარია, რომ მომავალ სეზონში გვერდიგვერდ მოგვიწევს თამაში. ვიმედოვნებ, მწვრთნელის იმედებს მეც გავამართლებ.

- ამერიკაში როდის ბრუნდები?

- ვიზა უნდა ავიღო, ტრავმირებულ მუხლს მივხედო... მოკლედ, ამერიკაში წასვლის დრო ჯერ არ დამიდგენია.

- გასული სეზონი როგორ ჩაატარე?

- შორიდან მოვუვლი: ორი წლის წინათ "სამხრეთ-აღმოსავლეთის" კოლეჯში ჩავირიცხე და პირველი სეზონი ადაპტაციას მოვანდომე. საზაფხულო შესვენებისას ფიზიკურად მოვემზადე და პირველივე კემპზე თავი კარგად წარმოვაჩინე. ამას სხვადასხვა ძლიერი გუნდების წინადადებები მოჰყვა (ამ საკითხზე სასაუბროდ ტელეფონის გამოყენების უფლება არა აქვთ, ამიტომ ჩემი ელ-ფოსტა სხვადასხვა შეთავაზებებით გაივსო. ოღონდ, ამ სიტყვებს ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ). ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა საუკეთესო ვარიანტი უნდა ამერჩია, მუხლის ტრავმა მივიღე. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ეს სეზონი გამეცდინა, რისი უფლებაც ყველა კალათბურთელს აქვს, ოღონდ შესაბამისი სამედიცინო ცნობაა საჭირო.

- ფეხი ახლა როგორ მდგომარეობაში გაქვს?

-'ცოტა კიდევ მაწუხებს, მაგრამ ღუდუშაურის კლინიკაში სურათი უკვე გადავიღე და ვიმედოვნებ, ჩვენი ექიმები მალე მიმკურნალებენ. მითხრეს, მუხლში ანთებითი პროცესია, სერიოზული არაფერიაო...

- "პენსაკოლას" კოლეჯში რამდენ ხანს დარჩები?

- იუნიორთა კოლეჯში სწავლისა და თამაშის უფლება ორი წელიწადი მქონდა, მაგრამ, რადგანაც ერთი სეზონი გამიცდა, კიდევ ერთი წელიწადი შემიძლია ვითამაშო. ლაშა ფარღალავაც ასეთ სიტუაციაშია. მომდევნო სეზონის შემდეგ იუნიორებში გამოსვლის უფლება აღარ გვექნება და რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში მოგვიწევს კარიერის გაგრძელება. იქ სწავლება ოთხწლიანია.

- ამერიკაში წასული ზოგიერთი ახალგაზრდა კალათბურთის გადამკიდე სწავლისთვის ვერ იცლის.

- სიმართლეს გეტყვი - სწავლას თამაშზე არანაკლებ ყურადღებას ვაქცევ. გუნდში ხელფასს არ ვიღებ, სამაგიეროდ, უფასოდ ვსწავლობ. არადა, ჩემს ყოფილ კოლეჯში სწავლის ქირა წლიურად 18 ათას დოლარს შეადგენდა. ცხადია, ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ამერიკაში ჩემი წასვლა ბევრს გაუკვირდა - იტალიის მეორე ლიგის გუნდში მოხვედრის შანსი ჰქონდა, მაგრამ კოლეჯების ლიგა ამჯობინაო. საქმე ისაა, რომ კალათბურთელის კარიერაა 10-15 წელიწადი გრძელდება, მერე რამე ხომ უნდა აკეთო? ჰოდა, ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომიანს საქართველოში თუნდაც საშუალოხელფასიანი სამსახურის პოვნა არ გაგიჭირდება.

- შარშან, ამერიკულ გაზეთებში საქართველოზე შენი ლექციები წავიკითხე...

- "სამხრეთ-აღმოსავლეთის" კოლეჯი იუნიორთა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. ამიტომ მისი კალათბურთელებისადმი მასმედია ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა. თავიდან ინტერვიუში ჩემი ქვეყნის შესახებ ბევრი რამ გამომკითხეს და რომ დარწმუნდნენ ცივილიზებული სამყაროდან ვიყავი, ჩემდამი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. ჟურნალისტებმაც მეტი ინტერესი გამოიჩინეს და გულშემატკივრებმაც, გარდა იმისა, რომ უკეთ გაცნობის მიზნით ხალხი სადილზე მეპატიჟებოდა, ახალგაზრდებთან შეხვერებზე ბიბლიოთეკებშიც დავდიოდი და რაც ვიცოდი, საქართველოზე ყველაფერს ვუყვებოდი - თბილისის დაარსების ლეგენდიდან დაწყებული, საცივის რეცეპტით დამთავრებული. ჩემი დაკვირვებით, აიოვას შტატში, სხვებისგან განსხვავებით, ოჯახსა და განათლებაზე ორიენტირებული მეტი ადამიანი ცხოვრობს. გამიმართლა ამ შტატში რომ მოვხვდი. ვიმედოვნებ, ფლორიდაშიც საინტერესო გარემო დამხვდება...

ვაჟა სიმონიშვილი

სუმბო

პუტინის თასის ფინალში

შაბათს მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტდარბაზ „დრუჟბაში“ მასპინძელთა ტრიუმფით დამთავრდა პრეზიდენტ პუტინის თასის გათამაშება სამბოში, საქართველოს ნაკრებმა კი მეორე ადგილი დაიკავა.

ესაა ტურნირი საკმაოდ კარგი საპრიზო ფონდით, რომელიც გუნდური პრინციპით ტარდება და ორგანიზატორები რეგიონთა წამყვან გუნდებს იწვევენ. ამჯერად მასში რუსეთის, საქართველოს, უკრაინის, ბელარუსის, ბულგარეთის, სამხრეთ კორეის, ყაზახეთის, მონგოლეთის, საბერძნეთისა და ვენესუელის ნაკრებები ჭიდაობდნენ.

მოლოდინისამებრ, მასპინძლები ფინალში იოლად გავიდნენ, მეორე საგზური კი ქართველებმა მოიპოვეს. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ჩვენი უპირატესობით კი დაიწყო - ევროპის ჩემპიონმა **უშანგი კუზანაშვილმა** (52) მსოფლიო ჩემპიონი **ბესლან მუდრანოვი** წმინდად დაამარცხა, მაგრამ მერე **ოლეგ იაძის** შეგირდებმა ლამის ყველა ბრძოლა წმინდად წააგეს და 1:8 დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ რუსებმა თითქმის ყველა შეხვედრა მტკივნეული ილეთით მოიგეს. მათ შორის, ჩვენი გუნდის ლიდერ **მინდია ბოდაველთანაც** (90), რომელსაც მსოფლიოს შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა **ალსიმ ჩერნოსკულოვმა** აჯობა. ტრავმის გამო შეწყვიტა ბრძოლა **ნოდარ მჭედლიშვილმა** (68), რომლისთვისაც **მაქსიმ სიმანოვის** გდება საბედისწერო გამოდგა - ფეხი იტკინა.

დრამატულად წარიმართა **მირიან პავლიაშვილისა** (100) და **ევგენი ისაევის** შეხვედრა, რომელიც ჩვენებურის ტრავმით დამთავრდა. პავლიაშვილმა, რომელსაც რუსი ჟურნალისტები ქებით მოიხსენიებენ, სწრაფად გააკეთა 2-ქულიანი გდება. მალე ამას კიდევ ერთი 2-იანი მიაყოლა, მაგრამ უხერხულად დაეცა და ზურგის ტრავმამ შეაწუხა... ცოტა ხანში პავლიაშვილი წამოდგა და ბრძოლა გააგრძელა, რითაც დარბაზის ოვაცია დაიმსახურა. ტრავმირებულმა კიდევ ორი ქულა მიითვალა და ანგარიში 6:0 გახადა, მაგრამ ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო და გამარჯვება მეტოქეს გადააბარა. თუმცა, ეს ბრძოლა ისედაც აღარ ცვლიდა არაფერს, ვინაიდან ამ დროს უკვე 1:6 ვაგებდით.

ირაკლი თავაძე

მილოცვა

"ლელოს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან სპორტულ ჟურნალისტს, ჩვენი გაზეთის ძველი თაობის წარმომადგენელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს შალვა ქირიას.

ვლადიმერ ბოისა

ლეგიონერი

ერთიცა და...

ვლადიმერ ბოისას "მონტეპასკიმ" იტალიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაშიაც დაამტკიცა, რომ 2006-07 წლების სეზონში სერია A-ს საუკეთესო კლუბია. სიენელებმა ბოლონიის "ვიდივიჩი" მეორე მატჩშიც დაამარცხეს, თანაც სტუმრად და თანაც დამაჯერებელი ანგარიშით - 86:65.

შეხვედრის პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და მასპინძელთა ორქულიანი გამარჯვებით დასრულდა (36:34). აქვე გეტყვით, რომ მეორე მეოთხედში ვოვა ბოისამ 4 წუთი ითამაშა და თავი ორი ფოლის მიღებით "გამოიჩინა". ბოისას გასწვრივ ყველა სხვა გრაფაში ნულიანები ეწერა. ჩვენიანი მატჩის მეორე ნახევარში მოედანზე არ გამოჩენილა და საბოლოოდ 4 წუთით მოუწია დაკმაყოფილება.

"მონტეპასკის" მწვრთნელის, **სიმონე პიანიჯანის** ვოვასადმი უნდობლობამ კიდევ ერთხელ გაგვაოცა - ბოისას უშუალო კონკურენტ **შონ სტოუნრუკს** ხომ 25 წუთში 2 ქულის და 4 მოხსნის მეტი არაფერი გაუკეთებია... სამაგიეროდ იყოჩაღა ლიტველმა **რიგანტას კაუკენასმა**, რომელმაც 26 წუთში 25 ქულა მიითვალა.

"მონტეპასკი"-"ვიდივიჩის" მესამე დაპირისპირება სიენაში გაიმართება. მისი მოგების შემთხვევაში ვლადიმერ ბოისა იტალიის ჩემპიონობას იზეიმებს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჩოგბურთი

ჩახნაშვილმა ბალახიც მოსინჯა

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** წლეულს უფრო ხშირად WTA ტურის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ასპარეზობს, სადაც წარმატების მიღწევა გაცილებით რთულია, ვიდრე სხვადასხვა ჩელენჯერზე. სწორედ ამ მიზეზით მაკამ ველარ გაუმჯობესა დეკემბრის მიღწევა, როცა მსოფლიოს 138-ე ჩოგანი გახდა (ახლა 149-ე ნომერია). მეტიც, საუკეთესო ქართველ ჩოგბურთელს წლეულს ზედიზედ ორი მატჩი არ მოუგია. მაკა ჩახნაშვილი ინგლისში იმყოფება, სადაც კარიერაში პირველად მონაწილეობს ისტბორნის ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარია, ხოლო კორტის საფარი - ბალახი. ბუნებრივია, მაკა ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება. წილისყრამ მას ნაკლებად გაუმართლა - მე-3 ნომრით განთესილი **ჟილ კრეიბასი** (57) ერგო. მაკამ უშანსოდ წააგო - 0:6, 1:6 და ერთეულთა ტურნირს დაეთხოვა. მაკა ჩახნაშვილი სამხრეთ ინგლისში წყვილთა თანრიგშიც იასპარეზებს.

ჭიჭუული წყვილში და მარცხი მეწყვილესთან

16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** ახალგაზრდულ ასპარეზზე კიდევ ერთი წარმატება მიითვალა - მან ოფენბახის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პირველი კატეგორიისაა, წყვილთა თანრიგის ტიტული მოიგო, ერთეულებში კი ნახევარფინალში დამარცხდა. ოქსანა 18-წლამდელთა რეიტინგში 25-ე ჩოგანია, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ახალ რეიტინ-ლისტში ის ოცეულში შევა.

ერთეულთა თანრიგში ოქსანა კალაშნიკოვა გერმანიაში მეხუთე ნომრად განთესეს. ჩვენ ოფენბახის ტურნირის შესახებ თხრობა მაშინ შევწყვიტეთ, როცა ოქსანა მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მე-2 ნომრად განთესილ რუს **ელენა ჩერნიაკოვას** შეხვდა. ისევე როგორც წინა მატჩებში, ქართველს არც ამჯერად დაუთმია სეტი - 6:2, 6:0. ნახევარფინალში მისი მეტოქე ტურნირის მესამე ნომერი რუმინელი **ირინა ბეგუ** იყო. დაძაბულ ბრძოლაში ჩვენმა ჩოგბურთელმა დათმო მეწყვილესთან ბრძოლა - 1:6, 6:3, 3:6.



ოქსანა კალაშნიკოვა

წყვილთა თანრიგში **ირინა ბეგუ** და **ოქსანა კალაშნიკოვას** დუეტი მე-2 ნომრად განთესეს. ნახევარფინალში მათ მე-8 ნომრად განთესილი ავსტრალიელები (**ჰოლანდი, პეერსი**) დაამარცხეს - 6:4, 6:4. ფინალში ქართულ-რუმინულ წყვილს ასევე ინტერნაციონალური დუეტი ელოდა, ჰონგკონგელი **ჭანკის** და ავსტრალიელი **კოლდერვუდის** შემადგენლობით (მე-3 ნომრად განთესილები). ოქსანა კალაშნიკოვამ და ირინა ბეგუმ სამ სეტში იმარჯვეს - 4:6, 6:3, 6:2. ეს ქართველი ჩოგბურთელის მეორე ტიტულია წლევანდელ წყვილებში, მაისში მან და ბეგუმ იტალიაში ჩიტა დი სანტა გროსეს ტურნირი მოიგეს. კალაშნიკოვა ახლა ინგლისში, როუჰემპტონის პირველი კატეგორიის ტურნირში ითამაშებს, შემდეგ კი უიმბლდონის ახალგაზრდულ ტურნირში გამოვა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რენა აბჟანდაძის თასი

მესამიდან მეორე კატეგორიამდე

გასულ უქმეებზე იან ჰომერის სახელობის კორტებზე დაიწყო რენა აბჟანდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. უფრო სწორედ, პირველად კორტებზე ვეტერანი და მოყვარული ჩოგბურთელები გავიდნენ, ძირითადი ტურნირი კი დღეს იწყება. "რენას თასის" საერთაშორისო სტატუსი აქვს და მესამე კატეგორიის ტურნირია. მეორე კატეგორიამდე რომ ამაღლდეს, აუცილებელია მინიმუმ 9 ქვეყნის წარმომადგენელმა ითამაშოს. გუშინ დადგინდა, რომ თბილისში 12 ქვეყნიდან გვეწვივნენ, მეცამეტე საქართველოა. ეს რაოდენობა კი სავსებით საკმარისია სასურველი კატეგორიის მისაღებად. ორგანიზატორები საჭირო საბუთებს თავს მოუყრიან და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაში გააგზავნიან, იმედია FTA-ს უფროსობა უკან არ დაიხევს და ერთი საფეხურით აამაღლებს "რენას თასს".

კატეგორიის მომატება, ძლიერ ჩოგბურთელთა მატებასაც ნიშნავს და ქვეყანათა გეოგრაფის გაზრდასაც. აქედან გამომდინარე, მომავალი წლის გათამაშება ბევრად საინტერესო უნდა იყოს. ნაკლები არც წლევანდელია, - მასპინძლებთან ერთად ერთმანეთს ინგლისელი, შეიცარიელი, გერმანელი, პოლონელი, ლიტველი, რუსი, უკრაინელი, მოლდოველი, სომეხი ავსტრიელი, აზერბაიჯანელი და ბელარუსი ჩოგბურთელები გაეჯიბრებიან. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში - 14 და 16-წლამდელებში გაიმართება. გამარჯვებული 60 სარეიტინგო ქულას მოიპოვებს; მეორეადგილოსანი - 50-ს, ხოლო მესამე ადგილზე გასული - 30 ქულას მოუყრის თავს. 20 ქულას შეიმატებს მეოთხედფინალისტი, მერვედფინალისტი კი - 15-ს.

ქართველ ჩოგბურთელებს ქულათა მოხვეჭის კარგი შანსი აქვთ - ძირითადად ისინი ითვლებიან ფავორიტებად, თუმცა არც სტუმრები აპირებენ მხოლოდ ტურისტად ყოფნას... რა როგორ იქნება, მალე გამოჩნდება, იქამდე კი ვეტერანთა და მოყვარულთა შორის გამართულ ტურნირზე მოგახსენებთ.

მონაწილენი სამ ასაკობრივ ჯგუფად დაყვეს 40 წლამდე; 40-დან 60-მდე და 60 წლის ზემოთ. 40 წლამდე სულ 6 მონაწილე მოგროვდა და ამიტომ წრიული სისტემით შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ამ ასაკში გამარჯვებული შაბათსვე გამოირკვა - უძლიერესი **აბესალომ კეკელია** გახდა. მეორეზე **ზურაბ ჩაჩუა** გავიდა; მესამეზე - **გელა გელაშვილი**.

40-დან 60-მდე კატეგორიაში შედარებით მეტი მონაწილე შეგროვდა, ამიტომ აქ ჯგუფური ტურნირები გათამაშდა, რის შემდეგაც ნახევარფინალური ოთხეულიც გაირკვა. 40-დან 60 ნახევარფინალში ითამაშებენ: **გივი ლაბაძე, დავით ასათიანი, ერმილე ჭიჭინაძე** და **ავთო ლომიძე**. 60-ს ზემოთაც ექვსი მონაწილე იყო და აქაც პირველივე დღესვე გაირკვა გამარჯვებული და პრიზიორები: 1. **ზაურ ხარია**; 2. **გივი რუსიშვილი**; 3. **გივი ბაქრაძე**.

შაბათსვე გამოვლინდა ქალთა გამარჯვებული. პირველობა არავის დაუთმო **ოფელია ბიჩინაშვილმა**, მეორე იყო **თამარ იმნაძე**, მესამე - **ნათია ქოქრაშვილი**.

წყვილთა ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: **ერმილე და ბესო ჭიჭინაძეებმა; დავით ასათიანმა** და **ალექსანდრე შეკულევმა, გივი ლაბაძემ** და **ალექსანდრე გეგეჭკორმა, ირინა მალაციძემ** და **დავით ლანჩავამ**. ნახევარფინალური და ფინალური ორთაბრძოლები ძალიან საინტერესო იქნება, მაგრამ ამ სიამოვნებას მაყურებელი მომავალ შაბათ-კვირამდე ვერ იხილავს - ორგანიზატორებმა ამ დღისთვის დათქვეს ყველა ნახევარფინალური და ფინალური მატჩების გამართვა, მათ შორის მთავარი ტურნირისაც.

ზვიად შათირიშვილი

ჰოკეი

მგლებმა მიმინო მოათვინიერეს

საქართველოს ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ სამი შეხვედრაა ჩატარებული, მაყურებელი კი თანდათან მატულობს და უკმაყოფილო არ რჩება სანახაობით. თანაც, ზაფხულის პაპანაქებაში გრილი გარემო...

შაბათს მატჩი თბილისის "რუხ მგლებსა" და ბაკურიანის "მიმინოს" შორის გაიმართა. მეტოქეებმა ერთმანეთი არ დაინდეს და შეხვედრა უხვგოლიანი გამოდგა. "მგლებმა" "მიმინო" 6:5 დაამარცხა (2:2, 4:3, 0:0; გოლები: 1:0 დავიდოვი, 2:0 ავტოგოლი (ხუციშვილი), 2:1 ოგანეზიანი, 2:2 ჯეირანაშვილი, 3:2 დავითაშვილი, 4:2 ბახტაძე, 4:3 გოგიჩაიშვილი, 5:3 სამადაშვილი, 5:4 ჯეირანაშვილი, 5:5 გეფერიძე, 6:5 დავიდოვი).

მამუკა შერგელაშვილი, "მგლების" კაპიტანი: - "ძალიან გაგვიმართლა, პირველივე შეხვედრაში ჩემპიონატის ფავორიტს - "მიმინოს" რომ დავუპირისპირდით და ყველასთვის მოულოდნელად გამარჯვებაც კი მოვიპოვეთ. მატჩი ბოლო წუთამდე დაძაბული იყო, ერთი გოლიც კი ცვლიდა ყველაფერს. ჩვენი გუნდის სამეულები თანაბარი დონის იყვნენ, რასაც ვერ ვიტყვი "მიმინოს" სამეულებზე. მათზე მძიმედ იმოქმედა ჩვენ მიერ, თამაშის დაწყებიდან მე-20 წამზე გატანილმა შაიბამ და ავტოგოლმა, რასაც ნერვიულობა მოჰყვა და გუნდს ეს ბოლომდე ეტყობოდა. ვიტყვი, რომ მცირე უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, თუმცა იყო მომენტები, როცა ისინი გააფთრებულად გვიტევდნენ."

გია ოგანეზიანი, "მიმინოს" კაპიტანი: - "ეს "მგლების" პირველი შეხვედრა იყო, ჩვენი თამაში მათ უკვე ნანახი ჰქონდათ და, აქედან გამომდინარე, ვიცოდით, რომ კარგად იყვნენ მომზადებულები, თუმცა დამარცხებას ნამდვილად არ ველოდით. ანგარიშის გათანაბრების შანსი ბოლო წამებშიც კი გვქონდა, მაგრამ შაიბა ვერ გავიტანეთ და რევანშზე ფიქრი ახლავე დავიწყეთ."

შემდეგი და სეზონის ბოლო შეხვედრა 30 ივნისს, "რუხ მგლებსა" და "ყინულის რაინდებს" შორის გაიმართება. ივლისიდან კი გუნდები შეკრებებს გეგმავენ ბათუმში. ახალ სტანდარტულ მოედანზე ისინი ამხანაგურ შეხვედრებს ჩაატარებენ, შემდეგ კი ჩვენი ნაკრები აშშ-ში საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **ბესო ცინცაძის** სკოლაში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაემგზავრება.

ეროვნული ჩემპიონატი სექტემბრიდან განახლდება.

თიკა ასლანიშვილი

ავტორის ფოტოები



სპორტული მედიცინა

რეგიონული კონფერენცია

გუშინ, თბილისში დამთავრდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ ოლიმპიური სოლიდარობის ეგიდით მოწყობილი ექიმთა რეგიონალური საერთაშორისო კონფერენცია - „ტრავმატოლოგიისა და კარდიოლოგიის თანამედროვე პრობლემები სპორტულ მედიცინაში“.

კონფერენცია კავკასიის რეგიონისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა კონფერენციის თემატიკამ აზერბაიჯანელ და სომეხ ექიმებთან ერთად ერთი უკრაინელი მკურნალიც დააინტერესა. მის ჩამოსვლით შეხვედრა რეგიონალურ ფარგლებს გასცდა. ლექციების წასაკითხად ისეთი ცნობილი სპეციალისტები ჩამოვიდნენ, როგორებიც არიან მსოფლიოს სპორტული მედიცინის ასოციაციის გენერალური მდივანი, იტალიელი პროფესორი **ფაბიო პიგოცი**, შოტლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების ექიმი, პროფესორი **სტიუარტ ჰილსი**, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის კონსულტანტი, პროფესორი **მიდჰად კოზი** და თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელი, UEFA-ს სამედიცინო კომისიის წევრი, პროფესორი **მეჰმეთ ბინეთი**. მათთან ერთად სპორტული მედიცინის უახლეს მეთოდებსა თუ პრეპარატებზე გამოცდილებას დამსწრეთ ცნობილი ქართველი სპეციალისტებიც უზიარებდნენ. ისინი, ვის მხრებზეც გადადის ქართული ოლიმპიური გუნდის მზადება თამაშებისთვის.

სამდღიანი კონფერენციის პირველი დღე საქართველოს ღირსშესანიშნაობების გაცნობასა და კულტურულ პროგრამას ეთმობოდა, ბოლო ორი - თეორიულ მეცადინეობებს. შაბათს კონფერენციას სასტუმრო „ამბასადორის“ საკონფერენციო დარბაზმა უმასპინძლა, გუშინ კი სამედიცინო ფირმა ჯი-პი-სის ოფისში დასრულდა.

კონფერენციის ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანეს და აქტიური მონაწილეობაც მიიღეს სეოკ-მა, სპორტის დეპარტამენტმა და სპორტის სამინისტრომ, ფეხბურთის ფედერაციამ, თავად ჯი-პი-სიმ და ჯანდაცვის სამინისტრომ, პირადად მინისტრმა **ლადო ჭიპაშვილმა**, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა საკითხის სიმწვავე. მისი დამსახურებით, საერთაშორისო სერთიფიკატი კონფერენციაში მონაწილე 80-მა ქართველმა ექიმმა მიიღო, რაც დარგის განვითარებას, ქართველი ექიმების უცხოელ კოლეგებთან დაახლოებასა და მონინავე მეთოდების დანერგვას ხელს შეუწყობს. საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია მადლობელია ყველა ჩამოთვლილი ორგანიზაციისა, ვინაიდან ჩვენი ექიმები მსგავსი კონფერენციებში ისე ხშირად ვერ მონაწილეობენ.

ირაკლი თავაძე

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1. ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ

ᲞᲔᲛᲘᲚᲢᲝᲜᲛᲐ ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐᲖᲔᲪ ᲘᲛᲐᲕᲐᲠᲓᲐ

ᲛᲘᲡᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, **ᲚᲣᲡᲘᲡ ᲰᲔᲛᲘᲚᲢᲝᲜᲔᲖᲔ** ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲫᲚᲔᲚᲐᲓ ᲗᲣ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲔ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲔᲠᲗᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲘᲡ ᲤᲐᲜᲐᲓᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲠᲔ ᲗᲣ ᲐᲢᲧᲓᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ, ᲔᲡ ᲨᲐᲕᲙᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲚᲝᲢᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲞᲐᲕᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ.

ᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ ᲛᲝᲘᲐᲞᲘᲕᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚ "ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐᲞᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲢᲝᲠ ᲡᲞᲘᲓᲣᲔᲘᲖᲔᲪ" ᲘᲖᲘᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ. ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲞᲘᲠᲐᲓ ᲩᲐᲗᲕᲚᲔᲨᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲘᲛᲢᲙᲘᲪᲐ - ᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲗ ᲥᲣᲚᲐᲡ ᲣᲒᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜ **ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲐᲚᲝᲜᲡᲝᲡ**.

ᲰᲔᲛᲘᲚᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐᲛ ᲘᲜ ᲘᲧᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲛᲐᲛᲓᲔᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲠᲗᲡᲐᲮᲔᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲢᲠᲔᲚᲝ ᲒᲐᲒᲖᲘᲮᲓᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲚᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠᲪᲗᲣ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, **ᲯᲐᲙ ᲕᲘᲚᲜᲔᲕᲘᲡ, ᲛᲘᲙᲐ ᲰᲐᲙᲘᲜᲔᲜᲛᲐ** ᲓᲐ **ᲛᲘᲮᲐᲔᲚ ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲛᲐ** ᲛᲘᲒᲕᲐᲮᲐᲠᲘᲔᲑᲓᲐ. ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲬᲘᲚᲔᲓ ᲞᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲨᲣᲐᲨᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲓᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲛᲔᲢᲬᲘᲚᲔᲓ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲗᲣ ᲠᲐᲛᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲛᲔᲢᲬᲘᲚᲔᲓ ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲡᲔᲗ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ, ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲐᲪᲘᲝ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲜᲐᲮᲘᲕᲔᲜᲔᲑ ᲨᲔᲓᲔᲒᲡ. ᲞᲝᲧᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲞᲘᲚᲝᲢᲔᲑᲘ ᲠᲑᲝᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲜᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲜ ᲨᲔᲣᲛᲪᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲮᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲚᲝᲢᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲤᲘᲜᲝᲨᲘᲛᲐᲓᲔᲛᲓᲔ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲭᲘᲠᲗ. ᲰᲝᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲠᲑᲝᲚᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲓᲘᲓ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲓᲐ.

ᲙᲐᲜᲐᲓᲣᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘᲪ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲞᲘᲚᲝᲢᲛᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲝᲣᲮᲓᲐ - ᲐᲚᲝᲜᲡᲛᲛ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲡ ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲢᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲖᲔ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲓᲐᲐᲡᲬᲠᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲔᲠᲛᲪᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲓᲐ "ᲛᲐᲙᲚᲐᲠᲔᲜᲘᲡ" ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ.

ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲢᲝ ᲨᲔᲮᲚᲐ-ᲨᲔᲛᲝᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ (ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔᲕᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲞᲘᲚᲝᲢᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲠᲑᲝᲚᲐ), ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲨᲣᲐᲨᲘ, ᲐᲚᲝᲜᲡᲛᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲓᲠᲔᲜᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲞᲘᲓᲣᲔᲘᲖᲔᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐ. ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲛᲪᲜᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲝᲜᲝᲢᲝᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲗᲣ ᲢᲠᲐᲡᲐᲖᲔ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ, ᲬᲘᲜ ᲙᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲞᲘᲢᲡᲢᲝᲞᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲨᲣᲐᲨᲘ, ᲐᲚᲝᲜᲡᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲡᲪᲐᲓᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲒᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲜ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲡᲐᲡᲕᲔ ᲐᲕᲖᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ ᲐᲠᲩᲘᲐ, ᲠᲘᲡᲘ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗᲐᲪ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲢᲡᲢᲝᲞᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ, "ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ" ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ.

ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲢᲝ ᲨᲔᲮᲚᲐ-ᲨᲔᲛᲝᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ (ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔᲕᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲞᲘᲚᲝᲢᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲠᲑᲝᲚᲐ), ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲨᲣᲐᲨᲘ, ᲐᲚᲝᲜᲡᲛᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲪᲐᲓᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲒᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲜ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ ᲡᲐᲕᲡ

მძლეოსნობა

ოქროს ლიგა. ბისლეტის თამაშები

დეფარმა სიტყვა შეასრულა

მესერეტ დეფარი

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე, საშუალო მანძილზე მორბენალი ეთიოპიელი **მესერეტ დეფარი** აცხადებდა, რომ ამ სეზონში მსოფლიოს რეკორდის დამყარებას აპირებდა. მაგრამ თავისი მიზნის შესრულებას ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე გეგმავდა.

მან სიტყვა შეასრულა, მაგრამ ოსაკამდე გაცილებით ადრე - ოქროს ლიგის სეზონის პირველ შეხვედრაზე, რომელსაც ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს სამძლეოსნო არენა "ბისლეტმა" უმასპინძლა.

23 წლის დეფარმა 5 000 მეტრი 14 წუთსა და 16.63 წამში გაირბინა და თითქმის 8 წამით გააუმჯობესა მის მიერვე შარშან, ნიუ იორკში დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

"ყველაფერი კარგად გამომივიდა. ორი კილომეტრის შემდეგ უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ რეკორდის დამყარება შემეძლო, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ამდენით გავაუმჯობესებდი ძველ რეკორდს. დისტანციის პირველ ნახევარზე პეისმეიკერები ძალიან დამეხმარნენ მაღალი ტემპის შენარჩუნებაში, მერე კი მარტო დავრჩი, თუმცა თავდაუზოგავი ვარჯიშის წყალობით, არც სიმარტოვეში გამჭირვებია ტემპის შენარჩუნება. გარწმუნებთ, ამ შედეგის გაუმჯობესებაც შემიძლია და ამას ოსაკაში ვეცდები", - ნაფინიშევს განაცხადა რეკორდსმენმა, ვინც ათენის ოლიმპიადის ჩემპიონიცაა და ამ სეზონის დასაწყისში, მსოფლიოს რეკორდები 2 მილსა და 3 000 მეტრზე სირბილშიც გააუმჯობესა.

როგორც მოსალოდნელი იყო, "ბისლეტის" თამაშებზე ას მეტრზე სპრინტში პირველობა არავის დაუთმო მსოფლიოს იამაიკელმა რეკორდსმენმა **ასაფა პაუელმა**, ვინც კიდევ ერთ მიზანს მიაღწია - დისტანცია ათ წამზე ნაკლებში (9.94 წამში) გაირბინა.

"ეს ჩემი მეორე გარბენია გრძელ სეზონში და ამ შედეგითაც კმაყოფილი ვარ. მუხლის ტრავმა აღარ მაწუხებს და ფორმაშიც თანდათან შევდივარ. თანაც, ამ ეტაპზე უფრო სწრაფი ვარ, ვიდრე შარშან, ზუსტად ამავე დროს ვიყავი", - ნარბოლევს განაცხადა 24 წლის იამაიკელმა, ვინც 0.12 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ პორტუგალიელ **ფრანსის ობიკველუს**.

პაუელისგან ყველა მსოფლიო რეკორდს ელის. მით უმეტეს, რომ მას კიდევ ერთი სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა, ამერიკელი **ტაისონ გეის** სახით. მაგრამ იამაიკელი სპრინტერი ამბობს, რომ ამ სეზონში მისთვის პრიორიტეტული მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაა. თუმცა, თუ საჭირო იქნება, მსოფლიო რეკორდის განახლებასაც ეცდება.

პაუეს, ვინც მსოფლიო რეკორდი 2005 წელს ათენში გამოსვლისას დაამყარა და ეს შედეგი შემდეგში კიდევ ორჯერ გაიმეორა, არასოდეს მოუგია მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული. ათენის ოლიმპიადაზე ის ფინალურ გარბენში მეხუთე ადგილს დასჯერდა, ჰელსინკის 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ტრავმის გამო არ უასპარეზია.

შეგახსენებთ, რომ ოქროს ლიგის შარშანდელი ჯეკპოტი (მილიონდოლარიანი) პაუელმა ამერიკელ მორბენლებთან, **სანია რიჩარდსთან** და **ჯერემი უორინერთან** გაიყო. უორინერის დისტანცია (400 მეტრი) წლევანდელ სეზონში ოქროს ლიგის პროგრამაში არ არის შეტანილი და ბუნებრივია, ოსლოში მას არ უასპარეზია.

სამაგიეროდ, პროგრამაში ქალების 400 მეტრია შეტანილი, რომელიც რიჩარდსმა იოლად მოიგო. ამერიკელმა მორბენალმა ამ დისტანციაზე ზედიზედ მეოცე რბოლა მოიგო და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სეზონის საუკეთესო შედეგი (50.26 წამი) აჩვენა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჭოკით ხტომაში ბადალი არ ჰყავდა რუს **ელენა ისინბაევას**, ვინც ერთადერთი ქალი მხტომელია, ხუთ მეტრს რომ გადაავლებია. მაგრამ, ამჯერად მას რეკორდებისთვის არ სცხელოდა - 4.85 მეტრზე გადახტომითაც მიაღწია სანადელს და კარგა შორს მოიტოვა მთავარი კონკურენტი, პოლონელი **მონიკა პირეკი**.

მერაბ ლორთქიფანიძე

ვაჟები

100 მეტრი

1. ასაფა პაუელი (იამაიკა) 9.94; 2. ფრანსის ობიკველუ (პორტუგალია) 10.06; 3. მარლონ დევონიში (ბრიტანეთი) 10.20

200 მეტრი

1. იოჰან ვისმანი (შვედეთი) 20.32; 2. ბრაიან ძინგაი (ზიმბაბვე) 20.32; 3. იასუმა საიდი ნდურე (გამბია) 20.53

800 მეტრი

1. მოჰამად ალ-აზემი (ქუვეიტი) 1:44.56; 2. მოჰამედ ალ სალი (საუდის არაბეთი) 1:44.89; 3. აბრაჰამ ჩეპკირვოკი (უგანდა) 1:44.95

1500 მეტრი

1. ბრიმინ კიპროპ კიპრუტო (კენია) 3:36.27; 2. ალვარო ფერნანდესი (ესპანეთი) 3:36.40; 3. ალვარო როდრიგესი (ესპანეთი) 3:37.04

ერთი მილი

1. ადილ ყაუჩი (მაროკო) 3:51.14; 2. აგუსტინ კიპრონო ჩოგე (კენია) 3:51.62; 3. ენდრიუ ბადლეი (ბრიტანეთი) 3:51.95

110 მეტრზე თარჯრბენი

1. ანვარ მური (აშშ) 13.26; 2. დევიდ პეინი (აშშ) 13.27; 3. ტომაშ ბლაშეკი (გერმანია) 13.46

სამხტომი

1. ფილიპს იდოვუ (ბრიტანეთი) 17.35; 2. კრისტიან ოლსონი (შვედეთი) 17.33; 3. აარიკ უილსონი (აშშ) 17.26

ბადრო

1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 70.51; 2. გერდ კანტერი (ესტონეთი) 66.33; 3. პიოტრ მალახოვსკი (აოლონეთი) 66.00

შუბი

1. ტერო პიტკამაკი (ფინეთი) 88.78; 2. ბრიუ გრეერი (აშშ) 88.73; 3. ანდრეას თორკილდსენი (ნორვეგია) 87.79

ქალები

100 მეტრი

1. სტეფანი დარსტი (აშშ) 11.22; 2. შერიენ ბრუკსი (იამაიკა) 11.23; 3. სიდონი მოზერსილი (კაიმანი) 11.25

400 მეტრი

1. სანია რიჩარდსი (აშშ) 50.26; 2. ემი მბაკე თიამი (სენეგალი) 51.22; 3. შერიკა უილიამსი (იამაიკა) 51.32

1500 მეტრი

1. მარიამ იუსუფ ჯამალი (ბაჰრეინი) 4:01.44; 2. ულია ჩიჟენკო (რუსეთი) 4:01.58; 3. ირინა ლიშჩინსკა (უკრაინა) 4:01.82

5000 მეტრი

1. მესერეტ დეფარი (ეთიოპია) 14:16.63 (მსოფლიო რეკორდი); 2. ვივიან ჩერუიოტი (კენია) 14:22.51; 3. პრიშა ჯეპლეტინგ ნგეტიჩი (კენია) 14:44.51

3000 მეტრი სტიპლჩეიზი

1. ეურის ჯეპკორირი (კენია) 9:19.44; 2. დონა მაკფერლეინი (ავსტრალია) 9:26.63; 3. კორენ ჰინდსი (იამაიკა) 9:28.86

100 მეტრზე თარჯრბენი

1. მიშელ პერი (აშშ) 12.70; 2. სუსანა კალური (შვედეთი) 12.76; 3. დელორინ ენისლონდონი (იამაიკა) 12.78

სიმაღლეზე ხტომა

1. ელენა სლესარენკო (რუსეთი) 2.02; 2. ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია) 1.98; 3. ვიტა პალამარი (უკრაინა) 1.96

□ოკი

1. ელენა ისინბაევა (რუსეთი) 4.85; 2. მონიკა პირეკი (პოლონეთი) 4.60; 3. ტატიანა პოლეოვა (რუსეთი) 4.55.

ველოსპორტი

ივან ბასო

დოპინგი

ბასო ორი წლით დასაჯეს

იტალიის ველოსპორტის ფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ჯირო დ'იტალიისა და ტურ დე ფრანსის ორგზის პრიზიორს, იტალიელ **ივან ბასოს**. ამგვარად, ბასო გახდა ველოსპორტის პირველი ვარსკვლავი, ვისაც დოპინგის გამო დისკვალიფიკაციის მოხდა მოუწევს. ანალოგიური სასჯელი ელის ტურის შარშანდელ ჩემპიონს, ამერიკელ **ფლოიდ ლენდისსაც**, ვისი საქმის განხილვა ჯერ არ დასრულებულა.

"ვიცი, შეცდომა დავუშვი და ამისთვის სასჯელს ვიმსახურებ. შეცდომების აღიარების შემდეგ, თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. გარწმუნებთ, სანამ ყოველივეს საიდუმლოდ ვინახავდი, ძალიან მიჭირდა. წარმოიდგინეთ, რომ ოჯახშიც არაფერს ვამბობდი. ეს კი ძალიან ძნელი იყო და მთელი ამ დროის განმავლობაში, სულ იმის შიში მქონდა, რომ არ ჩავვარდნილიყავი", - ამბობს ბასო.

შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინათ ბასომ აღიარა დოპინგსკანდალ "ოპერასიონ პუერტოში" მონაწილეობა. ოღონდ, მან განაცხადა, რომ დოპინგის გამოყენებას აპირებდა, თუმცა ის არასოდეს გამოუყენებია. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო იმედოვნებდა, რომ ბასოს მეშვეობით, ესპანეთში აგორებული საქმის ბევრ დეტალს მოჰფენდა ნათელს, მაგრამ ასე არ მოხდა.

"მე მათ ყველაფერი ვუთხარი, რაც კი ამ საქმესთან დაკავშირებით ვიცოდი. ჩემი დონის ველომრბოლისთვის ეს არ იყო იოლი საქმე. მაგრამ თავს ვაჯობე და სწორი ნაბიჯი გადავდგი. მართალია, ამ აღიარების გამო, ბევრი რამ დავკარგე, მაგრამ ჩემი მხრივ, ეს ერთადერთი სწორი საქციელი იყო. ახლა ისლა დამრჩენია, სასჯელს შევეგუო", - ამბობს ბასო, ვინც ფრანგულ ტურზე **ლენს არმსტრონგის** ბატონობისას, ორჯერ შეძლო კვარცხლბეკის დაბალ საფეხურებზე ასვლა.

იტალიელ ველომრბოლს დისკვალიფიკაცია მერმის 24 ოქტომბერს დაუმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას კიდევ ორი ტურისა და ერთი ჯიროს გამოტოვება მოუწევს.

სხვათა შორის, იტალიის ოლიმპიური კომიტეტი ბასოს 21-თვიანი დისკვალიფიკაციით დასჯას მოითხოვდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მას გამოძიებისთვის ბევრი არაფერი მოუყოლია, ქვეყნის ველოსპორტის ფედერაციამ სასჯელის შემსუბუქება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

მერაბ ლორთქიფანიძე

TV სპორტი

18 ივნისი. ორშაბათი

НТВ-პლიუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. იტალია-ჩეხეთი. ჰოლანდია.
14:10 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ინგლისი-სერბეთი. ჰოლანდია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ესპანეთის ჩემპიონატი.
18:05 არგენტინის ჩემპიონატი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი.
23:45 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
08:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
09:00 კრივი. რინგ-საიდი.
10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გოიაში-პალმეირასი.
11:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰალე. გერმანია.
16:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:25 ცურვა. Fina-გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბირმინგემი. ინგლის.
20:35 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.
21:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:35 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. კელვინ ბროკი-ტიმურ იბრაჰიმოვი.
02:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გოიაში-პალმეირასი.
04:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
05:55 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.

EUROSPORT

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი.
12:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო.
12:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. სან მარინო.
13:30 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". VII ეტაპი. საფრანგეთი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
15:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბრაზილია-კანადა. ბრაზილია.
17:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-იაპონია. საფრანგეთი.
18:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-კუბა. სერბეთი.
19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
20:30 მულტისპორტი.
21:00 სუმო.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 მულტისპორტი.
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-კუბა. სერბეთი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰერტოგენბოში. ბრიტანეთი (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰერტოგენბოში. ბრიტანეთი.
19:15 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპ. ბულგარეთი.
20:15 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 სერფინგი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა. II მატჩი.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულ. სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-კუბა. სერბეთი.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ბრაზილია	
კორინთიანსი-პარანა	0:0
ფლამენგო-ინტერნასიონალი	2:2
გრემიო-კრუზეირო	0:2
გოიაში-პალმეირასი	3:1
ატ. მინეირო-ფიგეირენსე	4:1
ატ.პარანაენსე-ფლუმინენსე	1:1
სან პაულუ-ვასკო და გამა	2:0
ბოტაფოგო-ნაუტიკო	გვ. დასრულდა
ჟუვენტუდე-სანტოსი	გვ. დასრულდა
რესიფე-ამერიკა	გვ. დასრულდა

ჩილე	
კობრესალი-უნ. დე ჩილე	4:1
ო'ჰიგინსი-პუერტო მონტი	2:1
კოლო კოლო-პალესტინო	1:0
კოკიმბო-უნ. კატოლიკა	0:2
იტალიანო-ლა სერენა	2:1
ლოტა-ანტოფაგასტა	1:1
მელიპილია-უაჩიპატო	2:4
ნუბლენსე-სანტიაგო	2:1
უნ. კონსეპსიონი-დ. კონსეპსიონი	0:0
უნ. ესპანიოლა-კობრელოა	1:1

იაპონია	
კობე-ოიტა	1:3
კავასაკი-კაშივა	0:0
შიმიცუ-იოკოჰამა მარინოსი	1:1
გამბა-ნაგოია	3:1
კაშიმა-ჰიროშიმა	5:1
ომიია-ნიიგატა	2:1
იოკოჰამა-ივატა	1:2
ტოკიო-ურავა	0:2
იჩიჰარა-კოფუ	3:2

კონკაკაფი	
კანადა-გვატემალა	3:0
აშშ-პანამა	2:1
მექსიკა-კოსტა რიკა	დ.დ. 1:0
ჰონდურასი-გვადელუპე	გვ. დასრულდა

კალათბურთი

საბერძნეთი	
ფლეი ოფი. მე-3 ადგილისთვის	
პანიონიოსი-არისი	92:88 (ო)
ფინალი	
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი	78:68

ესპანეთი	
ფლეი ოფი. ფინალი	
რეალი-ბარსელონა	69:62

იტალია	
ფლეი ოფი. ფინალი	
მონტეპასკი-ვირტუსი	90:82

ჩოგბურთი

ATP. ჰალე	
ბერდიჩი-ბაღდატისი	7:5, 6:4

ATP. ლონდონი	
როდიკი-მაუ	4:6, 7:6, 7:6

WTA. ბირმინგემი	
შარაპოვა-იანკოვიჩი	6:4, 3:6, 5:7

ჩოგბურთი

ჩილიჩი და ცონგა უიმბლდონზე

უიმბლდონის ორგანიზატორებმა მამაკაცებს შორის დარჩენილი ორი "უაილდ-ქარდის" მფლობელის ვინაობა დაასახელეს. გასულ კვირას, ლონდონის "ქუინზ კლაბის" კორტებზე წარმატებით გამოვიდნენ ხორვატი **მარინ ჩილიჩი** და ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**. პირველმა ბრიტანელი **ტიმ ჰენმანი** დაამარცხა და მეოთხედფინალამდე მიაღწია. რაც შეეხება ცონგას, მან ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი** გამოთიშა ტურნირს. ყველაფერი ამის გათვალისწინებით, დარჩენილი ორი "უაილდ-ქარდი" სწორედ ამ ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ერგოთ.

ფორმულა 1

ფედერაცია ღამის რბოლისთვის ემზადება

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) გასულ კვირას, ინდიანაპოლისში ღამის რბოლების ტესტები ჩაატარა. როგორც ცნობილია, უახლოეს მომავალში FIA-ს დაგეგმილი აქვს ფორმულას ერთ-ერთი ეტაპის ღამით ჩატარება და ეს ტესტიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

ინდიანაპოლისში მიწვეული იყო კომპანია Musto Lights, რომელიც ნასკარის, ინდი-რეისინგ-ლიგასა და ჩემპკარის სერიების ღამის რბოლების ჩატარებას უზრუნველყოფს.

Musto Lights-მა ინდიანაპოლისის ტრასის პირველ რამდენიმე მოსახვევში განათება დაამონტაჟა. ტესტებში მონაწილეობა მიიღეს უსაფრთხოების მანქანამ და ფორმულა 1-ის სამედიცნო სამსახურის ავტომობილმა. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, ისინი ტრასის განათებულ ნაწილზე მოძრაობდნენ და ამოწმებდნენ, რამდენად კარგი იყო ხილვადობა. გარდა ამისა, ტრასაზე დამონტაჟებული იყო ტელეკამერები იმის გასარკვევად, საკმარისი იყო თუ არა განათება რბოლის გასაშუქებლად.

ხელბურთი

საუკეთესოები ბალიჩი და კრაუზე გახდნენ

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 2006 წლის საუკეთესო ხელბურთელებად ხორვატი **ივანო ბალიჩი** და გერმანელი **ნადინ კრაუზე** დაასახელეს.

კრაუზე პირველი გერმანელი ქალია, ვინც მსგავს წარმატებას მიაღწია. მან გამოკითხულთა ხმების 35 პროცენტი მიიღო და 15 პროცენტით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ნორვეგიელ **გრო ჰამერსენგს**. მამაკაცებს შორის გამარჯვებული - ბარიჩი, 2006 წლის ევროპისა და 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო მოთამაშედ იყო დასახელებული. მან ხმების 26 პროცენტი მიიღო და მხოლოდ ერთი პროცენტით აჯობა მეორეადგილოსან გერმანელ **ფლორიან კერმანს**.

ალსანიშნავია, რომ ბალიჩი 2003 წელს უკვე იყო ანალოგიური ჯილდოს მფლობელი.

ჰოკეი

ბოსტონს ახალი მწვრთნელი ეყოლება

NHL-ის კლუბი - "ბოსტონ ბრუინზი" მწვრთნელის გარეშე დარჩა. ამ გუნდის დამრიგებელ **დეივ ლუისს** მხოლოდ ერთი წელიწადია მოუწია "დათვების" გაწვრთნა და ის გუშინ, თანამდებობიდან გადააყენეს. თუმცა, "დეტროიტ რედ უინგზის" ყოფილი დამრიგებელი კლუბის სტრუქტურაში სამუშაოდ დარჩება.

ეს ინფორმაცია "ბოსტონის" მენეჯერმა - **პიტერ ჩიარელიმ** გაავრცელა. მანვე დაამატა, რომ უკვე არსებობს ლუისის სავარაუდო შემცვლელთა სია, თუმცა მენეჯერმა კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს, ლუისის ხელმძღვანელობით "ბოსტონი" ფლეიოფის მიღმა დარჩა. გასულ რეგულარულში კლუბს 35 მოგება და 47 წაგება ჰქონდა.

ჩიკაგომ სამსონოვში ორი ჰოკეისტი დათმო

საინტერესო გაცვლა განახორციელეს "მონრეალ კანადიენსმა" და "ჩიკაგო ბელკჰოქსმა". ამ უკანასკნელის გენერალური მენეჯერის **დეივ ტელონის** ინფორმაციით, რუსი ფორვარდი **სერგეი სამსონოვი** მომავალ სეზონში "ჩიკაგოში" ითამაშებს. მის ნაცვლად "მონრეალმა" ორი ჰოკეისტი მიიღო - მცველი **ჯესენ კალიმორი** და მარცხენა გარემარბი - **ტონი სალმელაინენი**.

ამასობაში, "მონრეალმა" ორ ჰოკეისტს გაუგრძელა კონტრაქტი. თავდამსხმელმა **კრისტოფერ ჰიგინსმა** და მცველმა **მაიკ კომისარეკმა** კანადურ კლუბთან იდენტური ხელშეკრულებები გააფორმეს. კერძოდ, უახლოესი ორი სეზონის განმავლობაში ისინი 3.4 მილიონ დოლარს მიიღებენ.

ფორსბერგი კარიერას ასრულებს?

როგორც Nashville Tennessean იუწყება, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ "ნეშვილ პრედატორზის" შვედი ცენტრფორვარდი - **პეტერ ფორსბერგი** კარიერას უახლოეს ხანში დაასრულებს. 1 ივლისს ეს ჰოკეისტი თავისუფალი აგენტი ხდება.

შეგახსენებთ, ლეგენდარული შვედი ჰოკეისტი "ნეშვილში" გასული სეზონის მსვლელობისას გადავიდა. მანამდე მან 9 წელიწადი გაატარა "კვებეკსა" და "კოლორადოში" და წელიწადნახევარი ითამაშა "ფილადელფიაში". სულ კარიერაში, ფორსბერგს 697 მატჩი აქვს ჩატარებული. მის ანგარიშზე 871 ქულაა (248 გოლი და 623 შედეგიანი გადაცემა).

მინესოტაში ავსტრიელი მცველი ითამაშებს

"მინესოტა უაილდმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ავსტრიელ მცველ **ანდრე ლაკოსთან**. 27 წლის ჰოკეისტს, რომელიც 1999 წლის დრაფტზე "ნიუ ჯერსი დევილზმა" აირჩია, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში არასოდეს უთამაშია.

გასულ სეზონში ლაკოსი "ზალცბურგის" ღირსებას იცავდა. ბოლო ექვსი წელიწადია, მას რეგულარულად იწვევენ ავსტრიის ნაკრებში და წლეულს, ამ გუნდის რიგებში მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზეც ითამაშა.

ოტავამ გენერალური მენეჯერი დაითხოვა

გაზეთ Toronto Sun-ის ინფორმაციით, "ოტავა სენატორზის" მფლობელებმა თანამდებობიდან გაათავისუფლეს გენერალური მენეჯერი **ჯონ მაკლერი**. ამ უკანასკნელმა ინფორმაციის კომენტირებისგან თავი შეიკავა.

"ჩვენ ვაგრძელებთ მოლაპარაკებებს კლუბის მომავალი განვითარების შესახებ. ასევე ვარკვევთ, კლუბის ხელმძღვანელთაგან თუ ვის რა როლი დაეკისრება მომავალ სეზონში", - არც უარჰყო და არც დაადასტურა ეს ცნობა "სენატორების" მფლობელმა **იუჯინ მელნიკმა**.

კალათბურთი

ვოლკოვს უკრაინული კალათბურთი ჩააბარეს

უკრაინის კალათბურთის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს საპატიო პოსტი საკალათბურთო კლუბ "ბკ კიევის" პრეზიდენტმა, ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ალექსანდრ ვოლკოვმა** ჩაიბარა.

წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა ფედერაციის ხელმძღვანელის პოსტზე **ზურბეკ ხრომაევი** შეცვალა, რომელიც ამიერიდან ვოლკოვის ასისტენტის ფუნქციებს შეასრულებს.

ტურნირები

როდიკის მეოთხე სტელა

ამერიკელი **ენდი როდიკის** გამარჯვებით დასრულდა საბალახო სეზონის პირველი ტურნირი - "სტელა არტუას" ჩემპიონატი, რომელსაც ტრადიციისამებრ, ლონდონის "ქვინ კლაბის" საჩოგბურთო კომპლექსმა უმასპინძლა. ფინალში როდიკმა დიდი გაჭირვებით დაამარცხა ტურნირის ფრანგი აღმოჩენა **ნიკოლა მაიუ**, ვისაც მეორე სეტში მატჩ პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ გამოუცდელობის გამო, ამ შანსის გამოყენება ვერ შეძლო.

მაიუმ, ვისაც ლონდონურ ტურნირამდე, რეიტინგში 106-ე საფეხური ეკავა, ფინალამდე ტურნირს როლან გაროსის სამგზის ჩემპიონი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** და თანამემამულე და იმავდროულად, თავისი მეგობარი, **არნო კლემანი** გამოთიშა. ნახევარფინალის მოგების შემდეგ კი, ჟურნალისტებთან საუბრისას იმედი გამოთქვა, რომ თავის კარიერაში ატპ-ის პირველ ტიტულს მოიპოვებდა. მაგრამ დათმობას არც როდიკი აპირებდა, ვისაც ქვინსის ტურნირი მანამდე სამჯერ ჰქონდა მოგებული.

სხვათა შორის, ის მეოთხე ჩოგბურთელია, ვისაც ეს ტურნირი ოთხჯერ აქვს მოგებული. როდიკამდე ეს მისმა თანამემამულე **ჯონ მაკინროიმ**, გერმანელმა **ბორის ბეკერმა** და ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** შეძლეს.

სხვათა შორის, ქვინსის ფინალამდე, მაიუსა და როდიკს ერთმანეთის წინააღმდეგ ორჯერ ჰქონდათ ნათამაშები და ორივე შემთხვევაში გამარჯვება ამერიკელმა მოიპოვა. სამაგიეროდ, ამჯერად მან გამარჯვება ისე მოიპოვა, რომ ფრანგის მოწოდება ერთხელაც ვერ მოიგო - ორივე სეტი ტაიბრეიკზე მოიგო. ერთადერთი ბრეიკ პოინტი მან პირველი სეტის მეცხრე გეიმში მიიღო, როცა ანგარიში 4:4 იყო. მაიუმ ეს ბრეიკ პოინტი შესანიშნავი დარტყმით მოიგერია, მომდევნო გეიმში კი თავად აიღო ბრეიკი და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ფრანგს მატჩ პოინტი ჰქონდა, მაგრამ მის გათამაშებაზე ბურთი ბადეს მოარტყა და თამაშის მოგების რეალური შანსიც ამ შეცდომას გაატანა. მის მიერ დაშვებული მორიგი შეცდომის წყალობით კი, როდიკმა სეტი მოიგო. გადამწყვეტმა სეტმაც ბრეიკების გარეშე ჩაიარა, როდიკმა კი კვლავ ტაიბრეიკზე მიაღწია უპირატესობას და შეხვედრას წერტილი 24-ე ეისით დაუსვა.

"ნიკოლა მთელი შეხვედრის განმავლობაში მჯობდა. მე კი მხოლოდ იმას ვცდილობდი, რომ ჩემი მოწოდება როგორმე შემენარჩუნებინა და იღბლის იმედზე ვყოფილიყავი. გარწმუნებთ, ამ ტურნირზე ასე ძალიან არასოდეს გამჭირვებია. ამჯერად გამიმართლა და ვიმედოვნებ, რომ იღბალი არც უიმბლდონზე შემაქცევს ზურგს", - განაცხადა როდიკმა, მერე კი იმ მხარეს გახედა, სადაც მისი მწვრთნელი, წარსულში სახელოვანი ჩოგბურთელი **ჯიმი კონორსი** იჯდა და განაცხადა: *"ეს ერთადერთი ტურნირია, რომელიც შენზე მეტჯერ მაქვს მოგებული. ეს არც ისე ხშირად ხდება და ვფიქრობ, აღარც არასოდეს მოხდება"*.

პარალელურად, გერმანიის ქალაქ ჰალეში დასრულდა კიდევ საბალახო ტურნირი, რომლის ფინალშიც, ჩეხმა **ტომას ბერდიჩმა** ორ სეტში დაამარცხა კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** და მას დაბადებიდან 22-ე წლის იუბილე ჩაუშხამა.

ბერდიჩი ჰალეს ღია პირველობის ფინალში შარშანაც გავიდა, მაგრამ იქ ვერაფერი მოუხერხა მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს**. ამან ამჯერად როლან გაროსის შემდეგ დასვენება ამჯობინა, ჩეხმა ჩოგბურთელმა კი ამით ისარგებლა და თავის კარიერაში პირველად მოიგო ბალახისსაფარიან კორტზე ჩატარებული ტურნირი. სხვათა შორის, ეს მიმდინარე სეზონში მის მიერ მოგებული მესამე ტურნირია.

ბერდიჩმა ფინალს ისე მიაღწია, სეტიც არ დაუთმია. რა თქმა უნდა, ის ფავორიტებს შორის იყო, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ზედიზედ მეორედ ფინალში გასვლა მისთვის დიდი მიღწევაა. ფინალში კი მეტოქეს, ვინც შარშანდელი უიმბლდონის ნახევარფინალს მიაღწია, შანსი არ დაუტოვა და საათსა და ოც წუთში დააყრევინა ფარ-ხმალი.

პირველ სეტში ჩეხს მხოლოდ ერთხელ, მეათე გეიმში შეექმნა პრობლემა თავის სერვისზე - ბაღდატისმა ორი ბრეიკ პოინტი მიიღო, მაგრამ ვერცერთი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, მომდევნო გეიმში, კვიპროსელმა თავისი მოწოდება დათმო. ბერდიჩმა ბრეიკის აღებისთანავე, თავისი გეიმიც მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მომდევნო სეტის დასაწყისშივე, ჩეხმა კიდევ ერთი ბრეიკი იოლად მოიგო, რის შემდეგაც, პრაქტიკულად, აღარ შექმნია პრობლემა. ბაღდატისმა ერთხელ კიდევ მაშინლა გაიბრძოლა, როცა მისი მეტოქე მატჩზე აწოდებდა. მან ბრეიკ პოინტი მოიპოვა, მაგრამ მისი ქულად ქცევა აღარ გამოუვიდა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

THE ARTOIS CHAMPIONSHIPS
ლონდონი (ინგლისი). ბალახი
საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო

1/4 ფინალი

ნიკოლა მაიუ (საფ)-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 7:5, 7:6 (0); **ენდი როდიკი (აშშ, 2)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 6:4, 7:6 (5); **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 7)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 3) 6:3, 6:7 (5), 6:4; **არნო კლემანი (საფ, 14)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:5, 6:4.

1/2 ფინალი

ენდი როდიკი (აშშ, 2)-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 7) 6:4, 7:5; **ნიკოლა მაიუ (საფ)**-არნო კლემანი (საფ, 14) 6:3, 7:6 (4).

ფინალი

ენდი როდიკი (აშშ, 2)-ნიკოლა მაიუ (საფ) 4:6, 7:6(7), 7:6(2).

GERRY WEBER OPEN
ჰალე (გერმანია). ბალახი
საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო

1/4 ფინალი

ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 3) 6:4, 6:3; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 6)**-მიხალ იუჟნი (რუს, 6) იუჟნის უარი; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 8)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:3; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:4 ჟიკელის უარი.

1/2 ფინალი

ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 6)-იარკო ნიემინენი (ფინ) 7:6 (5), 6:4; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 8)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 7:6 (1), 6:4.

ფინალი

ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 6)-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 8) 7:5, 6:4.

WTA

DFS CLASSIC
ბირმინგემი (ინგლისი). ბალახი
საპრიზო ფონდი: 200 000 დოლარი

1/8 ფინალი

მარია შარაპოვა (რუს, 1)-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:3, 4:6, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 3)**-ელენი დანილიდუ (საბ, 15) 7:6 (3), 6:4.

1/4 ფინალი

მარია შარაპოვა (რუს, 1)-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:2, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 6) 6:4, 6:3; **მარა სანტანჯელო (იტა, 8)**-ნა ლი (ჩინ, 4) 6:2, 7:5; **მალიონ ბარტოლი (საფ, 5)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 3) 5:7, 6:4, 7:5.

1/2 ფინალი

მარია შარაპოვა (რუს, 1)-მარიონ ბარტოლი (საფ, 5) 7:5, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-მარა სანტანჯელო (იტა, 8) 6:1, 7:5.

ფინალი

ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)-მარია შარაპოვა (რუს, 1) 4:6, 6:3, 7:5

BARCELONA KIA
ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

1/2 ფინალი

მეგან შონესი (აშშ, 6)-ფლავია პენეტა (იტა, 8) 6:0, 4:6, 6:4; **ედინა გალოვიტცი (რუმ)**-ვირჟინ რაზანო (საფ, 7) 6:3, 6:4.

ფინალი

მეგან შონესი (აშშ, 6)-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:3, 6:2.



ენდი როდიკი

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები: დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი: მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი: დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ ბოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა